ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

ბიჭიკო დიასამიძე

დამხმარე ისტორიული დისციპლინები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2015

UDC(უაკ) 930.1+902+929
დ- 436

წიგნში წარმოდგენილია წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიის, ქრონოლოგიის, ნუმიზმატიკის, მეტროლოგიის, ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონიმიკის, არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების მეთოდიკის მოკლე შინაარსი, აუცილებლად საჭირო ტერმინებისა და ცნებების განმარტებანი. წიგნი საინტერესო იქნება სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი – პროფ. **ნ. კახიძე**

რეცენზენტი – პროფ. **შ. მამულაძე**

© ბ. დიასამიძე, 2015

გამომცემლობა „უნივერსალი", 2015
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-529-1

ავტორისაგან

ბოლო წლებამდე უმაღლესი სასწავლებლების ისტორიის სპეციალობის პირველ კურსებზე სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო **„დამხმარე ისტორიული დისციპლინების“** საგნის სწავლება. იგი მოიცავდა წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიის, ქრონოლოგიის, ნუმიზმატიკის, მეტროლოგიის, ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის, აგრეთვე არქეოლოგიური დაზვერვისა და გათხრების მეთოდიკის ძირითად ცნებებს, ტერმინებს, განმარტებებსა და მოკლე შინაარსს. ამ საგნის სწავლებაში შემოტანით ის ხარვეზი ივსებოდა, რაც ადრე იყო დაშვებული: მომდევნო კურსებზე საერთო და სპეციალური დისციპლინების სწავლებისას საჭირო ცნებების, ტერმინებისა და განსაზღვრებების მიწოდება სტუდენტებისათვის, რათა გაადვილებოდათ მასალის სრულყოფილად აღქმა-გააზრება. თუ სტუდენტს პირველი კურსიდანვე გააზრებულად არ ეცოდინება წელთაღრიცხვის სისტემები, მოცემული თარიღის ერთი სისტემიდან მეორეში გადაყვანა, წყაროში ასო-ნიშნებით მოცემული თარიღის წაკითხვა და სხვა, შემდეგ გაუძნელდება გაზრდილი და გართულებული საპროგრამო მასალის სრულყოფილად ათვისება. ასევე ითქმის პალეოგრაფიის, ნუმიზმატიკის და სხვა დისციპლინათა შესახებაც, რომელთაგან არაერთი ცნება, ტერმინი და მონაცემია შეტანილი სასწავლო დისციპლინებში. მართალია, ზოგიერთი საგნის („ნუმიზმატიკა“, „პალეოგრაფია“) სწავლება გათვალისწინებულია დამამთავრებელ კურსებზე, მაგრამ მანამდე სჭირდებათ სტუდენტებს სხვა საგნების შესწავლისას იმ დისციპლინათა ზოგადი ტერმინების, ცნებებისა და განმარტებების ცოდნა. ეს დაგვანახა ათეული წლების განმავლობაში სტუდენტებთან სააუდიტო-

რიო მუშაობამ. ისინი გაზრდილი ინტერესით და მონდომებით ეკიდებიან ამ დისციპლინის შესწავლას, რომლის გარეშე მომდევნო, უფრო რთული საკითხების გაგება-ათვისება გაუჭირდებათ.

ჩემი გამოცდილებით ისიც დავინახე, რომ „დამხმარე ისტორიული დისციპლინების“ პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ცოდნა პირველივე კურსიდან სჭირდებათ საერთოდ ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტებს და ყველა განათლებულ ადამიანს, რადგან ამ დისციპლინებით გათვალისწინებული საკითხები ზოგადსაგანმანათლებლოა, პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსაყენებელი.

მიმაჩნია, რომ დამხმარე ისტორიული დისციპლინების საგნის შეტანა პირველი კურსების სასწავლო გეგმაში და მათი სწავლება ახალგაზრდებს გაუადვილებს სხვა სასწავლო საგნების უკეთ გააზრებას, მოვლენების არსში გარკვევას და პროგრამული მასალის სათანადოდ ათვისებას. საგნის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით ყოველ თემას დავურთეთ რეკომენდირებული ლიტერატურა და კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის, რაც მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

რამდენადაც ქართულ ენაზე „დამხმარე ისტორიული დისციპლინები“ პირველად იბეჭდება, ბუნებრივია, იგი ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისგან. ავტორი ყველა საქმიან რჩევას, სურვილსა და შენიშვნას სიამოვნებით გაითვალისწინებს მომავალში შევსებული და განახლებული ვარიანტის გამოცემისას.

შესავალი

კაცობრიობამ განვითარების ხანგრძლივი და მრავალფეროვანი გზა განვლო. მისი შესწავლა ისტორიული მეცნიერების ვალია, რომელიც ისტორიული წყაროების შესწავლა-ანალიზით მიღებული შედეგების შესაბამისად აღადგენს საზოგადოების მიერ განვლილი გზის სურათს.

ისტორიული დისციპლინები თავიანთი მიზანდასახულობითა და შესასწავლი სფეროს მიხედვით იყოფა **საერთო, სპეციალურ და დამხმარე ისტორიულ დისციპლინებად.** ისტორიული დისციპლინების ამგვარი (საერთო, სპეციალური, დამხმარე) დაყოფა პირობითია, რადგან სულ უფრო იშლება ზღვარი მათ შორის და ამასთან, ყველა ერთ დიდ საქმეს – საზოგადოების ისტორიის შესწავლას ისახავს მიზნად, მაგრამ ასეთი დაყოფა უფრო კონკრეტულს ხდის შესწავლის ობიექტს და მიზნის მიღწევის გზებს, ხერხებსა და მეთოდებს.

საერთო ისტორიული დისციპლინები შეისწავლის რომელიმე ქვეყნის, ხალხის ან მთელი მსოფლიოს ხალხების ცხოვრების, ისტორიის ყველა სფეროს (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა...). ასეთი დისციპლინებია საქართველოს ისტორია, ძველი მსოფლიოს ისტორია, აღმოსავლეთის ხალხების ისტორია და სხვა.

სპეციალური ისტორიული დისციპლინები შეისწავლის რომელიმე ქვეყნის, ხალხისა ან მსოფლიოს ხალხების ისტორიის ერთ სპეციფიკურ სფეროს. მაგ. ქართული კულტურის ისტორია, ხელოვნების ისტორია, პოლიტიკური აზროვნების ისტორია, ლიტერატურის ისტორია და ა.შ.

დამხმარე ისტორიული დისციპლინები შეიმუშავებენ ისტორიული კვლევა-ძიების კერძო და ზოგად პრინციპებს, ხერხებსა და მეთოდებს. სწავლობენ ფაქტოლოგიური მასა-

ლების, ნივთიერი და წერილობითი წყაროების როგორც გენეზისს, ისე მათ შინაარსობრივ მხარეს.

დღეისთვის ათობით დამხმარე ისტორიულ დისციპლინას გამოჰყოფენ, მაგრამ ნაშრომში წარმოვადგენთ და მოკლედ განვიხილავთ იმ დამხარე ისტორიულ დისციპლინებს, რომლებიც უფრო მეტად გამოიყენება პრაქტიკულ ცხოვრებაში და აშკარაა ყველასათვის მათი ცოდნის აუცილებლობა, განსაკუთრებით სტუდენტებისათვის. ჩვენი აზრით ასეთებია: **წყაროთმცოდნეობა, პალეოგრაფია, ქრონოლოგია, ნუმიზმატიკა, მეტროლოგია, ისტორიული გეოგრაფია, ტოპონიმიკა და არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების მეთოდიკა.**

აქ ჩამოთვლილი და სხვა დამხმარე ისტორიული დისციპლინების შესწავლა ახალგაზრდებს გაუადვილებს ისტორიული მასალის გააზრებას, მოვლენების არსში გარკვევას და პროგრამული მასალის სრულყოფილად ათვისებას. მათი საფუძვლიანი დაუფლებით მომავალი სპეციალისტები ეჩვევიან წერილობით და ნივთიერ წყაროებზე დაკვირვებას, არსებითისა და მთავარის გამოყოფას, ისტორიული მოვლენების მეცნიერულ გააზრებას.

წყაროთმცოდნეობა

წყაროთმცოდნეობის საგანი და ამოცანები

ისტორია ხალხის მეხსიერებაა, რომელიც ადამიანისა და საზოგადოების ისტორიაში განუმეორებელ მოვლენებს შეისწავლის. ამას იგი ისტორიული წყაროების მეშვეობით ახერხებს. ისტორიული წარსული ორ ნაწილად იყოფა: **წინარეისტორიული** ხანა ანუ დამწერლობის შექმნამდე ხანა, რომლის შესახებ მხოლოდ ნივთიერი (არქეოლოგიური) წყაროების მიხედვით ვმსჯელობთ და **ისტორიული ხანა**, დამწერლობის შექმნის შემდგომი ხანა, რომლის შესახებ, უფრო მეტად, წერილობითი ინფორმაციით ვსარგებლობთ. ისტორიულ წყაროებს შეისწავლის **წყაროთმცოდნეობა, რომლის მიზანია ისტორიული წყაროების გამოვლენა, სისტემატიზაცია, მათი ანალიზი, შესწავლისა და გადმოცემის მეთოდიკის შემუშავება.** იგი ისტორიული მეცნიერების კომპლექსური დარგია, რადგან მის მიერ შემუშავებული წყაროთა შესწავლის ზოგადი მეთოდიკა საფუძვლად უდევს ყველა ისტორიული დისციპლინის შესწავლას. მართალია, წყაროთა ცალკეულ სახეებს საუკუნეთა განმავლობაში სწავლობდნენ და იყენებდნენ, მაგრამ საკუთარი საგნისა და კვლევის სპეციფიკური მეთოდების მქონე მეცნიერებად იგი ევროპაში XIX ს. მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, ხოლო საქართველოში XX ს. პირველ მეოთხედში.

ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია

ისტორიული წყარო ისტორიული ინფორმაციის მატარებელია. შესაბამისად, ადამიანთა მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროს მიხედვით წყაროები შეიძლება მრავალგვარი იყოს. ამიტომ ამ დარგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ისტორიულ **წყაროთა კლასიფიკაცია,** რადგან ცხოვრების

განვითარების კვალობაზე იცვლება წყაროთა რაოდენობა, სახეები და აქტუალობაც. მართალია, ზოგადად ისტორიულ წყაროებს სამ სახედ ჰყოფენ: **ნივთიერი წყაროები**, რომლებიც ადამიანის ხელითაა შექმნილი (შრომისა თუ საბრძოლო იარაღი, ნაგებობანი, ჭურჭელი, სამკაული), **ზეპირი წყაროები** (ზეპირსიტყვიერებაში დაცული მითები, თქმულებები, ლეგენდები, სიმღერები...), **წერილობითი წყაროები**, რომლებიც წერილობითი ფორმითაა მოღწეული. მაგრამ იმის გამო, რომ თითოეულ ამათგანში წყაროთა განსხვავებული ქვესახეები გამოიყოფა, ბოლო ათწლეულებში ისტორიული წყაროების შემდეგ სახეებს გამოყოფენ:

წერილობითი, ნივთიერი, ზეპირსიტყვიერი, ენობრივი, ყოფითი, ფოტო და კინო დოკუმენტები, სახვითი წყაროები და კომპიუტერული ბაზები. თითოეულ ამ რვა სახის წყაროს შეისწავლის სამეცნიერო დისციპლინა: **წერილობით წყაროებს** წყაროთმცოდნეობა, (ეპიგრაფიკა, პაპიროლოგია); **ნივთიერს** – არქეოლოგია (ნუმიზმატიკა); **ზეპირსიტყვიერს** – ფოლკლორისტიკა; **ენობრივს** – ონომასტიკა (ანთროპონიმები, ეთნონიმები, ტოპონიმები, ზოონიმები); **ყოფითს** – ეთნოლოგია; **ფოტო და კინოდოკუმენტებს** – ფონო-კინო და ფოტო დოკუმენტალისტიკა; **სახვით წყაროებს** – ხელოვნების ისტორია; **კომპიუტერულ ბაზებს** – ინფორმატიკა.

წყაროთა ამ სახეებს ქვესახეები გააჩნია. მაგალითად წერილობითი წყაროები ორ ჯგუფად იყოფა: **დოკუმენტური** წყაროები და **თხრობითი** (ნარატიული) წყაროები, რომლებიც თავის მხრივ ქვესახეებად იყოფა.

დოკუმენტურ წყაროებში გამოიყოფა: განმკარგულებელი, აღმასრულებელი, სასამართლო, სტატისტიკური, საქმისწარმოების, სააქტო და სხვა წყაროები. **თხრობით ანუ ნარატიულ წყაროებში** გამოყოფენ: პირადი, ისტორიული,

სამეცნიერო, მხატვრული, პერიოდიკა და სხვა. მაგ. პირად წყაროებში შედის: დღიურები, მოგზაურობის ამსახველი ჩანაწერები, ავტობიოგრაფიები, მემუარები, წერილები...

არის კიდევ წერილობითი წყაროების მასალის მიხედვით დაყოფა: **მყარ მასალაზე** (ქვა, რკინა, ხე...) ნაწერი ტექსტები და **რბილ მასალაზე** (პაპირუსი, ეტრატი, ქაღალდი) ნაწერი ტექსტები, რომელთა შესწავლა განსხვავებული მეთოდებით ხდება. შედარებით ახალ ისტორიულ წყაროებად ითვლება ფონო, ფოტო და კინო დოკუმენტები. ფოტოგრაფია **დაგერმა** 1839 წელს შექმნა და ამიტომ მას **დაგეროტიპი** ეწოდებოდა.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში შექმნილი საინტერესო ფოტომასალა დაგვიტოვეს გრაფინია უვაროვამ, ვიტორიო სელამ, ერმაკოვმა და ალექსანდრე როინიშვილმა (1864-1898 წ.წ.). სწორედ ეს უკანასკნელი ითვლება ქართული ფოტოგრაფიის ფუძემდებლად. მან შექმნა ფოტოსტუდია „რემბრანტი“, რომლის მთელი კოლექცია გადასცა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

რაც შეეხება კინომატოგრაფიას, იგი ძმებმა ლიუმერებმა შექმნეს. პირველი უხმო კინოსეანსი 1895 წელს შედგა. ხმოვანი კინო მხოლოდ 1926 წელს გამოიგონეს.

ასევე ითქმის სახვით ხელოვნებაზე, რომელიც აერთიანებს მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას და ქანდაკებას, რომელთა შესწავლა განსხვავებულ მიდგომას და მეთოდებს მოითხოვს.

ისტორიული წყაროების კრიტიკა

წყაროთმცოდნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის წყაროთა კრიტიკას (შესწავლა-ანალიზს). მას ორ საფეხურად ჰყოფენ: გარეგანი და შინაგანი კრიტიკა.

გარეგან კრიტიკაში იგულისხმება ავტორის ვინაობის, ტექსტის შექმნის თარიღის, ტექსტის ნამდვილობის (დედანი) დადგენა...

შინაგანში იგულისხმება წყაროს შინაარსობრივი ანალიზი...

ისტორიული წყაროები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ამიტომ მათ კლასიფიკაცია-შეფასებას და კრიტიკას (ანალიზს) გამოცდილება, ალღო და ცოდნა სჭირდება. არ შეიძლება ერთნაირი ღირებულება მიეცეს სანდოობის თვალსაზრისით პირველად და მეორად ისტორიულ წყაროებს. პირველადი წყარო თვითმხილველის, მოვლენის თანამედროვის მიერ შედგენილი წყაროა, მეორადი კი შემდეგი დროის, მეხსიერებით შემონახული. ამიტომ პირველს უნდა მიეცეს უპირატესობა, თუმცა უნდა გათვალისწინებულ იქნას მისი შექმნის პირობები, გარემო და სხვა ფაქტორები.

წერილობითი წყაროები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ავსებენ, მაგრამ არაა იშვიათი, რომ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, უარყოფენ. ყველაფერი ეს წერილობით წყაროებზე მუშაობისას გასათვალისწინებელია და შესაჯერებელი, ამიტომ წყაროებზე მუშაობა საპასუხისმგებლო და ამავე დროს ფრიად საპატიო და აუცილებელი საქმეა.

რეკომენდირებული ლიტერატურა:

1. ლ. ფირცხალავა, ისტორიის სპეციალობის შესავალი, თბ., 1993
2. რ. რამიშვილი, ისტორიის შესავალი – 10, მოსწავლის წიგნი, თბ., 2006
3. ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ?, თბ., 2003
4. ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, თბ., 1971
5. შ. ნიორაძე, საქართველოს მესურათხატენი, თბ., 2002

6. ჟურნ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, I-XIV ტ. 1965–2012

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის

1. რას შეისწავლის წყაროთმცოდნეობა?
2. ჩამოთვალეთ ისტორიული წყაროების სახეები და მათი შემსწავლელი მეცნიერებანი
3. გვესაუბრეთ წერილობითი წყაროების სახეებზე
4. ენობრივი წყაროების რომელ სახეებს იცნობთ?
5. რა იცით საქართველოში ფოტო და კინო ხელოვნების განვითარების შესახებ
6. რას გვეტყვით წყაროთმცოდნეობის მნიშვნელობის შესახებ.

პალეოგრაფია

საგანი და ამოცანები

პალეოგრაფია ანუ დამწერლობათმცოდნეობა ისტორიულ-ფილოლოგიური დისციპლინაა და სწავლობს ხელოვნებასთან, დამწერლობით კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს: ანბანის წარმოშობას, ასოთა მოხაზულობის ისტორიულ ცვალებადობას, ნაწერის ესთეტიკურ მხარეს, ტექსტის დანაწევრების აღმნიშვნელ სასვენ და განკვეთილობის ნიშნებს, საწერ მასალასა და იარაღებს, წარწერებისა და ხელნაწერი ძეგლების რაობას (მათ ქრონოლოგიას, შექმნის ადგილს, გარემოს, ავტორს და სხვა).

პალეოგრაფია, როგორც დისციპლინა გაჩნდა XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში ლათინურისა და ბერძნულის, როგორც მაშინ ამბობდნენ „ნამდვილად ძველი“ დამწერლობების შემსწავლელი მეცნიერება. აქედან წარმოდგება მისი სახელწოდებაც „პალეო“ – ძველი, „გრაფოს“ – წერა (ბერძნ.).

XIX საუკუნის ბოლოდან პალეოგრაფიას გამოეყო დამოუკიდებელი დისციპლინები: **ეპიგრაფიკა**, რომელიც სწავლობს ძველ წარწერებს მაგარ მასალაზე (ქვა, ლითონი, ხე, მინა, ძვალი, კერამიკა...); **პაპიროლოგია**, რომელიც სწავლობს პაპირუსებზე ნაწერებს.

უფრო გვიან, XX საუკუნეში ცალკე დარგებად ჩამოყალიბდა **კოდიკოლოგია**, მეცნიერება ხელნაწერი წიგნების შესახებ (შექმნა ფრანგმა მეცნიერმა ალფონს დენმა) და **წიგნთმცოდნეობა**, რომელიც სწავლობს ნაბეჭდი წიგნების შექმნის, შენახვის, გავრცელების, გამოყენების და სხვა საკითხებს.

XX საუკუნის მეორე ნახევრამდე პალეოგრაფია ძველ ხელნაწერებს შეისწავლიდა, მაგრამ ცხოვრებამ დღის წეს-

რიგში დააყენა ახალი ხელნაწერების შესწავლაც. ამას კი მოჰყვა **„ნეოგრაფიის“**, „ნეოპალეოგრაფიის“, „დამწერლობათმცოდნეობის“ გაჩენა.

სხვადასხვა ხალხების დამწერლობას სწავლობს სათანადო პალეოგრაფია. ქართულ დამწერლობას – **ქართული პალეოგრაფია**, სომხურს – სომხური პალეოგრაფია და სხვა.

ქართული პალეოგრაფიის საკითხებისადმი ინტერესი XIX საუკუნეში შეიმჩნევა, მაგრამ ამ დარგს მეცნიერული საფუძველი მოუმზადა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მან პირველმა XX ს. 20-იანი წლების დასაწყისში ახლადდაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა პალეოგრაფიის ლექციების კურსი, ხოლო 1926 წელს გამოსცა წიგნი „ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“. 1949 წელს ეს წიგნი მეორედ გამოიცა. ამის შემდეგ არაერთი საინტერესო ნაშრომი დაიწერა პალეოგრაფიის საკითხებზე და ბოლოს 1997 წელს გამოიცა შემაჯამებელი ნაშრომი: კორნელი დანელიასა და ზურაბ სარჯველაძის ავტორობით „ქართული პალეოგრაფია“.

ენების წარმოშობა. ენები ფუნქციონალური დანიშნულებისა და გენეზისის მიხედვით

ვიდრე უშუალოდ პალეოგრაფიის საკითხებს შევეხებოდეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ მეტყველებისა და ენების წარმოშობის პრობლემა, რადგან დამწერლობა მომდევნო და მისგან გამომდინარე აუცილებლობის შედეგია.

ენა, მეტყველება ასეულ ათასი წლის წინათ წარმოიშვა. ამიტომ ძნელია ამ უძველესი ენის შესასწავლად საჭირო წყაროების დაძებნა. არადა, ენის წარმოშობის საკითხი უძველესი დროიდან აინტერესებდა ადამიანს. ესაა მიზეზი იმისა,

რომ ენის წარმოშობის შესახებ არა ერთი ლეგენდა და გადმოცემაა შექმნილი.

სერიოზული მსჯელობა ამ საკითხზე ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა (სოფისტი პროტოგორა, მატერიალისტი დემოკრიტე) დაიწყეს 2500 წლის წინათ. ისმებოდა კითხვა: რა დამოკიდებულებაა საგანსა და მის სახელს შორის – **სახელი საგნის ბუნებიდან გამომდინარეობს თუ ადამიანები შეთანხმდნენ ცალკეულ საგანთა სახელებზე**. თითოეულ ამ შეხედულებას ჰყავდა მიმდევრებიც და მოწინააღმდეგენიც. იყო სხვა თეორიებიც: **შორისდებულთა (წამოძახილების)** თეორია, **ხმის მიბაძვითი** თეორია, **„შრომითი წამოძახილების“** თეორია, **ხელის-ჟესტ-მიმიკის თეორია** და ა.შ.

ყველა ეს თეორია ვერ ხსნის მეტყველების, ზოგადად ენის წარმოშობის პრობლემას. უფრო დამაჯერებელი ჩანს თეორია, რომლის მიხედვით, ენის წარმოშობა დაკავშირებულია შრომის პროცესთან. „შრომის პროცესში წარმოიშობოდა აუცილებლობა ერთმანეთისთვის რაღაც ეთქვათ“. ამასთან, ენასა და აზროვნებას შორის მჭიდრო კავშირია. ენა აზრის უშუალო სინამდვილეა (კ. მარქსი). ასე რომ ენის წარმოშობა უშუალო კავშირშია აზროვნებასა და შრომასთან.

ენის პირველი ფორმა, „პირველყოფილი ენა“ ბგერითი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დანაწევრებული მეტყველება პირველ ეტაპზე შეუძლებელი იქნებოდა ხორხისა და სხვა სამეტყველო ორგანოების განუვითარებლობის გამო.

ათასეული წლები დაჭირდებოდა დანაწევრებული ბგერითი მეტყველების ჩამოყალიბებას და ამ ეტაპზე უკვე გაჩნდებოდა მრავალი ენაც.

დღეს მსოფლიოში 5000-დე ენას ითვლიან, რომელიც ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით **გვაროვნულ, ტომობრივ, ხალხოვნურ** და **ეროვნულ** ენებად იყოფა.

გვაროვნული ენები გვაროვნული წყობილების დროს გამოიყენებოდა და კაცობრიობას იგი აღარ შემოუნახავს.

ტომობრივია: აღულური, წახურული, ანდიური, დიდოური და სხვა ენები;

ხალხოვნურია: ავარიული, ლაკური, ყაბარდოული, უდმურტული, ევენკების და სხვა ენები;

ეროვნულია: ქართული, სომხური, რუსული, ფრანგული და სხვ.

არის ენები, რომლებიც არა ერთ, არამედ რამდენიმე ერს ემსახურება: პორტუგალიური (პორტუგალია, ბრაზილია), ფრანგული (საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია), ინგლისური (ინგლისი, აშშ), ესპანური (ესპანეთი, ურუგვაი, პარაგვაი, არგენტინა, ჩილე... სულ 20 რესპუბლიკა).

არის საერთაშორისო ენებიც (ინგლისური, რუსული, ფრანგული, ჩინური), რომლებზეც იქმნება საერთაშორისო დოკუმენტები.

ცნობილია **მკვდარი ენებიც** (შუმერული, ელამური, ხეთური, ეგვიპტური, ლათინური...). ეს ის ენებია, რომლის მატარებელი ხალხიც ისტორიულად გადაშენდა.

არის აგრეთვე ე.წ. ხელოვნური ენები. მათ XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი იმ მიზნით, რომ არცერთი ეროვნული ენა საერთაშორისო არ ყოფილიყო და უპირატესობა არ მინიჭებოდა. ლათინურის საფუძველზე შეიქმნა ხელოვნური ენები: **ვოლაპუკი** (1889 წ) – იოჰან შლეიერის მიერ, **ესპერანტო** (1887 წ.) – პოლონელი თვალის ექიმის ზამენჰოფის მიერ, **იდო** (XX ს. დასაწ.) – ფრანგი დე ბოფრონის მიერ და **ოქციდენტალი** (1922 წ.) – ესტონელი ვალის მიერ.

მიუხედავად დიდი მცდელობისა, ამ ენებმა ვერ მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება, ვერ დამკვიდრდნენ, თუმცა ესპერანტომ შედარებით სხვებისგან, უპირატესობა მოიპო-

ვა, შეიქმნა მისი შემსწავლელი ჯგუფები, ამ ენაზე ითარგმნა კლასიკაც.

ენები ჯგუფდება აგრეთვე **ოჯახებად** მათი **ნათესაური** ურთიერთობის მიხედვით. თითოეულ ოჯახში გაერთიანებულ ენებს საერთო წარმოშობა აქვთ. ეს მონათესავე ენები მომდინარეობენ ერთი და იმავე ენის დიალექტებისაგან. იმ ენას, რომლის დიალექტებისაგან წარმოიქმნა მონათესავე ენები, **ფუძეენას (კოინე ენა)** უწოდებენ. ენათა ნათესაობა თავს იჩენს, როგორც ენათა ძირითად სიტყვიერ მარაგში, ისე გრამატიკასა და ბგერათა მიმართებაში.

თითოეულ ენათა ოჯახში შესაძლებელია გამოიყოს შედარებით მცირე ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე ამ ოჯახის სხვა ენები. ამ შინადაჯგუფებას აღნიშნავენ ტერმინით **„ენათა შტო“**.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ენებს **15 ოჯახად ჰყოფენ**: 1. ინდოევროპულ ენათა ოჯახი; 2. სემიტურ ენათა ოჯახი; 3. ქამიტური; 4. უნგრულ-ფინური; 5. ალათაური (თურანულ-მონღოლურ ენათა); 6. მანჯურულ-ტუნგუსური; 7.იბერიულ-კავკასიური ; 8. ჩინურ-ტიბეტური; 9. დრავიდულ ენათა; 10. ინდონეზიის; 11. აფრიკისა და ამერიკის ენათა ოჯახი; 12. ახლო აღმოსავლეთის ენათა; 13. ავსტრალიურ ენათა ოჯახი; 14. შორეული აღმოსავლეთის ენათა ოჯახი; 15. პალეოაზიური ენები.

განვიხილოთ **იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახი,** რომელშიც ენათა ოთხ შტოს გამოჰყოფენ: 1. ქართველური ანუ იბერიული; 2. აფხაზურ-ადიღეური; 3. ნახური, 4. დაღესტნის ენათა შტო.

თავის მხრივ, ქართველური, ანუ იბერიულ ენათა შტო იყოფა: ქართლურ, მეგრულ-ჭანურ ანუ ზანურ და სვანურ შტოებად. ზოგიერთი მეცნიერი აქვე განიხილავს ბასკურსაც.

ამ ენების ფუძე (კოინე) ენად ითვლება სამხრეთ-კავკასიური საერთო ქართველური ენა, რომელიც IV-III ათასწლეულებში ჩამოყალიბდა.

ამ ენის დიფერენციაციის დროდ ზოგიერთი მეცნიერი (ისტორიკოსები) II ათასწლეულის მორე ნახევარს თვლის, ზოგიც (ფილოლოგები) – ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნას. მეცნიერთა შორის კამათია მეგრულ-ჭანურის (ზანურის) და სვანურის ცალკე ენად თუ ქართული ენის დიალექტებად **აღიარების შესახებ**. ამ დავის საფუძვლად იქცა ერთი მხრივ ენასა და დიალექტებს შორის საფუძვლიანი გაუმიჯნაობა და მეორე მხრივ ევროპული ქარტია, რომლის მიხედვით, ყველა ენის მფლობელ ხალხს უკანონებს ანბანს, სკოლებს ამ ენაზე და სხვა. თუ მეგრულსა და სვანურს ენებად ვაღიარებთ, ეს ხელს შეუწყობს ერის შიგნით გათიშულობასო, ირწმუნებიან ზანურის (მეგრულ-ჭანურის) და სვანურის ენებად აღიარების მოწინააღმდეგენი.

დამწერლობის წარმოშობა

საზოგადოების განვითარების ისტორიაში უდიდეს მიღწევად ითვლება დამწერლობის წარმოშობა, რადგან ეს იყო ცოდნისა და ინფორმაციის შენახვა-გავრცელების ყველაზე საიმედო და მოხერხებული საშუალება.

მეცნიერებაში დადასტურებულია, რომ დამწერლობამ სამი საფეხური განვლო: იდეოგრაფიულ-ხატოვანი ანუ **იეროგლიფური**, ხაზოვან-მარცვლოვანი, ანუ **ლურსმული** და **ანბანური.**

ვიდრე დამწერლობა გაჩნდებოდა ადამიანი მიმართავდა სიმბოლოების გამოყენებას (სიმბოლიკას).

მაგ. გზის ჩვენება ჯოხის წვერის მიმართულებით (→)

ან: ქვა ნიშნავდა – მაგარს; ნახშირი – შავს, მწუხარებას; წიწაკა – მწარეს, მოუთმენელს... მოლაპარაკებისას ყალიონის ჩამოტარება – მშვიდობის ნებას...

იყო წესად ხეზე ჭდეების გაკეთება – დასათვლელად, თასმებზე ნასკვების გაკეთება...

მოგვიანო ეტაპზე ჩნდება დამწერლობის ჩანასახი მხატვრობის სახით. ეს არის **პიქტოგრამები**, როცა ცალკეული ნახატები მთელ შინაარსს გადმოგვცემენ; უფრო გვიან ჩნდება **იდეოგრაფია**, როცა ნახატი სიტყვის ექვივალენტია. სწორედ ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად იდეოგრაფიულ, ხატოვან, იეროგლიფურ დამწერლობას. მეცნიერები დაობენ იმაზე თუ ვინ იყვნენ ამ დამწერლობის შემქმნელები: ეგვიპტელები, თუ შუმერები (მესოპოტამიაში). უფრო მეტი მომხრე ჰყავს ეგვიპტელებს. დამწერლობის ეს სახე ჩვენს ერამდე 4000 წლის წინათ წარმოიშვა. წერის ამ სახემ იეროგლიფების სახელწოდება მიიღო (იეროს – წმინდა, გლიფუს – კვეთა (წმინდა კვეთა მკვრივ მასალაზე).

მართალია, იეროგლიფები აღმოჩენილი იყო, მაგრამ ამოკითხვა არ ხერხდებოდა. XVII ს. დაწყებული ეს საქმე XIX ს. 20-იან წლებში დაგვირგვინდა (1822 წ) **ფრანსუა შამპოლიონის** მიერ. ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობისას როზეტთან ნახული სტელის სამენოვანი წარწერის (ზემო – იეროგლიფური, შუა – მისი განვითარების სახეობა და ქვედა — ბერძნული) წაკითხვით იეროგლიფური დამწერლობა გაიშიფრა. ტერმინი „იეროგლიფი“ პირველად ჩვ. წ. II ს-ში კლიმენტი ალექსანდრიელმა გამოიყენა. ყველაზე გვიანდელი იეროგლიფი ჩვ. წ.-ის III საუკუნისაა.

ხაზოვან-მარცვლოვან (ლურსმულ) დამწერლობას ბაბილონში ჩაეყარა საფუძველი. ეს სახელმწიფო შუმერების სახელმწიფოს ნანგრევებზე შეიქმნა და მისი მაღალი კულ-

ტურის მემკვიდრედ იქცა. ლურსმული დამწერლობა შეიქმნა დაახლ. 2800-2900 წლის წინათ ჩვ. ერამდე. ეს ტერმინი „ლურსმული“ შემოიღო ინგლისელმა თომას ჰაიდმა ჩვ. წ. 1700 წელს. ძვ. წ-ის V ს-დან ლურსმული აღარ გამოიყენებოდა, I ს-დან გაქრა. წერდნენ (კვეთდნენ) თიხის ფირფიტებზე... გაშიფრა გერმანელმა **გროტეფენდმა**. ამ დამწერლობას იყენებდნენ ხეთები, ასურელები, ურარტუელები, სპარსელები...

იდეოგრაფიული დამწერლობის ცოცხალი ნიმუშია თანამედროვე **ჩინური დამწერლობა**, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში წარმოიშვა. ჩინური ენა ერთმარცვლოვანი სიტყვებისაგან შედგება. ისინი არც იბრუნვიან და არც იუღლებიან. აქ სიტყვებს ცალკეული ნიშნები გადმოსცემენ. ამიტომ დღევანდელ ჩინურ დამწერლობაში 40-50 ათასამდე ნიშანია.

ანბანური დამწერლობა

კაცობრიობის მიღწევათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ანბანური დამწერლობის შექმნა. ანბანური დამწერლობის სამშობლოდ ფინიკია ითვლება, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე სახელმწიფო. ფინიკიური ანბანი XII-VIII საუკუნეებში ყალიბდებოდა და VII საუკუნეში (ძვ. წ.) დასრულებული სახე მიიღო. ეს ანბანი 22 თანხმოვნისაგან შედგებოდა. ფინიკიური ანბანის შემქმნელად პალემიდე ითვლება. ფინიკიური ანბანიდან განვითარებულია ბერძნული. ბერძნულში თანხმოვნებს ხმოვნებიც დაემატა და ანბანმა სრულყოფილი სახე მიიღო. ამჟამად მსოფლიოში 14 **დამწერლობას** აღიარებენ. ესენია: **არაბული, ბერძნული, ებრაული, ეთიოპური, იაპონური, ინდური, კორეული, ლა-**

თინური, მონღოლური, სირიული, სლავური (კირილური), ჩინური, სომხური, ქართული.

ქართული ანბანი

ენათმეცნიერთა აზრით, ქართული ანბანი ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილია. ინგლისელი ორიენტალისტის **უილიამ ედუარდ დავიდ ალენის** შეფასებით, ქართულში „ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო-ნიშანი შეესაბამება, ყოველი ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერცერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება“. ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევს ქართულ ანბანს რუსი ენათმეცნიერი **პეტრე უსლარი**: „ქართული ანბანი უკლებლივ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც საერთოდ ანბანს მოეთხოვება. იგი ყველაზე სრულყოფილი ანბანია არსებულ ანბანთა შორის. ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით, ყოველი ნიშანი მუდამ ერთ და იგივე ბგერის გამომხატველია“ – ამბობს იგი.

ქართული ანბანის შექმნის დროისა და მისი წარმომავლობის შესახებ დღემდე განსხვავებული შეხედულებებია. შექმნის თარიღთან დაკავშირებით: მკვლევართა ერთი ნაწილი იმის გამო, რომ ქართული დამწერლობის ნიმუშები მხოლოდ ახ.წ.-ის IV საუკუნიდანაა ჩვენამდე მოღწეული, ქართულ ანბანს ქრისტიანობის მიღების შემდეგ შექმნილად თვლის, მაგრამ ი. ჯავახიშვილი სხვა არგუმენტებთან ერთად მხედველობაში იღებდა, რა V საუკუნის ასომთავრულით შესრულებული წარწერების (პალესტინის, ბოლნისის...) დახვენილობას, მას ძვ. წ-ის VII-V საუკუნეებში შექმნილად თვლიდა. ამ აზრს იზიარებენ პ. ინგოროყვა, რ. პატარიძე და სხვები. რ. პატარიძე ქართული ანბანის შექმნის თარიღსაც ასახელებს (415 ძვ.წ. წ.). ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ლე-

ონტი მროველის (XI ს.) ნათქვამიც: „ამან (ფარნავაზ) განავრცო ენა ქართული... და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“...

ქართული ანბანის წარმოშობის თეორიები

ქართული ანბანის წარმომავლობის შესახებ შეიქმნა ე.წ. სომხურისგან, ბერძნულისგან და ფინიკიურ-სემური (ფინიკიელთა, ებრაელთა და არამეველთა) ანბანისაგან წარმოშობის თეორიები.

სომხურისაგან წარმომავლობის თეორიას საფუძვლად ედო V ს. სომეხი ისტორიკოსის კორიუნის თხზულებაში დაცული ცნობა, რომ სომხური ანბანის შემქმნელმა **მესროპ მაშტოცმა** შექმნა ქართული ანბანი. ასოთა მოხაზულობის, ასევე ასოთა რიგისა და მათი რიცხვითი მნიშვნელობის არსებითი განსხვავებულობა აშკარას ხდიდა რომ სომხური და ქართული ანბანის შემქმნელი ერთი და იგივე პიროვნება არ შეიძლება ყოფილიყო. ამასთან, დამტკიცდა, რომ კორიუნის თხზულებაში ქართული ანბანის მაშტოცის მიერ შექმნის შესახებ ცნობა შემდეგაა ჩამატებული, როგორც ჩანს, ქართულ და სომხურ ეკლესიათა გათიშვის (608 წ.) შემდეგ. ამიტომ ეს თეორია დღეს უარყოფილია.

ასევე გავრცელებული იყო თეორია ქართული ანბანის ბერძნული ანბანიდან წარმომავლობის შესახებ. ამ თეორიას საფუძვლად ედო ის, რომ ქართული ანბანის თანმიმდევრობა (ა, ბ, გ...) ოცდამეექვსე ასომდე, ორი გამონაკლისის გარდა, ემთხვეოდა ბერძნულისას, მაგრამ ორივე ანბანის შესწავლამ ი. ჯავახიშვილს ათქმევინა, რომ „ქართულ ასოთა ეს რიგი ბერძნულისაგან დამოუკიდებლივ წარმომდგარა“. ი. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ „ბერძნული ასოები პირმარჯვნივ არიან გადმობრუნებული, ქართულ ასოებს კი პირმარცხნივი მდებარეობა აქვთ შენახული“. ასე, რომ ეს

თეორიაც ეჭვქვეშ დადგა და უპირატესობა მიენიჭა ქართული ანბანის ფინიკიურ-არამეულ (სემურ) დამწერლობასთან კავშირს, თუმცა არის ქართული ანბანის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების თეორიაც (მაჭავარიანი).

ქართული ანბანის გრაფიკის განვითარების საფეხურები

დღეს უკვე სადაოდ არ ითვლება ქართული ანბანის ქრისტიანობამდელ ხანაში წარმოშობა. ჯერჯერობით უძველეს ძეგლებად ითვლება **ნეკრესში** (კახეთი) აღმოჩენილი წარწერები (II-III სს.), შემდეგია **დავათის სტელაზე** აღმოჩენილი ასომთავრული წარწერა (IV ს.). ასევე უძველესია **პალესტინაში-ბეთლემში** ვირჯილიო კორბოს მიერ აღმოჩენილი წარწერები (430-იანი წლები), **ბოლნისის სიონის** წარწერა (492-493 წწ.) და სხვა. ამ დროიდან დღემდე ქართული ანბანის გრაფიკაში (მოხაზულობაში) სერიოზული ცვლილებები მოხდა და ჩამოყალიბდა ქართული ანბანის სამი სახე: **მრგლოვანი, ნუსხური** (ნუსხა-ხუცური) და **მხედრული**.

მრგლოვანი – ელიტარული ანბანია, გამორჩევისათვის გამოიყენება უძველესი დროიდან დღემდე. იყენებდნენ სათაურად, აბზაცის დასაწყისად და სხვა. იწერებოდა ორ ხაზს შუა, მისი შემადგენელი ხაზები მომრგვალებული, ნახევარი წრის ფორმისაა და იწერება ვერტიკალურად. ასომთავრულითაა შესრულებული ნეკრესის, პალესტინის, დავათის ქვაჯვრის, ბოლნისის და სხვა ადრეული ტექსტები. ასომთავრული-მრგლოვანი IX-X საუკუნეებამდე აქტიურად გამოიყენებოდა, შემდეგ კი განსაკუთრებულ შემთხვევაში. ტერმინი „ასომთავრული“ X საუკუნიდან გვხვდება, რადგან ამ დროი-

დან ტექსტში ასომთავრული აბზაცის დასაწყისში გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ ტექსტში – ნუსხური.

ნუსხური (ნუსხა-ხუცური) – მრგლოვანის სახესხვაობაა, ჩამოყალიბდა საეკლესიო მწერლობაში ინტენსიური მოხმარებისათვის. ეს არის კუთხოვანი ასოები, იწერებოდა ოთხ ხაზს შორის, დაშვებული იყო ასოთა დახრილობა.

ნუსხური IX საუკუნიდან გამოიყენებოდა. მას კუთხურსაც უწოდებენ. იგი აქტიურად გამოიყენებოდა X-XI საუკუნეებიდან. პირველად მისი გამოყენება დასტურდება „სინურ მრავალთავში“ (684 წ.) და ატენის სიონის წარწერაში (835 წ.). იგი უფრო მეტად სასულიერო მწერლობაში გამოიყენებოდა.

მხედრული ანბანი X საუკუნიდან გამოიყენება, მაგრამ ინტენსიურად ჩანს XI საუკუნიდან საერო მწერლობაში. XII საუკუნიდან ქართული დამწერლობის სამივე სახე გამოიყენება: ასომთავრული – განსაკუთრებულ შემთხვევაში და სასულიერო მწერლობაში, ნუსხური სასულიერო მწერლობაში, მხედრული – საერო მწერლობაში.

ქართული ანბანის რიცხვითი მნიშვნელობა

ძველ ქართულში 38 ასო-ნიშანი იყო, XIX საუკუნიდან 33 ასო-ნიშანია: ხუთი ხმოვანი, 28 – თანხმოვანი.

ძველქართულის ასო-ნიშნებიდან ქართველ სამოციანელთა (ილია, აკაკი...) ინიციატივით ამოღებული იქნა ფუნქციადაკარგული ასო ნიშნები: ѳ – იოტა, ѯ – ხარი, ѣ – ჰე ან ე-მერვე, ѵ – ვიე, ѱ – ჰოე.

ქართულ ანბანს ძველთაგანვე რიცხვითი მნიშვნელობა გააჩნდა და მოვლენებს ასო-ნიშნებით ათარიღებდნენ. ამიტომ საჭიროა თითოეული ასო-ნიშნისა და მათი რიცხვითი მნიშვნელობის ცოდნა.

ასომთავრული	ნუსხური	მხედრული	რიცხვითი მნიშვნელობა	ასომთავრული	ნუსხური	მხედრული	რიცხვითი მნიშვნელობა
Ⴑ	ⴑ	ა	1	Ⴒ	ⴒ	ტ	300
Ⴓ	ⴓ	ბ	2	Ⴔ	ⴔ	ჳ	400
Ⴕ	ⴕ	გ	3	Ⴖ	ⴖ	ჴ	—
Ⴗ	ⴗ	დ	4	Ⴘ	ⴘ	ფ	500
Ⴙ	ⴙ	ე	5	Ⴚ	ⴚ	ქ	600
Ⴛ	ⴛ	ვ	6	Ⴜ	ⴜ	ღ	700
Ⴝ	ⴝ	ზ	7	Ⴞ	ⴞ	ყ	800
Ⴟ	ⴟ	ჱ	8	Ⴠ	ⴠ	შ	900
Ⴡ	ⴡ	თ	9	Ⴢ	ⴢ	ჩ	1000
Ⴣ	ⴣ	ი	10	Ⴤ	ⴤ	ც	2000
Ⴥ	ⴥ	კ	20	Ⴆ	ⴆ	ძ	3000
Ⴧ	ⴧ	ლ	30	Ⴇ	ⴇ	წ	4000
Ⴉ	ⴉ	მ	40	Ⴈ	ⴈ	ჭ	5000
Ⴋ	ⴋ	ნ	50	Ⴊ	ⴊ	ხ	6000
Ⴍ	ⴍ	ჲ	60				
Ⴎ	ⴎ	ო	70	Ⴏ	ⴏ	ჵ	7000
Ⴐ	ⴐ	პ	80	Ⴟ	ⴟ	ჶ	8000
Ⴣ	ⴣ	ჟ	90	Ⴠ	ⴠ	ჷ	9000
Ⴤ	ⴤ	რ	100	Ⴡ	ⴡ	ჸ	10000
Ⴑ	ⴑ	ს	200				

მაგლითად, 1800 ასე იწერებოდა: ჩყ, სადაც ჩ=1000, ყ=800 ან: 1520=ჩფკ; 1783=ჩლპგ და ა.შ.

წერის მასალა და იარაღი

დამწერლობის განვითარების შესაბამისად ვითარდებოდა წერის მასალა და იარაღი. პირველი იეროგლიფური დამწერლობის ნიმუშები შესრულებულია **მაგარ მასალაზე. ქვაზე, გამომშრალი თიხის ფირფიტებზე, ძვალზე, ხეზე.** წარწერები კეთდებოდა სპეციალურად დამზადებულ ქვის

ფილებზე, მათ **„ფიცარნი ქვისანი“** ერქვა. იყენებდნენ ცვილგადაკრულ ხის ფიცრებსაც – **„ფიცარნი ცვილოანნი“**. მისი უპირატესობა ის იყო, რომ მასზე ნაწერის წაშლა და ახალი ტექსტის დაწერა შეიძლებოდა. ცვილოვან ფიცრებს ევროპაში იყენებდნენ XIII-XIV საუკუნეებშიც.

წერის მყარი მასალის გამოყენება საქართველოში უპირატესად ქვის გამოყენებით დასტურდება (ნეკრესი, დავათის სტელა, ბოლნისის სიონის წარწერა...).

წერის მასალის განვითარების მომდევნო ეტაპია **პაპირუსის** გამოყენება. იგი ეგვიპტელებმა გამოიყენეს პირველად. პაპირუსის მცენარე მდ. ნილოსის ჭაობიან ადგილებში ხარობდა. საწერად იყენებდნენ პაპირუსის მცენარის გულიდან თხლად ათლილ ფენას. იგი შემდეგ ბერძნებმა გამოიყენეს, მოგვიანებით კი ევროპაც ეზიარა ამ სიახლეს. საქართველოში მას **ჭილს** ეძახდნენ.

საქართველოში იყენებდნენ თუ არა პაპირუსს – ჭილს, ჯერ კიდევ დადასტურებული არაა. ჭილზე ნაწერი მხოლოდ ორი დოკუმენტია ცნობილი ქართულად, მაგრამ ისინი პალესტინიდან, საბა წმინდის ლავრადან, ქართველთა მონასტრიდან რუს მეცნიერს პორფირი უსპენსკის ჩაუტანია რუსეთში. ამჟამად ეს ძეგლები (ფსალმუნი, თვენი) საქართველოშია.

ძველ საქართველოში უფრო აქტიურად გამოიყენებოდა **პერგამენტი (ეტრატი)**, რომლის შესახებ აზიაში ადრევე სცოდნიათ, ხოლო პერგამონი (საბერძნეთი) ტყავის საწერი მასალის სავაჭრო ცენტრი ყოფილა. აქედან წარმოდგება მისი სახელიც – პერგამენტი. პერგამენტის შექმნის დროდ ჩვ. წ-დე მეორე საუკუნეს ასახელებენ და მის გამომგონებლად ლეგენდარულ ევმენ II-ს (195-158 წწ.) თვლიან. პერგამენტს ცხვრის, კრავის, თხის, ხბოს ტყავისაგან ამზადებდნენ. სა-

ქართველოში პერგამენტს **ეტრატს** ეძახდნენ და ადგილზევე მზადდებოდა. მის თვისებას დიდი გამძლეობა და მოქნილობა შეადგენდა, რამაც გავრცელებაში შეუწყო ხელი. ეტრატი VIII-XIII საუკუნეებში გაბატონებული საწერი მასალა ყოფილა. საქართველოში V-VI საუკუნის სასულიერო ძეგლები უკვე ეტრატზეა შესრულებული, ხოლო XI-XII საუკუნეებში ერთპიროვნულადაა გაბატონებული. იგი საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, ამიტომ წესად ჰქონიათ ეტრატზე ადრე ნაწერის წაშლა ახალი ტექსტის დასაწერად. ორჯერად გამოყენებულ ეტრატს **პალიმფსისტებს** ეძახიან. პალიმფსისტები ორმაგ ინფორმაციას შეიცავს, რადგან ქიმიური საშუალებებით ხერხდება ადრე წაშლილი ტექსტების აღდგენაც. სწორედ პალიმფსისტების წაკითხვამ დაადასტურა მეცნიერთა მიერ ადრე გამოთქმული ვარაუდი (ა. შანიძე) VI საუკუნეში ხანმეტი ძეგლების არსებობის შესახებ.

განვითარებულ შუა საუკუნეებში ეტრატი **ქაღალდმა** შეცვალა. ქაღალდის სამშობლოდ ჩინეთი ითვლება. მის შემქმნელად კი ცაი ლუნი, ამიტომ ჩინელები ქაღალდს ცაი-ცაი-ჩჟი-ს ეძახდნენ. ქაღალდის შექმნის თარიღად ჩვ.წ-ის 105 წელია მიღებული. VIII საუკუნემდე ჩინელები ქაღალდის შექმნის ტექნოლოგიას საიდუმლოდ ინახავდნენ, მაგრამ VIII საუკუნეში არაბებთან ერთ-ერთ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, ტყვედჩავარდნილი ჩინელისაგან არაბებებს ქაღალდის დამზადების საიდუმლო გაუგიათ და ამ საუკუნის ბოლოს ქაღალდის დამამზადებელი სახელმწიფო ქარხანაც ჰქონიათ. არაბეთიდან XI საუკუნისათვის ესპანეთში გავრცელებულა ქაღალდის დამზადების გაუმჯობესებული ტექნოლოგია და 1150 წელს აქ შეუქმნიათ პირველი ქაღალდის წისქვილი. ქაღალდის ტექნოლოგია აქედან გავრცელებულა ევროპის სხვა ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია, იტალია) და XIV საუკუნიდან ისე გამრავლებულა და გაიაფებუ-

ლა ქაღალდი, რომ XV საუკუნიდან ეტრატი აღარ გამოიყენებოდა.

საქართველოში, XII საუკუნეზე ადრე ქაღალდზე დაწერილი ქართული ხელნაწერი, არ ჩანს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთი საქართველო VII-IX საუკუნეებში სახალიფოს შემადგენლობასა და მფარველობაში იყო, შეიძლება ვარაუდი, რომ უფრო ადრე უნდა გამოეყენებინათ აქ ქაღალდი.

ქაღალდის ფართოდ გავრცელების გამო, ქარხნები ქაღალდს ფირმისა და ხარისხის მაჩვენებელ ნიშნებს უკეთებდნენ, რომელთაც **ფილიგრანებს** (ჭვირნიშანი – ქართ.) უწოდებენ. ჭვირნიშნებს ფირმები დროდადრო ცვლიდნენ, მაგრამ მათი მოქმედების დრო ცნობილია. ამასთან, მიღებული იყო, რომ ჭვირნიშნები ქაღალდზე გამოყენების წინ გაეკეთებინათ, ამიტომ ისინი დაუთარიღებელ ხელნაწერთა დათარიღების საშუალებას იძლევიან.

ქაღალდზე ნაწერი პირველი ქართული ძეგლი საეკლესიო შინაარსისაა და იგი XII საუკუნით თარიღდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკლესია ძველ ჩვეულებას დიდხანს ინახავდა და ახალს ნელა ითვისებდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საერო მწერლობაში ქაღალდი XI საუკუნეში მაინც უნდა გამოყენებულიყო. ტერმინი „ქაღალდი“ XII საუკუნიდან ჩანს შოთა რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“: „ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან ნამოღვაწები, ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველთა ამონაწები, მე გული შენი **ქაღალდად** გულსავე ჩემსა ვაწები“.

საწერი იარიღის სახე და ფორმა დამოკიდებული იყო საწერი მასალის თვისებებზე. მაგარ საწერ მასალაზე საწერი იარაღიც მაგარი და მჭრელი უნდა ყოფილიყო. რბილ მასა-

ლაზე, შესაბამისად, რბილი და მოხერხებული მასზე სამუშაოდ, ამიტომ დროთა განმავლობაში იგი იცვლებოდა.

მაგარ მასალაზე ორნაირად წერდნენ ტექსტს: „შთაწერილი“, „ამოჭრილი“ ასოებით და **„გამოქანდაკებით** (ამობურცული ასოებით). ამას აკეთებდნენ სპეციალური რკინის **იარაღით – „ფრჩხილით ადამანტისაჲთ“.**

რბილ მასალაზე საწერ მოწყობილობას „საწერელი“ ერქვა. იყენებდნენ საწერ იარაღად ლერწმის წაწვეტიანებულ წვრილ ღერებს, შემდეგ მას კალამს ეძახდნენ („ტანი კალამად მაქვს, კალამი ნაღველთა ამონაწობი“ – რუსთ). შემდეგ კალამი ერქვა ფრინველის (ბატის) ფრთასაც. XVIII საუკუნიდან ჩანს **„კალამნი ფოლადისანი“.**

ძველ ქართულში შავ საღებავს **მელანი** ერქვა, ხოლო წითელი მელანი **სინგურის** სახელს ატარებდა. სინგურით სათაურებს ან აბზაცის დასაწყის ასოებს წერდნენ. წესად იყო ხელნაწერთა გაფორმება, შემკობა ორნამენტებით ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით. განსაკუთრებული წიგნების ყდებს ვარაყით ამკობდნენ (ლითონის თხელი ფურცლით მოსავდნენ), ტექსტში კი სინგური ჭარბობდა.

შუა საუკუნეების მიწურულამდე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცოდნა, ინფორმაცია ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა.

წიგნის ბეჭდვის დასაწყისი. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები

წიგნის ბეჭდვა უდიდესი გამოგონება იყო. პირველი ნაბეჭდი ტექსტი კორეაში შეიქმნა, ქსილოგრაფიული წესით, ჩვ. წ-ის VIII საუკუნეში (704-751 წწ.), რაც იმას გულისხმობს, რომ ტექსტს ამოკვეთდნენ ფიცარზე, საღებავს წაუსვამდნენ და შემდეგ მასზე ქაღალდის დადებით ტექსტს ამრავ-

ლებდნენ. ევროპაში პირველი დათარიღებული ტექსტი 1423 წლითაა მოღწეული.

განსაკუთრებულია მაინც წიგნის ბეჭდვის გამოგონება, რადგან მან გააიოლა, გააიაფა და ხელმისაწვდომი გახადა წიგნი. ამ დიდი გამოგონების ავტორია გერმანელი **იოჰან გუტენბერგი** (დაახ. 1397-1468 წწ.). წიგნის ბეჭდვის საწყის თარიღად 1440 წელია მიღებული. შემდეგ ეს გამოგონება გავრცელდა XV საუკუნეშივე ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში: იტალიაში – 1468 წელს; უნგრეთში – 1473 წელს; პოლონეთში – 1474 წელს; ინგლისში – 1477 წელს; რუსეთში – 1565 წელს.

XV-XVI საუკუნეებში, საქართველოში განვითარებული მძიმე პოლიტიკური მოვლენების გამო საქართველო ვერ ეზიარა ამ ახალ კულტურულ მიღწევას, მაგრამ XVII საუკუნეში ევროპის, კერძოდ რომის პაპის და საქართველოს ინტერესთა თანხვედრამ (პაპს აღმოსავლეთში კათოლიკობის გავრცელება და შესაბამისად სავაჭრო გზის ათვისება სურდა, საქართველოს კი ევროპისგან დახმარება ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში), ქართული წიგნის დაბეჭდვას შეუწყო ხელი რომში. საქართველოში გამოსაგზავნად კათოლიკე მისიონერების მომზადებისთვის ქართული ენის შესწავლა იყო საჭირო. ამას დაემთხვა თეიმურაზ I-ის ელჩის **ნიკოლოზ ომანის-ძე ჩოლოყაშვილის** (ირუბაქიძე) (რომში მას ნიკოლოზ ირბახს ეძახდნენ) ჩასვლა ვატიკანში დახმარების თხოვნით (1627 წ). ჩოლოყაშვილის დახმარებით, იტალიელმა **სტეფანე პაოლინმა** ჩამოასხა ქართული ანბანი და ამით ჩაეყარა საფუძველი პირველი ქართული წიგნის – **„ქართულ-იტალიური ლექსიკონის“** გამოცემას 1629 წელს. იგი 3086 ქართულ სიტყვას შეიცავდა. იმავე წელს გამოიცა **„ქართული ანბანი ლოცვებითურთ“**. 1643 წელს გამოიცა მესამე

წიგნი – „ქართული ენის გრამატიკა“ ლათინურ ენაზე კათოლიკე მისიონერის ფრანცისკო მარიო მაჯიოს მიერ, რომელიც 4-5 წელი მისიონერად ყოფილა ადრე საქართველოში. რომში გამოიცა სხვა ქართული წიგნებიც.

ქართული წიგნის ბეჭდვის მეორე საზღვარგარეთული ცენტრი გახდა ქ. მოსკოვი, სადაც XVII საუკუნის ბოლოს იმერეთში მძიმე პოლიტიკური სიტუაციის შექმნის გამო, გადაიხვეწა **იმერეთის მეფე არჩილი.** მან პეტრე პირველის ნებართვით მოსკოვის სახაზინო სტამბაში ჩამოასხმევინა ქართული ანბანი და დაბეჭდა **„დავითნი“** (1705 წ.).

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში განსაკუთრებულია წიგნის ბეჭდვის დაწყება ქ. თბილისში. ეს დიდი საქმე განხორციელდა ვახტანგ VI ჯანიშანობის დროს 1709 წელს. მან ვლახეთიდან (რუმინეთი) ჩამოიყვანა ანთიმოზ ივერიელის მოწაფე, ცნობილი მესტამბე მიხეილ იშტვანოვიჩი და სტამბა გაამართვინა. 1709 წელს „სახარების“ ქართულ ენაზე დაბეჭდვით დაიწყო დიდი საქმე – ქართული წიგნის ბეჭდვა საქართველოში. 1712 წელს დაიბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ამ სტამბაში 1722 წლამდე 20 წიგნი დაიბეჭდა. 1723 წელს კი სტამბამ მუშაობა შეწყვიტა ოსმალთა მიერ თბილისის დაკავების გამო. შემდეგ წიგნები გამოიცა მოსკოვის ახლოს სოფ. ვსეხსვიატსკოეში იოსებ სამებელის მიერ აღდგენილ სტამბაში, შემდეგ კი 1749 წელს ერეკლე II-ს მიერ განახლებულ სტამბაში და სხვა.

რეკომენდირებული ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949
2. კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997
3. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980

4. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1990
5. შ. ძიძიგური, სიტყვის ცხოვრება, თბ., 1988
6. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიის საკითხები, ქუთაისი, 1992
7. ო. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი., თბ., 1993

კითხვები განხილვისა და დისკუსიისთვის

1. ისაუბრეთ პალეოგრაფიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებაზე
2. როგორაა ახსნილი მეცნიერებაში ენების წარმოშობის პრობლემა (გენეზისი)?
3. რამ გამოიწვია ხელოვნური ენების შექმნის მცდელობა?
4. გვესაუბრეთ დამწერლობის განვითარების საფეხურებზე
5. ქართული ანბანის რა უპირატესობებს გამოყოფენ უცხოელი ენათმეცნიერები?
6. ისაუბრეთ ქართული ანბანის გრაფიკის განვითარების საფეხურებზე
7. ისაუბრეთ წერის მასალასა და იარაღზე
8. რით აიხსნება პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების შექმნა საზღვარგარეთ?

ქრონოლოგია

დრო, მისი ათვლის ფორმები და სისტემები

დრო და სივრცე მოძრავი მატერიის არსებობის ძირითადი ფორმებია. ადამიანს მისი ცხოვრებითა და საქმიანობით მუდმივად საქმე აქვს დროსთან, რადგან მისი ყოველი მოქმედება (მწარმოებლური, შემეცნებითი) დროში ხდება.

დრო ორგვარია: **ისტორიული და გეოლოგიური დრო. ისტორიული დრო** ადამიანის მოღვაწეობის ასათვლელი დროა, **გეოლოგიური** კი დედამიწისა და ცოცხალი ბუნების წარმოშობა-განვითარების.

ისტორიულ დროს ითვლიან: ათასწლეულებით, საუკუნეებით, წლებით, თვეებით, კვირეებით, დღეებით, საათებით, წუთებით და წამებით. ძირითადი ერთეულია – წელი.

გეოლოგიური დროს ერთეულებია: ერა, პერიოდი, ეპოქა, საუკუნე.

დედამიწის წარმოშობას 4,5 მილიარდი წლით ანგარიშობენ, ცოცხალი ბუნებისა (ფლორა, ფაუნა) – 3,5 მილიარდი წლით, ადამიანისა – 2,5-3 მილიონი წლით, „გონიერი ადამიანის“ (ჰომო საპიენს) – 40 ათასი წლით.

დედამიწის უკანასკნელი 600 მილიონი წლის ისტორიას ყოფენ სამ ერად: **პალეოზოური** – 600-245 მილიონი წელი; **მეზოზოური** – 245-65 მილიონი წელი; **კაინოზოური ერა** – 65 მილიონი წლიდან – დღემდე (**კაინოზოური** ერას მესამეული პერიოდი (**პალეოგენური**) მოიცავს 65-2 მილიონ წელს, ხოლო მეოთხეული პერიოდი (**ანთროპოგენური**) მოიცავს დროს – 2 მილიონი წლიდან – დღემდე).

ისტორიული დროში ანგარიშობენ ადამიანის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ მოვლენებს და მას ყოფენ პერიოდებად. მაგრამ ეს დაყოფა პირობითია, რადგან საფუძვლად სხვადასხვა არგუმენტები შეიძლება აღებულ იქნას:

სამუშაო და საბრძოლო იარაღების მასალა: (ქვა, ბრინჯაო, რკინა), შესაბამისად: ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანა; სოციალური **ცხოვრების ფორმა**: პირველყოფილის–ველურობა, ბარბაროსობა, ცივილიზაცია; **ფორმაციული წყობა** (პირველყოფილი თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური...); სხვადასხვა კატეგორიის არგუმენტთა ერთობლიობა (რელიგია, სოციალური წყობა...).

დღეს მიღებული ისტორიის ზოგადი პერიოდიზაცია ასეთია: **ძველი** – ადამიანის გაჩენიდან ახ.წ-ის V საუკუნის ჩათვლით; **შუა საუკუნეები** – VI საუკუნიდან XV საუკუნის ჩათვლით; **ახალი** – XVI საუკუნიდან – XIX საუკუნის შუა ხანებამდე; **უახლესი** – XIX საუკუნის შუა ხანებიდან – დღემდე.

ცალკეული ქვეყნებისათვის მათი საზოგადოებრივ–ეკონომიკური დ პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად, ისტორიის პერიოდიზაციაც შეიძლება განსხვავებული იყოს.

მაგალითად, საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაც განსხვავებულია ისტორიის ზოგადი პერიოდიზაციისაგან:

საქართველოს ისტორიის **ძველი ხანა** მოიცავს დროს ადამიანის გაჩენიდან – ახ.წ-ის IV საუკუნის ჩათვლით; **შუა საუკუნეები** – V საუკუნიდან – XIX საუკუნის შუა ხანებამდე; **ახალი** – XIX საუკუნის შუა ხანებიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე; **უახლესი** – XX საუკუნის 90-იანი წლებიდან – დღემდე.

ახლა კი ვისაუბროთ დროის შემსწავლელი მეცნიერების – ქრონოლოგიის შესახებ.

ქრონოლოგიის საგანი და ამოცანები

ქრონოლოგიის საგანი მის სახელწოდებაშივე ჩანს. „ქრონოს“ ბერძნულად დროს ნიშნავს, „ლოგოსი“ კი სიტყვა,

ცოდნა, მოძღვრებაა. ასე, რომ ქრონოლოგია არის მეცნიერება დროს შესახებ.

ქრონოლოგიის ორ სახეს არჩევენ: **მათემატიკური ანუ ასტრონომიული** ქრონოლოგია და **ტექნიკური, ანუ ისტორიული** ქრონოლოგია.

მათემატიკური ქრონოლოგია სწავლობს მუდმივად განმეორებად ციურ მოვლენებს, ადგენს ზუსტ ასტრონომიულ დროს და მის საზომ ერთეულებს. იგი საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ მეცნიერებებს განეკუთვნება.

ტექნიკურ ანუ ისტორიულ ქრონოლოგიას ისტორიულ მოვლენათა დროის განსაზღვრა აინტერესებს. ამისათვის იგი იყენებს მათემატიკური ქრონოლოგიის მონაცემებს და სწავლობს ადამიანის მიერ დაგროვებულ გამოცდილებას დროის აღრიცხვის საქმეში. ისტორიული ქრონოლოგია ჰუმანიტარულ მეცნიერებად ითვლება, მაგრამ უშუალო კავშირი აქვს ტექნიკურ დისციპლინებთან, რადგან ორივე მეცნიერებათა მიჯნაზე მდებარეობს.

საზოგადოების განვითარების ხანგრძლივ დროში სხვადასხვა ხალხმა დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები შექმნა, ზოგიერთს ერთდროულად რამდენიმე სისტემაც კი ჰქონდა. ისტორიული ქრონოლოგიის მიზანს თითოეული მათგანის ჩამოყალიბების ისტორიის შესწავლა წარმოადგენს. იგი არკვევს თანამედროვე კალენდრის წარმოშობისა და განვითარების საკითხს, სწავლობს თარიღთა აღნიშვნის სხვადასხვა წესს, წელთაღრიცხვის ერთი სისტემიდან მეორეში გადაყვანის ხერხებსა და მეთოდებს, შედარებითი მეთოდის გამოყენებით აზუსტებს წყაროში მოტანილ თარიღებს და თვით ამ წყაროს დაწერის დროს.

ყველა ისტორიული მოვლენა დროსა და სივრცეში ხდება. ამიტომ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობის გაგება, მათ შორის კავშირის დადგენა და კანონზომიერებების შესწავლა

აუცილებელს ხდის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გათვალისწინებას, დროის აღრიცხვის სისტემების ღრმა ცოდნას. ქრონოლოგიის გარეშე ისტორია ზღაპარს დაემსგავსებოდა. შემთხვევითი არაა ცნობილი რუსი ისტორიკოსის ნ.ი. კარაევის (1850-1931) სიტყვები: „ისტორიის სახელმძღვანელოში ქრონოლოგიური თარიღები ისეთსავე როლს ასრულებენ, როგორსაც გეოგრაფიის რუკებში გრადუსთა ბადე ასრულებს“.

ქრონოლოგიის წარმოშობა და განვითარება

დროზე დაკვირვება ადამიანს უძველესი დროიდან დაუწყია. პირველი ქრონოლოგიური გამოთვლები ძველი ეგვიპტისა და ბაბილონის წერილობით ძეგლებში გვხვდება. დათარიღების ეს ნიმუშები უმთავრესად პრიმიტული ხასიათისანი არიან და რაიმე მეცნიერულ კანონზომიერებას არ ემორჩილებიან. ასეთივე იყო ძველბერძნული ქრონიკების ცნობებიც. პირველი, ვინაც სხვადასხვა სისტემის სათარიღო მაჩვენებლები ერთ მოდელში მოაქცია იყო **ჰელანიკე ლესბოსელი,** რომელიც პელეპონესის ომის (431-404) ამბებს აღწერდა. შემდეგ ამ მეთოდით სინქრონული ტაბულები შეადგინეს ბერძენმა სწავლულებმა **ტიმეოსმა** (დაახლ. ძვ. წ. 356–260) და **ერასტოთენმა** (ძვ. წ. 250 წ.). ეს ცხრილები, როგორც წესი, ოლიმპიადების აღრიცხვებს ეფუძნებოდა.

ქრონოლოგიის საკითხებს მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს ძველ რომშიც. **ვარონის, ცენზორინის, პტოლემაიოსის** ნაშრომებში გათვალისწინებულია იმდროის მიღწევები ქრონოლოგიის დარგში.

შუა საუკუნეების გარიჟრაჟზე ქრისტიანმა ისტორიკოსებმა ევსევი კესარიელმა (დაახ. 263-340) და იერონიმემ წინამორბედთა ნაშრომების საფუძველზე საერო ქრონოლოგიას ჩაუყარეს საფუძველი.

მეცნიერული ქრონოლოგიის ფუძემდებლად მაინც ითვლება იტალიური წარმოშობის ფრანგი მოაზროვნე სკალიგერი (1540-1609), რომელსაც ეკუთვნის ანტიკური წელთაღრიცხვის უნიფიკაციის პირველი ცდა. სკალიგერის მიერ შემუშავებულ ორიგინალურ სისტემას სკალიგერის ერას ანუ იულიუსის პერიოდს უწოდებენ.

საქართველოში ამ საკითხებით დაინტერესება ჩანს X საუკუნიდან. იოანე ზოსიმემ 949 წელს შექმნა კალენდარული ტრაქტატი, სადაც მსჯელობს იმაზე, სხვა ქრისტიანი ხალხებისაგან განსხვავებით, რატომ თვლიან ქართველები „დასაბამითგანს – ქვეყნის გაჩენას 5604 წლით და ფიქრობდა, რომ ეს „ვინმეს მოცდუნებითა“ მოხდა. მოგვიანებით, 1233 წ. აბუსერისძე ტბელმა შექმნა ნაშრომი „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა და განგებითა“, რომელშიც სწორადაა ახსნილი იულიუსის კალენდარში არსებული ნაკლოვანებანი და დასმულია საკითხი კალენდრის სრულყოფისა.

ქრონოლოგიის საკითხების განხილვაა მოცემული ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757), პლატონ იოსელიანის (1819-1875), მარი ბროსეს (1802-1880), დიმიტრი ბაქრაძის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვათა ნაშრომებში. ვახუშტი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა“ მკითხველს განუმარტავს, რომ „მატიანე განიყოფების ოთხნილად: ადგილის აღწერად, ნათესავმეტყუელებად, წლისმრიცხუელობად და მოქმედების აღწერად“ ასე, რომ ვახუშტის ეკუთვნის ტერმინის „წლისმრიცხველობის“ ანუ ქრონოლოგიის შემოღება და ამ პრობლემით სათანადოდ დაინტერესება. ამიტომ მას ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ფუძემდებლადაც აღიარებენ.

გაგება დროის შესახებ. დროს უძველესი ერთეულები

დროის გაგება საზოგადოების ადრეულ საფეხურზე, შრომითი საქმიანობის (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) პროცესში მოხდა. ნადირობა, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა დროს აღრიცხვის მოწესრიგებას ითხოვდა. ადამიანი საუკუნეების მანძილზე აკვირდებოდა ბნელი ღამის ნათელი დღით შეცვლას და ამჩნევდა, რომ ეს დრო თანაბარი იყო. ამიტომ ვარაუდობენ, რომ დროის უძველესი და პირველი ერთეული **დღე-ღამე** იყო.

ეს არის დრო, რომელიც დედამიწას სჭირდება თავისი ღერძის გარშემო ერთხელ შემობრუნებისათვის. იგი 24 საათს შეადგენს. ვარაუდობენ, რომ რადგანაც დღე-ღამის ათვლა თითების საშუალებით ხდებოდა, აქედან გაჩნდა **ხუთდღიური, ათდღიური, ოცდღიური**... ფიქრობენ, რომ დროის შემდეგი ერთეული **მთვარის თვე** (სინოდური თვე) უნდა ყოფილიყო, რადგან უძველესი ადამიანები უპირველესად შეამჩნევდნენ მთვარის ფაზების ცვლას. ამდენად, სინოდური თვე – მთვარის ორ ერთნაირ მდგომარეობას შორის არსებული დროა – 29 დღე-ღამე, 12 სთ., 44 წთ., 2,9 წმ. (დამრგვალებულად – 29,5 დღე-ღამე). ეს არის დრო, რომელიც მთვარეს სჭირდება დედამიწის გარშემო ერთხელ შემოვლისათვის.

დროის ერთეულთაგან მნიშვნელოვანია **კვირა** და **წელიწადის დრო** ანუ **სეზონი**.

კვირა დროის ისეთი ერთეულია, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ასტრონომიული ან ბუნებრივი საფუძველი. ცალკეულ ხალხებს გააჩნდათ 5,7,8 და 10-დღიანი კვირეები.

წელიწადის დრო (სეზონი) ძველთაგანვე დროის ერთეულთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო, რადგან მასთან იყო დაკავშირებული ყოველწლიური სასოფლო-სამეურნეო

საქმიანობის დაწყება-დამთავრება. დედამიწის სხვადასხვა ნაწილში წელიწადის დროის ხანგრძლივობა სხვადასხვა იყო. თუ ჩვენთან წელიწადში ოთხ დროს გამოყოფდნენ სამ-სამი თვით, ძველ ეგვიპტელებს წელიწადის სამი დრო ჰქონდათ, ოთხ-ოთხი თვით.

გაცილებით გვიან მიაგნო ადამიანმა დროის უფრო დიდ ერთეულს – წელიწადს. ეს არის დრო, რომელიც სჭირდება დედამიწას მზის გარშემო ერთხელ შემოვლისათვის: ასტრონომიული წელი ტოლია 365 დღე-ღამისა, 5 სთ, 48 წთ., 46 წმ-ს.

პირველი კალენდრები

სამეურნეო ცხოვრების განვითარება მოითხოვდა დროს აღრიცხვის მოქნილი სისტემის შექმნას, რომ ადამიანს განესაზღვრა ხვნა-თესვის, მოსავლის აღების და სხვა აუცილებელი აქტივობების დრო. ასე შეიქმნა უძველესი კალენდრები (Calandae – თვის პირველ დღეს ნიშნავს).

კალენდარი არის დროს აღრიცხვის ხანგრძლივი შუალედების სისტემა, რომელშიც დაწესებულია დღეთა და წელთა თვლის რიგი და მითითებულია ერის დასაწყისი.

კალენდრები დამოუკიდებლად წარმოიშვა სხვადასხვა ქვეყნებში. ჩვ. ერამდე მესამე ათასწლეულის შუა ხანებში ბაბილონელებმა შექმნეს **მთვარის კალენდარი.** ამით სარგებლობდნენ ძვ. ებრაელები, ჩინელები, ბერძნები, რომაელები, ძვ. ქართველებიც... ამჟამად იგი გავრცელებულია თურქეთში, ავღანეთში, პალისტანში... ძირითადად მუსლიმანურ ქვეყნებში.

მთვარის კალენდრით თვე 29-30 დღიანია, წელიწადი კი 354 დღიანი. ეს კალენდარი ასტრონომიულთან 11 დღიან განსხვავებას იძლევა, რაც უხერხულს ხდის მის გამოყენებას

პრაქტიკულ ცხოვრებაში. მზისა და მთვარის კალენდარებს შორის განსხვავების აღმოფხვრასა და კალენდრის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად ჩინეთში **მთვარე-მზის** კალენდრის შექმნა, მაგრამ იმდენ სირთულეებსა და ნაკლს შეიცავდა, რომ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა. უფრო ფართოდ გავრცელდა ეგვიპტური მზის კალენდარი. ჩვ. ერამდე 4000 წლის წინათ ეგვიპტელებმა შექმნეს **მზის კალენდარი.** იგი მოხერხებული აღმოჩნდა და გავრცელდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ეს კალენდარი ეყრდნობა მზის წლიურ მოძრაობას. ეგვიპტელებმა შეამჩნიეს რომ ვარსკვლავი სირიუსის გამოჩენა და ნილოსის ადიდება ემთხვეოდა ერთმანეთს და ამ მოვლენებს შორის თანაბარი დრო გადიოდა. მათი გამოთვლით ეს დრო 365 დღე-ღამეს შეადგენდა. ეს ასტრონომიულ წელიწადზე 5 სთ., 48', 46" მოკლე იყო. წელიწადს ყოფდნენ 12 თვედ, **თვეს 30 დღედ**. თორმეტი 30 დღიანი თვე 360 დღეს შეადგენდა. წელიწადის ნაკლულ ხუთ დღეს ამატებდნენ წელიწადის ბოლო მეთორმეტე თვეს და ისინი ეგვიპტის ღმერთებს ეძღვნებოდა. წელიწადი იყოფოდა სამ დროდ: ნილოსის ადიდება, ხვნა-თესვის დაწყება, მოსავლის აღება, ხოლო თვე იყოფოდა ხუთ ექვსდღიან (მოკლე) და სამ ათდღიან (დიდ) კვირეებად. დროთა განმავლობაში ეგვიპტელებმა შეამჩნიეს მათი კალენდრის განსხვავება ასტრონომიულთან შედარებით და სცადეს მისი გაუმჯობესება, მაგრამ მორწმუნეთაგან წინააღმდეგობას ხვდებოდნენ. მხოლოდ ჩვ. ერამდე 26 წ, ალექსანდრიაში ჩატარებული ევერგეტის რეფორმით წელიწადი განისაზღვრა 365 დღითა და 6 საათით.

კალენდრის რეფორმა იულიუს ცეზარის დროს

კალენდრის გაუმჯობესების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა რომის კეისრის იულიუს ცეზარის (100-44 წწ.) მიერ

ჩვ. წ-დე 46 წელს გატარებულმა კალენდრის რეფორმამ. რეფორმას საფუძვლად დაედო ეგვიპტური კალენდარი.

ცეზარმა ახალი კალენდრის შესადგენად ალექსანდრიიდან მოიწვია ასტრონომები სოზიგენის მეთაურობით. სოზიგენისათვის ცნობილი იყო ასტრონომიული წლის ხანგრძლივობა (365 დღე-ღამე, 5 სთ., 48 წვ., 46 წმ.) ამიტომ კომისიის მიზანს წარმოადგენდა კალენდარული წლის ხანგრძლივობა მიახლოებოდა ასტრონომიულს. რამდენადაც კალენდარში წუთებისა და წამების გათვალისწინება შეუძლებელი იყო, ასტრონომიული წლის (365 დღე-ღამე, 5 საათი, 48 წუთი, 46 წამი) წუთები და წამები დამრგვალდა 6 საათად და კალენდარული წელი დადგინდა 365 დღე-ღამით და 6 საათით. ასე რომ კალენდარული წელი 11 წუთითა და 14 წმ-ით ხანგრძლივი გახდა ასტრონომიულზე. ამ კალენდრით წელიწადი იყოფოდა 12 თვედ, რომელთაც სახელები ზოგიერთს რომაული ღმერთებისა ჰქონდა: იანუსა, ფებრუსი, მარსა, მაიი, იუნონი, ზოგსაც მათი რიგითი ნომრის სახელი: სეპტემ – 7, ოქტო – 8, ნოვემ – 9, დეცემ – 10 (ახალი წელი მაშინ მარტში იწყებოდა).

ახალი კალენდრით ახალი წლის დასაწყისი მარტიდან პირველ იანვარს გადაიტანეს, რადგან ამ დღეს იწყებდნენ თავიანთი მოვალეობის აღსრულებას რომის კონსულები და მაგისტრატურები (არჩევითი ორგანოები). ახლა უკვე თვეთა სახელები (სეპტემ, ოქტო...) შეუსაბამო გახდა მათ რიგით ადგილთან, რადგან სექტემბერი მე-7 კი არა უკვე მე-9 თვე გახდა, ოქტომბერი – მე-10 და ა.შ.

ამასთან, იმის გამო, რომ წელიწადი 365 დღე-ღამესა და 6 საათს შეიცავს, ყოველი მეოთხე წელი 366 დღიანი გახდა და ეს ერთი დღე ყველაზე მოკლე თვეს – **თებერვალს** დაემატა (28+1) და მას **ნაკიან** თვეს და წელსაც ნაკიანს ეძახიან.

ახალი კალენდრის რეფორმის ინიციატორის იულიუს ცეზარის საპატივცემულოდ VII თვეს **(კვინტილისს)** – ივლისი, ხოლო მოგვიანებით ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ. 63-ახ.14 წწ) საპატივცემულოდ **სექსტილისს** – აგვისტო უწოდეს, რადგანაც მან კალენდრის სრულყოფაში შეიტანა წვლილი. ასე, რომ კალენდარმა ის სახე მიიღო, როგორადაც ვიცნობთ ახლა.

ამ კალენდარს იულიუსის კალენდარს უწოდებენ. იგი ძალაში შევიდა ძვ. წ-ის 46 წლის პირველი იანვრიდან. 325 წელს ნიკეის საეკლესიო კრებამ იგი მიიღო მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის და გავრცელდა ევროპის უმრავლეს ქვეყნებში.

გრიგორიანული კალენდრის შექმნა

მართალია, იულიუსის კალენდარი ყველაზე უფრო ზუსტი იყო მანამდე არსებულ კალენდართა შორის, მაგრამ ის, თითქოსდა უმნიშვნელო განსხვავება ასტრონომიულისაგან (11 წთ., და 14 წმ.) ყოველ 128 წელიწადში იძლეოდა ერთი დღე-ღამით ჩამორჩენას (სხვაობას), რამაც XVI საუკუნისათვის ათი დღე-ღამე ცთომილება გამოიწვია. თუ ასე გაგრძელდებოდა, თუ კალენდარი არ გაუმჯობესდებოდა, მისი გამოყენება დაკარგავდა აზრს. იგი აღარ გამოდგებოდა პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსაყენებლად და საეკლესიო დღესასწაულების გამოსათვლელადაც.

კალენდრის რეფორმის ინიციატორად რომის პაპი გრიგოლ XIII (1502-1576) გამოვიდა. გამოცხადდა კონკურსი ახალი კალენდრის შესაქმნელად შემდეგი პირობით:

1. გაზაფხულის ბუნიობა (დღე-ღამის თანაბრობა) კვლავ 21 აპრილს უნდა დამთხვეოდა (კალენდარი 10 დღით

ჩამორჩებოდა), ე.ი. დაგროვილი 10 დღე უნდა აღმოფხვრილიყო.

2. ახალი კალენდრით აღარ უნდა დაგროვილიყო განსხვავება.

კონკურსში იტალიელი მათემატიკოსისა და თვალის ექიმის – ლუიჯი ლილიოს (ალიოზი ლილიო) პროექტმა გაიმარჯვა. პროექტისადმი წაყენებული პირველი მოთხოვნა იმით შესრულდა, რომ პაპის სპეციალური ბულით 1562 წლის 4 ოქტომბრის მეორე დღედ არა 5, არამედ 15 ოქტომბერი გამოცხადდა, ხოლო მეორე პირობის შესასრულებლად, პროექტის მიხედვით, ყოველ 400 წელიწადში უნდა ამოვარდნილიყო სამი დღე-ღამე, რომელიც გროვდებოდა იმ 11 წთ და 14 წმ-ით (ყოველ 128 წელიწადში თითო დღით). ეს ამოვარდნა უნდა მომხდარიყო საუკუნეთა დამაგვირგვინებელი წლებიდან (1600, 1700, 1800, 1900...) ისე, რომ ნაკიან საუკუნედ და წლად დარჩენილიყო ის დამაგვირგვინებელი წელი, რომლის პირველი ორი ციფრი (საუკუნეთა აღმნიშვნელი) იყოფოდა 4-ზე. ასე, რომ ამ დამაგვირგვინებელი წლებიდან 1600 დარჩებოდა ნაკიანად, შემდეგ 2000, 2400 და ა.შ.

ახალი კალენდრით მხოლოდ 26 წამითაა ხანგრძლივი კალენდარული წელიწადი ასტრონომიულზე, რაც დღეღამურ განსხვავებას 3300 წელიწადში გამოიწვევს.

კალენდარს გრიგორიანულს უწოდებენ პაპის გრიგოლ XIII (რეფორმის ინიციატორი და გამტარებელი) სახელის მიხედვით. იგი XVII საუკუნეში მიიღეს ევროპის კათოლიკურმა ქვეყნებმა, XVIII ს-ში – პროტესტანტულმა ქვეყნებმა, ხოლო XIX ს-ის ბოლოსა და XX ს. დასაწყისში – იაპონიამ და რიგმა მართლმადიდებელმა ქვეყნებმა ევროპაში. რუსეთში იგი 1918 წელს მიიღეს, როცა განსხვავება უკვე 13 დღეს შეადგენდა.

აქედან გამომდინარეობს ჩვენთან ძველ (იულიუსის კალენადრი) და ახალ სტილს (გრიგორიანული) შორის 13 დღიანი განსხვავება.

XX საუკუნის 20-იან წლებში გრიგორიანული კალენდარი აღიარა საბერძნეთმა, თურქეთმა, ეგვიპტემ. ამჟამად ეს კალენდარი საერთაშორისოდაა აღიარებული.

კალენდრის შექმნის ამოსავალი წერტილები

მსოფლიოში დაახლოებით 200-დე წელთაღრიცხვის სისტემაა (ერა) ცნობილი. ყველა ამ ერის (წელთაღრიცხვის) დასაწყისად რაიმე მოვლენაა აღებული. მაგალითად ბერძნებს თავიანთი წელთაღრიცხვის საწყის მოვლენად პირველი ოლიმპიადის ჩატარება აუღიათ (776 წ. ჩვ. წ-დე), რომაელებს – რომის დაარსების თარიღი (753 ჩვ. წ-დე), ბაბილონელებს – ბაბილონის ტახტზე ნაბუნასარის ასვლის თარიღი (747 წ. ჩვ. წ-დე), არაბებს – მუჰამედის მექადან მედინაში გაქცევის წელი (ჩვ. წ-ის 622) და ა.შ.

ძველად ფართოდ გავრცელებული ყოფილა ერის დასაწყისად ქვეყნის გაჩენის – სამყაროს წარმოშობის თარიღის გამოყენება, მაგრამ სხვადასხვა ხალხებისა და რელიგიებისათვის ეს თარიღი სხვადასხვა ყოფილა: ბიზანტიელ მართლმადიდებელთათვის – 5508 წელი; ალექსანდრიელთათვის–5500; კათოლიკეთათვის – 4004 წელი; ებრაელთათვის – 3761 წელი; ქართველებისათვის – 5604 წელი ჩვენს ერამდე და ა.შ.

„დასაბამითგან“ 5968 წელს ითვლიდა მალალას ერა, რომელიც ყველაზე ხანგრძლივი იყო. თვლიან, რომ ეს წლები მიუთითებს ამა თუ იმ ხალხის წარმოდგენას სამყაროს გაჩენის თაობაზე.

ერა „ქრისტესით“ – ქრისტეს დაბადებიდან

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ერაა – **ქრისტეს დაბადებიდან (ქრისტესით)**. იგი შემოღებული იქნა ახ. წ.-ის VI საუკუნეში რომაელი ბერის დიონისე მცირეს წინადადებით. დიონისესათვის ცნობილი არ იყო ქრისტეს დაბადების თარიღი. იგი მან სქოლასტიკური, ლოგიკური მსჯელობით გამოიყვანა. მან იცოდა, რომ მზის ყოველი 28 წლის შემდეგ თვის რიცხვი და კვირის დღე ემთხვეოდა ერთმანეთს (მაგ. 25 იანვარი – პარასკევი დღე, 28 წლის შემდეგ ისევ 25 იანვარი პარასკევი დღე იქნება). ეს მზის წრედ, ციკლად იწოდებოდა. ასეთივე განმეორებას ჰქონდა ადგილი მთვარის ფაზების (ნამგალა, ნახევარმთვარე, სრული) ყოველ 19 წელიწადში და მას მთვარის წრეს ან ფაზას უწოდებდნენ. ამ რიცხვების გადამრავლებით (28X19) ვღებულობთ 532. მას მოქცევას ან დიდ ინდიქტიონს უწოდებდნენ. 532 წლის შემდეგ თვის ერთიდაიგივე რიცხვს შეესაბამება კვირის ერთიდაიგივე დღე და მთვარის ერთიდაიგივე ფაზა. იმ წელს მიმდინარეობდა „დიოკლეტიანეს ერას“ 248 წელი. 532-ზე 248-ის დაკლებით მიღებული 284 წელი დიოკლეტიანეს ერას დასაწყისია. ამიტომ მისი გამოთვლით, ქრისტე უნდა დაბადებულიყო დიოკლეტიანეს ერამდე 284 წლით ადრე. ამ ერას – **ახალ ერას** ეძახიან. ეს ერა VII საუკუნის პირველ ნახევარში გამოიყენეს პირველად. იმის გამო, რომ ეს ერა მოხერხებული გამოდგა რელიგიური დღესასწაულების გამოსათვლელად, სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. XVIII საუკუნიდან საყოველთაო ერად იქცა. ამ წელთაღრიცხვის შემოღების შემდეგ, დაისვა საკითხი, როგორ გამოეთვალათ მისი წინარე ხანის მოვლენები. დიდხანს ამ მიზნით „მსოფლიო ერებს“, „დასაბამითგან“ იყენებდნენ, მაგრამ შემდეგ გავრცელდა ერა „ქრისტეს შობამდე“, ან

„ჩვენს ერამდე“. მისი გამოყენება პირველად XVIII საუკუნეში ინგლისელმა მეცნიერებმა დაიწყეს.

წელთაღრიცხვის სისტემები საქართველოში

წარმართულ ხანაში ქართველები, ისე როგორც სხვა ბევრი ხალხი მთვარის კალენდრით სარგებლობდნენ; მკვლევარები ფიქრობენ, რომ ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ქართველები უკვე მზის კალენდრით სარგებლობდნენ, თუმცა მოვლენებს ამა თუ იმ მეფის გახელმწიფებიდან ათარიღებდნენ. მაგ. ბოლნისის სიონის წარწერაში (494 წ.) ტაძრის მშენებლობა დათარიღებულია სპარსეთის მეფის ჰეროზის გამეფებიდან ათვლით. ასევე, იაკობ ცურტაველი, ვარქსენის სპარსეთის სამეფო კარზე მისვლას პეროზის გამეფებიდან (მერვე წელს) ათარიღებს.

VIII საუკუნიდან ვხვდებით მოვლენების დათარიღებას სამი სისტემით, სამი ერით: „დასაბამითგან“, „ქრონიკონით“ და „ქრისტესით“. ადიშის ოთხთავი სამივე ერითაა დათარიღებული:

დასაბამითგან – ხ-ფა

ქორონიკონსა – რ-ზ

შობითგან – ჩ-ა

„დასაბამითგან“ (ქვეყნის გაჩენიდან) ერა – 5604 წლით, ქართულ ეროვნულ ერადაა მიჩნეული. ეს ერა („დასაბამისგან“) ჩვ. წ. III საუკუნეში იულიოს აფრიკელისგან მომდინარეობს. თვითონ ტერმინი „დასაბამითგან“ – ქვეყნის გაჩენიდან, გულისხმობდა სამყაროს შექმნასა და ადამის (ადამიანის) წარმოშობას. იულიოს აფრიკელ-ალექსანდრიელმა 5500 წელი მიიჩნია საწყისად ქრისტემდე, ბიზანტიელები – 5508 წელს ითვლიდნენ, ქართველებს კი 5604 წელი აქვთ მიჩნეული, რაც მკვლევართა შორის კითხვებს აჩენდა, მაგრამ წელ-

თაღრიცხვის ეს სისტემა (5604 წლიანი) შესაბამისობაშია მოყვანილი დროს აღრიცხვის „ქორონიკონების“ სისტემასთან, რომელსაც ქართველები VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან იყენებდნენ. 5604 წლიანი „დასაბამითგან“ განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს VII საუკუნიდან – სომხურ და ქართულ ეკლესიათა გათიშვის (608 წ.) შემდეგ, რადგან მანამდე **ანდრია ბიზანტიელის მიერ შემოღებული 5600 წლიანი** ერით სარგებლობდნენ ქართველები.

5604 წლიანი „დასაბამითგან“ მართლაცდა შესაბამისობაში **ჩანს „ქრონიკონებით“ წელთაღრიცხვასთან**. რადგან „ქრონიკონებით“ წელთაღრიცხვა ემყარება 532 წლიანი ციკლებით (მოქცევა) წლების ათვლას, იმახსოვრებდნენ გასულ მოქცევათა (532 წელი) რაოდენობას. „ქრონიკონებით წელთაღრიცხვა ჩვენთან 780 წლიდან დაუწყიათ, როცა უკვე 12 მოქცევა იყო გასული (12 მოქცევა ტოლია 12X532=6384 რადგან ქართული „დასაბამითგან“ ქრისტეს შობამდე ითვლის 5604 წელს, თუ ამას ქრონიკონებით წლების ათვლის დაწყების წელს – 780-ს დავუმატებთ (5604+780), მივიღებთ 6384 წელს (12 მოქცევის ნამრავლს), რაც ამტკიცებს ამ ორი (ქართული „დასაბამითგან“ და „ქრონიკონის) შესაბამისობას. ქრონიკონებით ქართველები ორი მოქცევის პერიოდში (XIII, XIV მოქცევები) სარგებლობდნენ ამ ერით (მე-13 მთავრდებოდა 1312 წელს, მე-14 კი 1844 წელს). ამის შემდეგ დროს აღრიცხვა იულიუსის კალენდრის მიხედვით ხდებოდა.

ერა „ქრისტესით“ საქართველოში VIII საუკუნეზე ადრე არ ჩანს გამოყენებული (აბო ტფილელის მარტვილობა). X საუკუნიდან იგი უფრო აქტიურად გამოიყენება, ზოგჯერ სხვა წელთაღრიცხვის სისტემასთან ერთადაც (ადიშის ოთხთავის დათარიღებისას).

არაბული წელთაღრიცხვა (ჰიჯრა)

რამდენადაც საქართველოს საუკუნეების განმავლობაში ურთიერთობა ჰქონდა მუსლიმანურ სამყაროსთან, წერილობით წყაროებში ხშირად მოვლენები დათარიღებულია არაბული წელთაღრიცხვით. ამ ერის გაჩენა დაკავშირებულია არაბთა დიდი წინასწარმეტყველის მუჰამედის სახელთან. იგი მექაში დაბადებულა 570 წლის ახლოს, ღარიბი ვაჭრის (კორეიშიტის) ოჯახში. ადრე დაობლებულა და ბიძა – აბუ ტალები ზრდიდა. ბავშვობა მწყემსობაში გაუტარებია, შემდეგ მდიდარ ქალ ხატიჯეზე დაქორწინებულა და ვაჭრობა დაუწყია. 40 წლისა რელიგიური საკითხებით დაინტერესებულა და ერთი ღმერთის „ალაჰის“ ქადაგება დაუწყია. ეს იყო არაბეთში კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის ხანა. ადგილობრივი რელიგიის ქურუმებთან დაპირისპირების გამო 622 წელს მუჰამედი იძულებული გახდა მექადან მედინაში გაქცეულიყო. ეს თარიღი დაედო საფუძვლად არაბულ წელთაღრიცხვას (ჰიჯრას) (გაქცევას ნიშნავს, აქედან – მუჰაჯირი). იგი მთვარის წელიწადებით (354 დღე) აღირიცხება. ამიტომ აუცილებელი ხდება ჰიჯრით დათარიღებული მოვლენების ჩვენს წელთაღრიცხვაზე გადაყვანა. ამისათვის შემუშავებულია ფორმულა, რომელშიც ჰიჯრით მოცემული თარიღი X-ით აღინიშნება (622+ X)-(X:33)=

ამ ფორმულაში 33 ნიშნავს იმ წელთა რაოდენობას, რომლის განმავლობაში 11 დღიანი განსხვავება იძლევა ერთ წელს. X-ის ადგილზე ჩაისმება ჰიჯრის ის წელი, რომელიც გადასაყვანია ახალ წელთაღრიცხვაზე. მაგ.: თუ X=720, მაშინ ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს: (622+720)–(720:33)=1058.

არის ჩვენი წელთაღრიცხვით მოცემული თარიღის ჰიჯრაზე გადაყვანის ფორმულაც: აქ X-ით აღინიშნება ჩვ. წ.-ის თარიღი: $\frac{(X-622)\ 100}{97}$

კვირის დღეები და თვეები ძველ საქართველოში

ძველ საქართველოში წლის დასაწყისად მიღებული იყო 6 აგვისტო, ე.წ. „აგვისტოს წელი“. VII-VIII საუკუნეებში გავრცელებული იყო ე.წ. ინდიქტიონური წელიწადი – წლის დაწყება 1 სექტემბრიდან (აქედანაა, რომ სექტემბერს ახალწლისა ჰქვია), VIII საუკუნის ბოლოდან წლის დასაწყისად ხარების სტილი – 25 მარტის ახალწლობა შემოდის.

X საუკუნიდან შემოვიდა საქართველოში იანვრის პირველიდან ახალწლობის აღნიშვნა, თუმცა ქორონიკონისათვის კვლავ 25 მარტი რჩებოდა წლის დასაწყისად. ახალი წლის პირველი იანვრით დაწყება საქართველოში XIV საუკუნიდან მტკიცედ იკიდებს ფეხს. რუსეთში – XVII საუკუნიდან, ინგლისში XVIII საუკუნიდან.

წელიწადი იყოფოდა თორმეტ თვედ რომელთაც ოფიციალური და ხალხური სახელები ერქვათ:

	ძვ.ქართული	**ხალხური**
იანვარი	აპანი	თებერვალი
თებერვალი	სურწყუნისი	განცხადებისთვე
მარტი	მირკანი	მარტი
აპრილი	იგრიკა	აპრილი
მაისი	ვარდობისა	ივანობისთვე (თიბათვე)
ივლისი	თიბისა	კვირკობისთვე (მკათათვე)
აგვისტო	ქველთობისა	მარიამობისთვე
სექტემბერი	ახალისწლისა	ენკენისთვე
ოქტომბერი	სთვლისა	ღვინობისთვე
ნოემბერი	ტირისკონი	გიორგობისთვე (ჭინკობისთვე)
დეკემბერი	ტირისდენი	ქრისტეშობისთვე

თანამედროვე თვეთა სახელები მომდინარეობს:

იანვარი – რომაელი დროისა და მფარველი ღმერთის იანუსას სახელიდან

თებერვალი – ქვესკნელის მბრძანებელი რომაული ღმერთი ფებრუსის სახელიდან

მარტი – ომის ღმერთის მარსის სახელიდან

აპრილი – ლათინური „აპერირე"-დან (გახსნა)

მაისი – განახლებული ბუნების ღმერთის მაიას სახელიდან

ივნისი – ნაყოფიერების ქალღმერთ იუნონის სახელიდან

ივლისი (**კვინტლისი**) – იულიუს კეისრის საპატივცემულოდ

აგვისტო (**სექსტილისი**) – ოქტავიანე ავგუსტუსის საპატივცემულოდ.

დანარჩენი თვეების სახელები მათი რიგითი ნომრებია მარტის კალენდრით გაანგარიშებული (სეპტემ – 7, ოქტო – 8...).

თვეები იყოფოდა კვირეებად. კვირა ბერძნულად ნიშნავს უფლისას, საუფლოს. კვირის სინონიმებია მსგეფსი და შვიდეული. საერთოდ, სხვადასხვა ხალხებს კვირა ჰქონიათ ხუთდღიანი, რვადღიანი, ცხრადღიანი და ათდღიანიც (ეგვიპტე).

ქრისტიანობამდე საქართველოში უქმე დღე იყო ორშაბათი – მაშინდელი „მთოვარისა", ვინაიდან იმ დროს ქართველთა მთავარი ღმერთი მთვარე ყოფილა. ამიტომ იყო, რომ IV-V საუკუნეებში უქმე დღის აღსანიშნავად ქართველები კვირასთან ერთად „ერთშაბათსაც" იყენებდნენ.

კვირის დღეები: კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი შემოღებულია ებრაელთა მიერ და საქართველოში გავრცელდა ქრისტიანობის გაბატონების შემდეგ.

IV საუკუნემდე კვირის დღეებს ერქვა პლანეტათა სახელები: კვირა – მზისა (მზე), ორშაბათი – მთოვარისა (მთვა-

რე), სამშაბათი – არიასი (მარსი), ოთხშაბათი – ერმისა (მერკური), ხუთშაბათი – აფროდიტისა (ვენერა), პარასკევი – დიოსისა (იუპიტერი), შაბათი – კრონოსისა (სატურნი).

საქართველოში „დასაბამითგან“ და „ქორონიკონებით“ წელთაღრიცხვა ძველთაგანვე გამოიყენებოდა, „ქორონიკონებით – 1844 წლამდე. ამ დროიდან აქტიურად გამოიყენება იულიუსის კალენდარი, ხოლო 1918 წლიდან გრიგორიანული კალენდარით ანგარიშობენ დროს. აქედანაა დროს აღრიცხვა ორი სტილით „ძველი“ და „ახალი“ სტილით.

იულიუსის კალენდარი გრიგორიანულს ჩამორჩებოდა:

1582 წლის ოქტომბრიდან 1700 წ. თებერვლამდე – 10 დღით

1700 წ. მარტიდან – 1800 წ. თებერვლამდე – 11 დღით

1800 წ. მარტიდან – 1900 წ. თებერვლამდე – 12 დღით

1900 წ. მარტიდან – 2100 თებერვლამდე – 13 დღით

მოვლენების დათარიღება რელიგიური დღესასწაულებითა და ბუნებრივ-ასტრონომიული მოვლენებით

წერილობით წყაროებში არაა იშვიათი, როცა არაა მითითებული მოვლენის ზუსტი თარიღი. ასეთ შემთხვევაში მკვლევარი ვალდებულია მოვლენა დაათარიღოს სხვა საშუალებებით, ტექსტში მითითებული რელიგიური დღესასწაულის ან ბუნებრივ-ასტრონომიული მოვლენით (წყალდიდობები, მიწისძვრა, მზისა და მთვარის დაბნელება და სხვა), რადგან ეს მოვლენები ჩვეულებრივად აღრიცხული და დათარიღებულია, ამიტომ ტექსტში მათი ხსენება მინიშნებებით, ისტორიული მოვლენის დათარიღების საშუალებასაც იძლევა.

ახალი მსოფლიო კალენდრის პროექტი

მიუხედავად იმისა, რომ გრიგორიანული კალენდარი საკმაოდ ზუსტია, მას სხვა ბევრი ნაკლოვანებები ახასიათებს:

1) თვეებში დღეთა არათანაბარი რაოდენობაა
2) ასევე კვარტლებშიც დღეთა უთანაბრობაა (90-92)
3) წლის პირველი ნახევარი 2-3 დღით ნაკლებია მეორეზე
4) წლის, თვის, კვარტლის დასაწყისი არ მოდის ერთდაიმავე დღეზე
5) თვეებში არაა თანაბარი სამუშაო დღეთა რაოდენობა
6) აშკარად მოძველებულია თვეთა სახელები

ყველაფერ ამის გამო, საუკუნეზე მეტია, რაც დაისვა საკითხი ახალი მსოფლიო კალენდრის შექმნის შესახებ. შეიქმნა კიდეც არაერთი პროექტი, რომელთაგან გამორჩეული იყო **გუსტავ არმელინისა**, სადაც თითქმის აღმოფხვრილიყო ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებები, მაგრამ არ იქნა მიღებული. ამ კალენდარს ემთხვეოდა ე.წ. კუმრანული კალენდარი, რომელიც მკვდარი ზღვის (წითელი ზღვა) სანაპიროზე კუმრანის თემის ეტრატებში ინახა.

1923 წელს, ჟენევაში ერთა ლიგასთან ჩამოყალიბდა კალენდრის რეფორმის საერთაშორისო კომიტეტი. შეიქმნა მსოფლიო კალენდრის საერთაშორისო ასოციაციაც. ამას მოჰყვა არაერთი პროექტის შექმნა. ზოგიერთის მიხედვით წელიწადი 12 თვიანია, ზოგიც 13 თვიანი. საბოლოოდ გაიმარჯვა თორმეტთვიანმა კალენდარმა. მას **მსოფლიო კალენდარს** ეძახიან. მისი მონაცემები ასეთია:

1) წელიწადი იყოფა 182 დღიან ორ ნახევრად, რომლებშიც შედის ორ-ორი 91 დღიანი კვარტალი – თითოეულში 13 კვირით.

2) ყოველი კვარტალი შეიცავს სამ თვეს, რომელთაგან პირველში 31 დღეა, დანარჩენ ორში – 30-30 დღე

3) ყოველი წლის პირველი დღე კვირაა

4) ყოველი კვარტალი იწყება კვირით, მთავრდება შაბათით.

5) რადგან ოთხი 91 დღიანი კვარტალი 364 დღეს შეადგენს, ყოველ წელს, ახალი წლის წინ დაემატება ერთი „ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის“ დღე, ხოლო ოთხ წელიწადში ერთხელ 30 ივნისის შემდეგ „ნაკიანი წლის დღე“.

კალენდრის ეს პროექტიც ძალაში შესვლას ელოდება.

რეკომენდირებული ლიტერატურა:

1. გ. მჭედლიძე, ზოგადი და ქართული ქრონოლოგიის კურსი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. ქუთაისი, 2009
2. გ. მჭედლიძე, ქრონოლოგიის ძირითადი საკითხები, თბ., 1978
3. ვ. კოპალეიშვილი, მითებიდან კალენდრებამდე, თბ., 1991
4. ალ. ფირცხალავა, ისტორიის სპეციალობის შესავალი, თბ., 1993
5. ბ. გუნია, იულიუსის კალენდრის არსი და მნიშვნელობა, თბ., 1999
6. ზ. ჭუმბურიძე, დედა ენა ქართული, თბ., 1978. გვ. 73–82, 251–255
7. Е. Каменцева, Хронология, М., 1967

კითხვები განხილვისა და დისკუსიისთვის

1. გვესაუბრეთ დროს შესახებ. განმარტეთ ასტრონომიული და ისტორიული დრო
2. როგორაა დადგენილი დროის უძველესი ერთეულები?
3. შეადარე მზისა და მთვარის კალენდრების წარმოშობის საფუძველი, რა უპირატესობა ჰქონდა მზის კალენდარს?
4. რამ გამოიწვია გრიგორიანული კალენდრის შექმნა, რას ნიშნავს „ძველი“ და „ახალი“ სტილი?
5. გვესაუბრეთ ერაზე „ქრისტესით“ – ქრისტეს შობიდან
6. მაგალითებით აჩვენეთ ქართული „დასაბამითგან“ ერისა და „ქორონიკონის“ შესაბამისობა
7. გვესაუბრეთ „ჰიჯრაზე“. მაგალითით აჩვენეთ ჰიჯრით მოცემული თარიღის ჩვენს წელთაღრიცხვაზე გადაყვანა
8. რა ერქვა თვეებს და კვირის დღეებს ძველ საქართველოში?
9. გვესაუბრეთ ახალი მსოფლიო კალენდრის პროექტზე.

ნუმიზმატიკა

ნუმიზმატიკის საგანი და ამოცანები.

საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე ადამიანებს გაუჩნდათ აუცილებლობა ერთმანეთს შორის გაეცვალათ საგნები და პროდუქტები. მოგვიანებით ამან ორგანიზებული სახე მიიღო და გაცვლის საშუალებად ფული იქცა, რომელიც უფრო გვიან ჩვ. წ-დე პირველ ათასწლეულში მონეტების სახით ჩამოყალიბდა. მონეტების შემსწავლელი მეცნიერებაა **ნუმიზმატიკა.**

იგი შეისწავლის ფულის მიმოქცევის ისტორიას, ლითონთა ფულის მოჭრის ტექნიკას, სინჯს, მის სახეებს. აგრეთვე სწავლობს მედლებსა და ჟეტონებს.

„ნუმიზმა“ – ლათინურია და ნიშნავს მონეტას, მაგრამ ეს დისციპლინა დიდხანს საერთოდ ფულს შეისწავლიდა, მათ შორის ქაღალდის ფულსაც, მაგრამ XX ს. დასაწყისიდან გაჩნდა ქაღალდის ფულის შემსწავლელი ცალკე მეცნიერება **ბონისტიკა** („ბონუს“ ფრანგ. მოხერხებული).

მონეტა მრავალმხრივ ინფორმაციას იძლევა საზოგადოების, ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული განვითარების შესახებ, ამიტომ ნუმიზმატიკა მჭიდრო კავშირშია ისტორიასთან, არქეოლოგიასთან, ხელოვნებათმცოდნეობასთან, მეტროლოგიასთან, პალეოგრაფიასთან...

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, იგი ცალკე დამოუკიდებელი მეცნიერებაა.

ნუმიზმატიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება

ამ დარგის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი მონეტების კოლექციების შედგენა იყო და მას საფუძველი ჩაეყარა XIV საუკუნის იტალიაში, რომელიც XVIII ს. მოდად ქცეულა. შუა საუკუნეებში უფრო ანტიკურ მონეტებს აგროვებდნენ, გაჩნდნენ კოლექციონერები. შემდეგი ეტაპი მათი შესწავლა და კატალოგების შედგენა გახდა. დაიწყეს მათი კლასიფიკაცია დროს, ხარისხის და სხვა ნიშნების მიხედვით.

ნუმიზმატიკის ფუძემდებლად ვენელ ეკკელს (1737-1798) თვლიან, რადგან მან შეიმუშავა პირველად მონეტათა კლასიფიკაციისა და მეცნიერულად შესწავლის მეთოდები. დროთა განმავლობაში დიდი ნუმიზმატიკური ცენტრები შეიქმნა ვენაში, ლონდონში, პარიზში, ბერლინსა და პეტერბურგში. ქართული მონეტების კოლექცია თავმოყრილია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ქართული მონეტის შესწავლაც XVIII საუკუნეში იწყება. პირველი ქართული მონეტა სხვა აღმოსავლურ მონეტებთან ერთად გამოსცა ადლერმა რომში 1782 წელს.

ამ საქმეში დიდია მარი ბროსეს (1802-1880) როლიც. მან 1847-1848 წლებში იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, შეკრიბა ეპიგრაფიკული, დოკუმენტური და ნუმიზმატიკური მასალა და 1849-1851 წლებში გამოაქვეყნა სამ წიგნად.

ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებლად ითვლება მიხეილ ბარათაევი (ბარათაშვილი) (1784-1856 წწ.). იგი სიმბირსკის გუბერნიაში დაიბადა, მისი ბაბუა – მელქისედეკი ვახტანგ VI-ს გაყოლია რუსეთში. შემდეგ დასახლებულან სიმბირსკში. აქ მისი მამა – პეტრე სიმბირსკის გუბერნატორი ყოფილა, ახლო ურთიერთობა ჰქონია მელიტონ ბარათაშ-

ვილთან. თვითონ მიხეილი სამხედრო პირი ყოფილა, მონაწილეობდა 1812 წლის რუსეთის პირველ სამამულო ომში. 1820–1835 წლებში სიმბირსკის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო. 1826 წ. დეკაბრისტებთან კავშირის ბრალდებით დაუპატიმრებიათ, მაგრამ სამხილის არქონის გამო, გაუთავისუფლებიათ. 1839 წ. გამოუგზავნიათ თბილისში საოლქო საბაჟოს უფროსად. აქ გაჩენია მას ინტერესი ანტიკვარული ნივთებისა და მონეტებისადმი, შეუგროვებია დიდძალი კოლექცია ქართული, ბერძნული, სპარსული, არაბული, სომხური მონეტებისა. 1844 წ. ქ. პეტერბურგში გამოსცა ნაშრომი „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები“ რუსულ და ფრანგულ ენებზე. ამ ნაშრომისათვის ის აირჩიეს პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი გამოუგზავნია მელიტონ ბარათაშვილისთვისაც.

შემდეგ კარგა ხანს მხოლოდ უცხოელები იკვლევდნენ ქართულ მონეტას. XIX ს. 50-იანი წლებიდან ქართულ მონეტებს იკვლევდა ცნობილი არქეოლოგი და ნუმიზმატი ივანე ალექსისძე ბართლომეი (1813-1870). მან პირველმა გამოთქვა ვარაუდი ანტიკური ქართული მონეტის არსებობის შესახებ.

1852 და 1860 წლებში **ლანგლუას** ავტორობით ფრანგულ ენაზე გამოვიდა ნაშრომები ქართული მონეტების შესახებ. ეს ნაშრომები ბევრ უზუსტობებს შეიცავდა. ქართული მონეტების შესწავლას განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო რუსმა ნუმიზმატმა **ევგენი პახომოვმა** (1880-1965 წწ.), რომლის ნაშრომებია „საქართველოს მონეტები“, I, II, რუსულ ენაზე. პირველი წიგნი გამოიცა 1910 წელს, მეორე კი 1970 წელს.

ისე, როგორც ბევრი სხვა მეცნიერების, ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებლად ი. ჯავახიშვილი ითვლება. მან

1925 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“. შემდეგ ათწლეულებში არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა ქართული მონეტების შესახებ, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა დ. კაპანაძის განმაზოგადებელი ნაშრომი „ქართული ნუმიზმატიკა“. ასევე, ამ დარგში უახლესი მიღწევებია გათვალისწინებული თ. და გ. დუნდუების ნაშრომში „ქართული ნუმიზმატიკა“. რამდენადაც ნუმიზმატიკა ფულს, მონეტას შეისწავლის, მოკლედ გავეცნოთ ფულის წარმოშობისა და განვითარების გზას.

ფული, როგორც ისტორიული და ეკონომიკური კატეგორია

ფული საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა, ამდენად ის ისტორიული კატეგორიაა, მაგრამ რამდენადაც იგი ეკონომიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ატრიბუტია, ოდითგანვე აინტერესებდათ მკვლევარებს ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან (ქსენოფონტე, პლატონი, არისტოტელე...). მისადმი ყურადღება არ ნელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც. ფულისადმი ინტერესი და ყურადღება განსაკუთრებით გაიზარდა კაპიტალიზმის ეპოქაში, გაზრდილ სასაქონლო ურთიერთობათა ხანაში.

ინგლისელი ეკონომისტი ვ. კარლეილი ამბობდა: „ფული წარმოადგენს იმ ღერძს, რომლის ირგვლივ ტრიალებს ეკონომიკა“, ხოლო გერმანელი ეკონომისტები კ. სოდა და კ. ლიფმანი თვლიან, რომ „ეკონომიკური თეორიის ცენტრში ყოველთვის იყო და არის ფულის ცნება, რომ მეურნეობის შესახებ ყველა დიდი პრობლემა ტრიალებს ფულისა და მისი გამოვლენის ფორმების გარშემო“.

აზრთა სხვადასხვაობაა ფულის როლისა და ფუნქციის შესახებ. ერთნი გადაჭარბებულად აფასებენ, მეორენი კი

საერთოდ უგულებელყოფენ მის როლს და სოციალურ უბედურებათა მთავარ მიზეზად ასახელებენ.

ყველაფერ ამაზე პასუხის გაცემა შეიძლება მაშინ, როცა გაირკვევა ფულის წარმოშობის გზა, მისი განვითარების ფორმები, აიხსნება ის, თუ რატომაა, რომ ცალკეული ადამიანებისთვის ფულის რაოდენობის გადიდება, მისი ინდივიდუალური სიმდიდრის ზრდის წყაროა, ხოლო მთელი საზოგადოებისათვის ფულის მასის ზრდა, გარკვეულ პირობებში, აფერხებს საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას.

ღირებულების ფორმების განვითარება

ფულის წარმოშობის ისტორიულ-ეკონომიკური პროცესის გასაანალიზებლად საჭიროა განვიხილოთ ღირებულების განვითარების საფეხურები. მეცნიერების მიერ დასაბუთებულია, რომ საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანებს გაუჩნდათ აუცილებლობა ერთი სახის პროდუქტი გაეცვალა მეორეზე. გაცვლის **საფუძველი კი მათი განსხვავებული სახმარი ღირებულება** იყო, რომელიც **გაცვლის მარტივი ანუ შემთხვევით** ფორმად განიხილება. მაგ. 1 ცხვარი – 20 კგ. მარილზე.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე გაცვლის ეს ფორმა (პროდუქტის მასთან შეფარდებაში მყოფ ერთ პროდუქტში გაცვლა) საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო გახდა ამ პროდუქტის სხვა რამდენიმე მასთან შეფარდებაში მყოფ პროდუქტებზე გაცვლა. ასე, რომ გაცვლის მომდევნო საფეხურია გაცვლის (ღირებულების) რეგულარული, ანუ ღირებულების **სრული, გაშლილი** ფორმა, როცა ადგილი აქვს ერთი პროდუქტის სხვა მრავალ პროდუქტზე გაცვლას:

1 ცხვარი – 20 კგ. მარილზე
2 ფუთ ხორბალზე

1 გრ. ოქროზე...

აქ პირველი საქონლის (ცხვარი) ღირებულების შეფარდებით ფორმაშია დანარჩენები (მარილი, ხორბალი, ოქრო).

მომდევნო **მესამე საფეხურზე** გაცვლა საჭირო გახდა არა ღირებულების შეფარდებით ფორმაში მყოფ პროდუქტებთან, არამედ სულ სხვა პროდუქტებთანაც. ამიტომ უნდა მონახულიყო ისეთი პროდუქტი, საქონელი, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა ყველა სხვა საქონლის გაცვლა. ე.ი. იგი იქნებოდა **საყოველთაო ექვივალენტი**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქონელთა უშუალო გაცვლა შეიცვლებოდა **საქონელმიმოქცევით**. ასე ჩნდება **ღირებულების საყოველთაო** ფორმა.

ღირებულების განვითარების **III ფორმაში – ღირებულების საყოველთაო ფორმაში ჩნდება ფული, როგორც საყოველთაო ექვივალენტი.**

სხვადასხვა ქვეყანაში საყოველთაო ექვივალენტად სხვადასხვა საქონელს იყენებდნენ: მსხვილფეხა საქონელს, ბეწვს, თამბაქოს, ხორბალს, ღვინოს, ლითონის ზოდს და სხვა, რაც უხერხულობებს ქმნიდა (გაყოფის სიძნელე, გადაადგილების სირთულე, გავლენის სფეროს შეზღუდულობა...).

ამიტომ გადაწყდა საყოველთაო ექვივალენტად შერჩეულ საქონელს ჰქონოდა ის თვისებები, რაც გაადვილებდა მის გამოყენებას პრაქტიკულ ცხოვრებაში და საყოველთაოდ იქნებოდა აღიარებული. ასეთ თვისებებად დადგინდა: **ცვეთაგამძლეობა, პორტატულობა, სტაბილურობა, ერთგვაროვნება, გაყოფადობა, აღიარება**. ამ თვისებების მატარებლად აღიარებული იქნა **ლითონის ფული.**

ფულის ფუნქციები

ფულის ფუნქციები საზოგადოების განვითარების კვალობაზე ყალიბდებოდა და იცვლებოდა კიდეც. აღიარებული

იყო **ხუთი** ფუნქცია: ფული, როგორც **ღირებულების საზომი, მიმოქცევის საშუალება, გადახდის საშუალება, დაგროვების საშუალება, ფული, როგორც მსოფლიო ფული.** ამჟამად სამ ფუნქციას აღიარებენ: მიმოქცევის საშუალება, საანგარიშო ერთეული (ღირებულების საზომი), მსყიდველობითი უნარის დაზოგვა (სიმდიდრის დაზოგვა).

ლითონის ფულის წარმოშობა. ბიმეტალური და მონომეტალური სისტემები

ლითონი თავიდან ზოდების სახით გამოიყენებოდა გაცვლისას, შემდეგ განსაზღვრული ფორმა, ზომა და წონა მიეცა: ძველ ეგვიპტეში იყენებდნენ ოქროს ბეჭდებს, სპარტაში – რკინის წკეპლებს, კიევის რუსეთში – ვერცხლის ზოდებს (გრივნები), საქართველოში – ბრინჯაოს სამაჯურებს და ა.შ. შემდეგ დაიხვეწა და გაუმჯობესდა ლითონის ფულის ფორმა, დადგინდა წონა, შედგენილობა, გამომშვების (ემიტენტის) უფლებები და სხვა.

მოგვიანებით, გამოიკვეთა ფულად ოქრო და ვერცხლის გამოყენება და ისინი საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოიყენებოდა. ოქროსა და ვერცხლის ერთად მოქმედების ხანას **ბიმეტალური** ფულადი სისტემის ხანას ეძახიან. იგი XVIII ს-ის ბოლომდე გრძელდებოდა. შემდეგ ცალკეულ ქვეყნებში ფულის როლს მხოლოდ ოქრო ასრულებდა და ამ სისტემას **მონომეტალურს** ეძახიან.

მონეტის წარმოშობა

მონეტის შექმნის შესახებ მრავალი ვერსია არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით პირველი მონეტები ძვ. წ-ის XII საუკუნეში ჩინეთსა და ინდოეთში წარმოიშვა, მაგრამ ამჟამად მეცნიერებაში სარწმუნოდაა მიჩნეული **მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც არგოსის მეფე ფე-**

იდონს მიაწერს მონეტის მოჭრას და ძვ.წ-ის V ს. ისტორიკოს ჰეროდოტეს ცნობა ხემლთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე პატარა სახელმწიფო ლიდიაში ოქროსა და ვერცხლის მონეტების მოჭრის შესახებ. ორივე ცნობა მონეტის მოჭრის თარიღად ძვ.წ. VII საუკუნეს ასახელებს.

ამ პერიოდში ხმელთაშუა ზღვა და შავი ზღვა ინტენსიური ვაჭრობის არტერიად იქცენ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ეს ტერიტორია (მცირე აზიის აღმოსავლეთი სანაპირო, ხმელთაშუა ზღვის კუნძულები) კულტურათა შესაყარად იქცა, ანბანური დამწერლობაც ხომ აქ, (ფინიკიაში) შეიქმნა.

მონეტა სწრაფად გავრცელებულა მსოფლიოში: ბოსფორის სამეფოში იგი ძვ.წ. VI საუკუნეში შექმნილა, ძველ ირანში ასევე VI ს.; ეგვიპტესა და ინდოეთში – IV ს.; ძვ. რომში – IV ს.; კოლხეთში – VI ს. და ა.შ. ასე რომ საქართველო უძველესი მონეტის მფლობელი ქვეყანაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ანბანსაც დაახლოებით ამ პერიოდით ათარიღებენ, გასაგებია, რომ იმდროის საქართველო მოწინავე, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ ქვეყანათა რიგში იდგა.

ძვ. წ-ის VI ს-ის **კოლხური თეთრის** ერთ-ერთი მსხვილი ნომინალის – დიდრაქმის (ორდრაქმიანი) მონეტის შუბლზე გამოსახულია მწოლიარე ლომი მობრუნებული თავით და დაღრენილი პირით; მონეტის ზურგზე გამოსახულია ხარისთავიანი დაჩოქილი ადამიანის ფიგურა, რომელიც მოთავსებულია ჩაჭდეულ სწორკუთხედში.

მონეტათა სახეები

მონეტას, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების გარეგან ნიშანს, უპირველესად სახელმწიფო უშვებდა და მისი გა-

რეგანი გაფორმებაც (წარწერები, სიმბოლოები, ნიშნები) მის იდეოლოგიას ემსახურებოდა, მაგრამ ზოგჯერ მონეტის მოჭრის უფლებას იჯარით კერძო პირსაც აძლევდნენ და სახელმწიფოს წარმომადგენლები მხოლოდ კონტროლს უწევდნენ მის მოჭრას. ასეთ მონეტას **ბლოკირებულს** ან დაკანონებულს უწოდებდნენ. იყო შემთხვევები, როცა მონეტას ჭრიდნენ რომელიმე განსაკუთრებული მოვლენის, თარიღის აღსანიშნავად. მას **მემორიალურს** უწოდებდნენ, ხოლო წარჩინებულთა დასასაჩუქრებლად მოჭრილ მონეტებს **დონატიურს** (სასაჩუქროს) უწოდებდნენ. იყო შემთხვევები, როცა მონეტას ქალაქი, ან ცალკეული ფეოდალი ჭრიდა (ძვ.წ.-ის I ს. დიოსკურია, XIV ს. ვამეყ დადიანი, XV ს. ყვარყვარე ათაბაგი). ასეთ მონეტებს **ავტონომიურ** ან **ფეოდალურ** მონეტებს ეძახიან.

ცნობილია ე.წ. დროებითი – **საოკუპაციო** მონეტები. ეს ის მონეტებია, რომელსაც ჭრიდა დაპყრობილ ტერიტორიაზე დამპყრობელი (მაგ. XVIII ს. I ნახევარში აღმ. საქართველოში ოსმალო აჰმედ III-სა და მაჰმუდ I-ის მონეტები). ცალკე აღნიშვნის ღირსია ე.წ. **ნატურალიზებული** მონეტა, რომელიც ასევე უცხო მონეტაა, მაგრამ შეიძლება არა მარტო დაპყრობით, არამედ ეკონომიკური გავლენითაც გავრცელებულიყო სხვა ქვეყანაში, მაგრამ ისეა ფეხმოკიდებული და გაშინაურებული, რომ ადგილობრივს ჩაგრავდეს ან მის ადგილს იჭერდეს. მონეტებს ჩვეულებრივად გამომშვები ქვეყნის წარწერა აქვს. ქართულ მონეტათა დიდი ნაწილი **ორენოვანი** და **ორმფლობელიანია** (არაბულ-ქართული, სპარსულ ქართული), რაც მის ისტორიულ ბედუკუღმართობაზე მიუთითებს. არის წარწერის გარეშე, ე.წ. **მუნჯი** ანუ **ანეპიგრაფიკული** მონეტებიც. ხოლო ისეთებს, რომელთა წარწერებ-

ში საკუთარი სახელები არ მოიხსენიება – **ანონიმურს** უწოდებენ.

ცხოვრებაში იშვიათი არ იყო როცა უბრალო ლითონის მონეტას შემოსავდნენ ძვირფასი ლითონით. ასეთ მონეტას **სუბერატიულ** მონეტას ეძახდნენ, ხოლო არალეგალურად, ფარულად მოჭრილ მონეტას – **ყალბ მონეტას**.

მონეტის აღწერილობა

მონეტა ძველთაგანვე ძვირფასი ლითონებისგან (ოქრო, ვერცხლი) მზადდებოდა, მაგრამ მათი სირბილისა და იოლად ცვეთის გამო უბრალო, მაგარ ლითონს ურევდნენ. ასეთ შერეულ ლითონს **ლიგირებული** ჰქვია. მასში არსებულ სუფთა, ძვირფას ლითონს **სინჯს** ეძახიან, ხოლო უბრალო ლითონის მინარევს – **ლიგატურას**. მონეტის წონის ან სინჯის მერყეობას – **რემიდიუმი** ჰქვია.

მონეტას ჩვეულებრივად ორი მხარე აქვს: **შუბლი (ავერსი) და ზურგი (რევერსი)**.

შუბლი ის მხარეა, რომელზეც თავსდება გამოსახულებათა და წარწერათა უმნიშვნელოვანესი და საყურადღებო ნაწილი (ღერბი, ხელმწიფის პორტრეტი...)

ზურგზე მეორეხარისხოვანი გამოსახულებები და წარწერები თავსდება. მონეტის გვერდით ნაწილს **წიბო** (გურტი) ჰქვია, სადაც მარტივი ნახატები, წერტილები, ხაზები... კეთდება. XVI საუკუნიდან აკეთებენ წარწერებსაც.

მონეტის შუბლისა და ზურგის მთელ სივრცეს **მონეტის არეს** უწოდებენ, ხოლო ფასის აღნიშვნას მონეტაზე **ნომინალს**. წარწერებს მონეტაზე – **ლეგენდა** (ზედწერილი) ჰქვია. მონეტის გარეგნულ მონაცემთა ერთობლიობა ქმნის **მონეტის ტიპს**.

მონეტის არსებობის ისტორიაში გამოიკვეთა ტენდენცია **მონეტის გაფუჭებისა**, რასაც ეძახიან მონეტაში ძვირფასი ლითონების შემცირებას წონის და ნომინალის შენარჩუნებით. ასეთ შემთხვევაში მონეტა კარგავდა თავის რეალურ ღირებულებას, შესაბამისად მსყიდველობით უნარს.

ცნობილია მონეტის **უნებლიე გაფუჭება** (მოჭრის ტექნიკური მიზეზით) და **განზრახ გაფუჭება**, როცა ფინანსური მოსაზრებით ამცირებდნენ სინჯს, წონას, ცვლიდნენ მაღალი ღირებულების ლითონს დაბალით და სხვა.

მართალია, ქართული მონეტა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, მაგრამ ძველქართულ წყაროებში ტერმინი „მონეტა“ არ გამოიყენება. V საუკუნის წყაროებში ფულის მნიშვნელობით ნახსენებია **კარმა** და **დანგი**, ხოლო VI საუკუნეში – **რვალი** და **ასარი**, VII საუკუნეში – **დრამა**. ფულის ზოგად სახელად მოგვიანებით გამოიყენებოდა **საფასე**. ხშირად ფულის აღმნიშვნელ ტერმინად წყროებში „ვერცხლი“, „ოქრო“, „თეთრი“ ჩანს. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საფასის ზოგადი მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი **„ფული“**.

მონეტა საქართველოში 1833 წლამდე იჭრებოდა. შემდეგ ბატონდება რუსული ფული. ასე, რომ ქართულ მონეტას 2400-2500 წლიანი ისტორია აქვს, ამ ხნის მანძილზე ცნობილია ქართულ მონეტათა შემდეგი ტიპები:

1. კოლხური თეთრი
2. ადგილობრივი ოქროს სტატერები
3. ელინისტური პერიოდის მონეტები
4. რომაული და პართული ყაიდის მონეტები
5. ქართლის ერისმთავართა VI-VII სს დრაქმები
6. თბილისური დრამები VIII-IX სს.
7. XI საუკუნის ქართული მონეტები

8. XII-XIII ს. I მესამედის მონეტები
9. მონღოლთა ბატონობის დროინდელი მონეტები
10. XIII-XV საუკუნეების დასავლურ-ქართული ფული
11. XIV-XVI სს. დაკნინებული ქართული ფული
12. XVI-XVIII სს. თბილური მონეტები
13. XVIII ს. II ნახევრის უსახელო ვერცხლის ფული
14. რუსეთთან შეერთების შემდეგ მოჭრილი თბილური ფული

მონეტა, როგორც სახელმწიფოს რეგალია, თავისი შემადგენლობით, სიმბოლოებითა და წარწერებით მრავალმხრივ ინფორმაციას შეიცავს მისი მომჭრელი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ მდგომარეობაზე, მაგრამ მისი „ალაპარაკება," მისგან ინფორმაციის მიღება მხოლოდ სპეციალური შესწავლით შეიძლება, რაც სპეციალისტების საქმეა. ამიტომ ყველა მოქალაქის ვალია, ძველი მონეტის ნახვის, აღმოჩენის შემთხვევაში, იგი უპირველესად შესაბამის სახელმწიფო მუზეუმს ჩააბაროს. რისთვისაც აუცილებლად მუზეუმისგან გასამრჯელოს მიიღებს ჩაბარებული მონეტის მეცნიერული ღირებულების შესაბამისად.

რეკომენდირებული ლიტერატურა:

1. ი. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1926 წ.
2. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, 1969
3. რ. ასათიანი, ფული და ფულადი სისტემები, თბილისი, 1991
4. გ.დუნდუა, ფულადი მიმოქცევის სისტემისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964
5. თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 2010

6. А. Пахаомов, Монеты Грузии, 1910, 1970
7. Г.А. Фёдоров-Давыдов, Монеты рассказывают, М., 1963

კითხვები განხილვისა და დისკუსიისთვის

1. გვესაუბრეთ ნუმიზმატიკის საგანსა და ამოცანებზე
2. ახსენით ფულის წარმოშობის აუცილებლობასა და ფულადქცეული საქონლის თვისებებზე
3. თქვენი აზრით, რამ განსაზღვრა პირველი მონეტის წარმოშობა ლიდიასა და კუნძულ ეგინაზე?
4. აღწერეთ მონეტა (ზოგადად)
5. დაასახელეთ მონეტათა სახეები
6. აღწერეთ პირველი ქართული VI საუკუნის (ძვ.წ.) მონეტა
7. რა სახის ინფორმაციის მოწოდება შეუძლია მონეტას?
8. ჩამოთვალეთ ქართულ მონეტათა ტიპები

მეტროლოგია

მეტროლოგიის საგანი და ამოცანები

ისტორიული მეტროლოგია შეისწავლის არსებულ საზომებს, მათ სახელწოდებებს, ურთიერთმიმართებებს, საზომი სისტემების ჩამოყალიბებას და მათ რეალურ სიდიდეს თანამედროვე მეტრულ სისტემაში.

საზომი ერთეულების შექმნის აუცილებლობა ადამიანს მწარმოებლური ცხოვრების ადრეულ საფეხურზევე გაუჩნდა, როცა დაიწყო საცხოვრებლის შენება, მიწის დამუშავება, იარაღისა და ჭურჭლის კეთება, მაგრამ საზომი ერთეულების შემსწავლელი დარგი – **მეტროლოგია** გაცილებით გვიან XVI-XVIII საუკუნეში შეიქმნა, როცა გაიზარდა ინტერესი წარსულისადმი, მათ შორის ზონა-წონის ერთეულებისადმი. წყაროდ ჩვეულებრივად იყენებდნენ ჩვენამდე მოღწეულ ზომა-წონის ეტალონებს. კერძოდ, საწონებს, მასშტაბიან სახაზავებს, ფულს, არქიტექტურულ ნაგებობებს, სადაც „სტანდარტული“ ზომებია, აგრეთვე საკანონმდებლო აქტებს და სხვა. ეს ეტალონები რუსეთში ზომა-წონის დეპოში ინახებოდა, რომელიც 1842 წელს შექმნილა, ხოლო 1893 წელს ზომა-წონის პალატად გადაკეთებულა. ცნობილია XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საკანონმდებლო აქტი, რომლითაც განსაზღვრულია არშინისა და ფუნტის ზუსტი ზომები და სხვა.

ქართული ზომა-წონის ერთეულების შესახებ მონაცემებს უფრო მეტად ვხვდებით ქართულ სიგელ-გურჯებში, სამკურნალო წიგნებსა თუ კარაბადინებში, ვახტანგ VI „სამართლის წიგნსა“ და „დასტურლამალში“, სულხან-საბას „ლექსიკონში“ (სიტყვის კონა) და სხვა.

ზომა-წონის ერთეულები ძველ და შუა საუკუნეებში

ადამიანი განვითარების ადრეულ საფეხურზე, როგორც ჩანს, ზომის ერთეულად ადამიანის სხეულის ნაწილებს იღებდა (გოჯი, ციდა, მტკაველი, იდაყვის სიგრძე, მხარი) და ზომებიც მიახლოებითი იყო (ქვის გასროლის, ისრის გასროლის მანძილი, ერთი დღის ფეხით სავალი, ან ცხენით სავალი გზა, ერთი საურმე მიწა,...) შემდეგში ეს მიახლოებითი ერთეულები განისაზღვრა გარკვეული სიდიდეებით, რადგან მათი გამოყენება ზომა-წონის ერთეულების მოქმედების ხანაშიც ხდებოდა. მაგ., რუსეთში XVII საუკუნემდე გოჯში იგულისხმებოდა – 4,5 სმ., მტკაველში – 19,23 სმ., იდაყვში – 38-46 სმ., საჟენში – 2,1336 მ., ვერსში – 1140 მ; ქვის გასროლის მანძილი – 42,5 მ., ისრის გასროლის მანძილი – 60-70 მ., ფეხით მოსიარულის დღის სავალი მანძილი – 25 კმ., ცხენით – 50-70 კმ. და ა.შ.

საგულისხმებელია, რომ დაახლოებით ასეთივე ზომები იქნებოდა მიღებული სხვა ქვეყნებშიც და მათ შორის **საქართველოშიც**. საქართველოში, მისი ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საზომების მრავალფეროვნებასა და მრავალრიცხოვნებას ჰქონდა ადგილი. მის ცალკეულ კუთხეებში გამოიყენებოდა მხოლოდ ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ზომა-წონის ერთეულები. ეს გაპირობებული იყო ჯერ ერთი ხანგრძლივი დროით ქვეყნის დაქუცმაცებულობა-დაშლით, და მეორე, განსაკუთრებული რელიეფით, სხვადასხვა კუთხის ცხოვრების წესის განსხვავებულობითაც. თუმცა იყო ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ერთეულებიც.

გაზომვის ობიექტი ძველთაგანვე ყოფილა **სივრცე, ტევადობა** და **სიმძიმე**. საზომებიც სამ ძირითად სახედ იყოფოდა: **„საწონი“**, რომელიც მკვრივი სხეულების საზომს ერქვა;

„საწყავი“ ან „საწყაული“, რომელიც სითხის, ან მარცვლეულის ან ტევადობის საზომს ერქვა და **„საზომი“** ან **„გასაზომი“**, რომელიც სივრცის გასაზომ ერთეულებს ერქვათ. „საზომი“ შემდეგ საზოგადო ტერმინად იქცა სამივე ჯგუფის ერთეულების აღსანიშნავად.

საზომები სხვადასხვა მასალისაგან მზადდებოდა: თიხისაგან, ხისაგან, ხბოს ან ცხვრის ტყავისაგან, სპილენძისაგან, ქვისაგან.

XVIII საუკუნემდე საქართველოში არსებული საზომები ასახულია სულხან-საბას ლექსიკონში. აქ წონის საზომები დალაგებულია „ლიტრის“ ქვეშ, საწყაოები – „კოდთან“ ან „კოკასთან“, შედარებით ძუნწია მასალები სივრცის საზომებთან დაკავშირებით. XVIII ს. II ნახევრიდან „ლიტრის“ გამოყენების არე იზღუდება და სითხის საზომ ერთეულად „თუნგს“ იყენებენ. მანამდე „დასტურლამალში“ „თუნგი“ „ლიტრის“ გვერდით გამოიყენებოდა.

საინტერესოა ზომა-წონის ერთეულთა გენეზისისა და მათი ისტორიული გზის შესწავლა. ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობათა გამო იშვიათი არაა საზომთა „სესხებაც“. ზოგჯერ მათი სახელწოდებანი ერთნაირია, სიდიდე კი განსხვავებული. ზოგჯერ საერთოდ ეცვლებათ მათ შინაარსიც. მაგ. აკად. გ. ჩიტაიას აზრით, დღევანდელი ტერმინი **„სილა“** რომელიც საწყაოს გარკვეულ მდგომარეობას აღნიშნავს, ერთდროს საწყაო ჭურჭელი უნდა ყოფილიყო, რადგან ანალოგი მოიპოვება ასურულ-ბაბილონურ მეტროლოგიაში.

ან: ჩვ. წ-დე II-I საუკუნეების **ბაგინეთის მრავალგზისმა** გათხრებმა ცხადყო, რომ მისი მშენებლები ეყრდნობოდნენ ზომის განსაკუთრებულ ერთეულს, რომელიც 52 სმ-ს

უახლოვდება. ამ სიდიდის საზომი ყოფილა ურარტული წყრთა (51,8 სმ).

უფრო გვიან IV-VI საუკუნეების საქართველოში ბიზანტიური და სპარსული საზომები (მანძილის) ფარსანგი და მილიონი ვრცელდება. ასეთი „სესხება“ კიდევ უფრო ინტენსიურია შუა და ახალ საუკუნეებშიც.

XVII-XVIII საუკუნეების ზომა-წონის ერთეულები საქართველოში

XVII საუკუნის ბოლოსათვის საქართველოში მოქმედებდა შემდეგი ზომა-წონის ერთეულები:

მანძილის

გოჯი – 3,16 სმ
ციდა –12,6 სმ
მტკაველი – 25-26 სმ
წყრთა – 50-52 სმ
ნაბიჯი – 70 სმ
ბიჯი –1,40 სმ
ადლი –100-104 სმ
თოფი – 8-10 მეტრი
მილიონი – 1386 მ.
ფარსანგი (ეჯი) – 6-7 კმ

წონის

მისხალი – 4,6 გრამი
გირვანქა – 409,5 გრამი
ლოღარიკონი – 680 გრ
ოყა – 2,224 კგ
ბათმანი – 8-8,5 კგ
კანტარი – 220 კგ

ფართობის

1. ყანა ერთი ურმისა – ერთი ურმის სათესი ყანა
2. ვენახი ერთი საპალნისა – ერთი საპალნე (147 კგ) ღვინის დასაწური ვენახი
3. დღიური – 0,5 ჰა
4. ქცევა – 3600 კვ^2

5. ჩარექი – 0,125 ჰა

საწყაოების

1. ატარი – ღომისა და პურის საწყაო (ოდიში) – 0,4 ლიტრი
2. დოქი – იმერეთში – 3,3 კგ იტევს
3. ბარდაკი – თიხის დოქი (რაჭა) – 4 ლიტრი
4. თეფში – 9 კგ მარცვალს იტევდა
5. გობი – (ოდიში) – 18 კგ მარცვალს იტევდა
6. კასრი – 46 ლ. ღვინოს იტევდა (საბა)
7. კაბიწი – 90 კგ-ს იტევდა
8. გუდა – 120 კგ-ს იტევდა
9. საპალნე – 147 კგ-ს იტევდა

თანამედროვე ზომა-წონის ერთეულები

XIX საუკუნის საქართველოში ადრე მოქმედი ზომა-წონის ერთეულები გამოიყენებოდა მეტ-ნაკლები ცვლილებებით, ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების გათვალისწინებით. კერძოდ, 1801 წლიდან, რუსეთთან შეერთების შემდეგ მრავლად შემოვიდა რუსული საზომებიც, მაგრამ 1918 წლიდან, როცა რუსეთში შემოვიდა მეტრული სისტემა, საქართველოშიც ეს სისტემა გაბატონდა. საერთოდ, ზომა-წონის მეტრული სისტემა (ათობითი) შეიქმნა XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს. საფრანგეთში ეს სისტემა ერთადერთ და სავალდებულოდ 1837 წელს გამოცხადდა, შემდეგ ეს სისტემა გავრცელდა გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთში (1849 წ.) პორტუგალიაში (1852 წ.), აშშ (1866). 1875 წელს, პარიზის საერთაშორისო დიპლომატიურ კონფერენციაზე ჩვიდმეტმა სახელმწიფომ, მათ შორის რუსეთმაც ხელი მოაწერა მეტრულ კონვენციას, მაგრამ 1918 წ.-დე რუსეთში ის არ გან-

ხორციელებულა. ამ დროიდან იგი სავალდებულოდ ითვლებოდა, ხოლო 1927 წლიდან იგი გამოცხადდა, როგორც ერთადერთი სისტემა ზომა-წონისა:

სიგრძისა – მეტრი; **ზედაპირის ფართობისა** – კვმ; **მოცულობისა** – კუბ.მეტრი; **ტევადობისა** – ლიტრი; **მასისა** – გრამი. დანარჩენი ერთეულები მიიღება ამ ერთეულების გამრავლებით ან გაყოფით ათზე. ზომა-წონის ეს ერთეულები მოქმედებს ამჟამადაც:

სიგრძის: კილომეტრი – 1000 მ., ჰექტომეტრი – 100 მ., მეტრი – 1 მ., დეციმეტრი – 0,1 მ.,

სანტიმეტრი – 0,01 მ., მილიმეტრი – 0,001 მ., მიკრონი – 0,0001 მ.

ზედაპირის: კვ. კილომეტრი – 1.000 000 მ², ჰექტარი–10.000 მ², **არი** – 100 მ², კვ. მეტრი – 1 მ², კვ. სანტიმეტრი – 0,0001 მ²

მოცულობის: კუბური მეტრი –1 მ³, კუბდეციმეტრი – 0,001 მ³, კუბსმ. – 0,000.001 სმ მ³

ტევადობის: ჰექტოლიტრი – 100 ლ., დეკალიტ. – 10 ლიტ., ლიტრი – 1 ლ., დეცილიტ.– 0, 1 ლ.

მასის: ტონა – 1000 კგ, ცენტნერი – 100 კგ, კილოგრ.–1 კგ, გრამი – 0,001 კგ, მილიგრამი – 0,000001 კგ.

რეკომენდირებული ლიტერატურა:

1. ი.ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925 წ.
2. გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973 წ.

3. ისტორიული მეტროლოგია. წგ-ში: მ. კალანდაძე, ნ. მამუკელაშვილი-სიმონიშვილი, ლ. ფირცხალავა, ისტორია, X, თბ., 2002.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის

1. გვესაუბრეთ მეტროლოგიის წარმოშობასა და მისი წყაროების შესახებ
2. ახსენით მიახლოებითი ზომა-წონის ერთეულთა წარმოშობის საფუძვლები
3. რითაა გამოწვეული ზომა-წონის ერთეულთა მსგავსება სხვადასხვა ქვეყნებში და „სესხებაც“?
4. ისაუბრეთ შუა საუკუნეების საქართველოს ზომა-წონის ერთეულებზე
5. როდის დაიწყეს საქართველოში ზომა-წონის მეტრული სისტემის გამოყენება?
6. განმარტეთ სიდიდეების მიხედვით: ჰექტომეტრი, არი, ჰექტოლიტრი.

ისტორიული გეოგრაფია

ისტორიული გეოგრაფიის მიზანი და ამოცანები

ისტორიული გეოგრაფია ისტორიის დამხმარე დისციპლინაა და მისი მიზანია ბუნებრივ გეოგრაფიულ გარემოში ადამიანის მოქმედების ნაკვალევის მიხედვით საზოგადოების წარსული ცხოვრების მეცნიერული აღდგენა. ეს არის ისტორია ადამიანის შემოქმედებისა ფიზიკურ გეოგრაფიულ გარემოში.

ისტორიული გეოგრაფია ფართო კავშირშია ისეთ მეცნიერებებთან, რომელთაგანაც იღებს მასალებსა და წყაროებს დასკვნების გასაკეთებლად. იგი კავშირშია ისტორიულ კლიმატოლოგიასთან, გეოლოგიასთან, ნიადაგმცოდნეობასთან, ასტრონომიასთან, ისტორიულ ბოტანიკასთან, ისტორიულ კარტოგრაფიასთან, ტოპონიმიკასთან, ისტორიულ დემოგრაფიასთან, ისტორიულ სტატისტიკასთან, ნუმიზმატიკასთან, ლინგვისტიკასთან და სხვა მეცნიერებებთან. ამ დამხმარე ისტორიული დისციპლინის ესოდენ ფართო კავშირი სხვა მეცნიერებებთან, მიუთითებს მისი კვლევის, შესწავლის ობიექტის ფართო მოცულობაზე.

ადამიანი ოდითგანვე ითვისებდა გარკვეულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს. ამ მოქმედების დროს ადამიანი ბუნებაში ტოვებდა მატერიალურ თუ სხვა სახის კვალს, რითაც იქმნება ისტორიული გეოგრაფია. **ქალაქი თუ ნაქალაქარი, დაბა თუ ნადაბური, სოფელი თუ ნასოფლარი, გორა თუ ლოდოვანი, ციხე თუ ნაციხვარი, სასახლე თუ ნასახლარი, საყდარი თუ ნასყდრალი, სავანე თუ ხანი და სხვა** ბევრი, რომელიც ადამიანის მოქმედების შესახებ მეტყველებენ, შეადგენენ ისტორიული გეოგრაფიის შინაარს. ისინი სხვადასხვა პირობებში და გარკვეულ დროში წარმოიშვენ. ასე, რომ ყოველ დროს თავისი ისტორიული გეოგრაფია ახასიათებს.

ისტორიკოსთა მიზანია ისტორიული გეოგრაფია შესწავლილ იქნას ცალკეული პერიოდების მიხედვით და გადაქცეულ იქნას ისინი ისტორიული მეცნიერების საშენ მასალად.

ისტორიული გეოგრაფია თავის მეცნიერულ მიღწევათა პუბლიკაციას ახორციელებს ისტორიული რუკების შედგენით, მაგრამ არის სხვა საშუალებანიც, კერძოდ – ძეგლების მეცნიერულ-ლიტერატურული აღწერა და ისტორიული ძეგლების წერილობითი ინტერპრეტაცია.

ისტორიული გეოგრაფიის წარმოშობა

ისტორიულ გეოგრაფიას ისევე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც თვით ისტორიას. პირველი ცნობილი ისტორიკოსები (ჰეროდოტე, თუკიდიდე, ქსენოფონტე, პოლიბიოსი და სხვები) ისტორიული გეოგრაფიის მკვლევარებიც იყვნენ, რადგანაც მათ შრომებში არაერთი საკითხია განხილული ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. ძველი ცნობილი გეოგრაფები (სტრაბონი პომპინიუს მელა, კლავდიუს პტოლემაიოსი და სხვები) შეიძლება ისტორიული გეოგრაფიის დიდ მკვლევარებად ჩაითვალონ, რადგანაც მათი საუბარი ყველა ქვეყნის გეოგრაფიულ საკითხებთან დაკავშირებით, ყოველთვის იყო ისტორიულ კვლევებთან დაკავშირებული. ისტორიული გეოგრაფიის ფორმირება მაინც გვიანდელი ფეოდალიზმის ხანას ეკუთვნის (XV-XVII სს.). სწორედ მაშინ გაუჩნდათ განსაკუთრებული ინტერესი ჰუმანისტებს ანტიკური სამყაროსადმი. ეს ინტერესი გამოწვეული იყო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების სულ უფრო ფართოდ გაშლასთან. ძველი სამყაროს შესწავლა, მისი ტერიტორიების, საზღვრების, მოსახლეობის შესწავლის გარეშე, შეუძლებელი იყო და ამ მხრივ პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა იტალიელი ჰუმანისტის ფლავიო ბიონდოს (XV ს), ფლამინდრიელი გეოგრაფის ორტელის (XVI ს.), ლიდენის უნივერსიტეტის

პროფესორის კლიუვერის (XVII ს) და სხვათა მიერ. უაღრესად ცნობილ ნაშრომად ამ დარგში ითვლებოდა ე. ფრიმანის წიგნი „ევროპის ისტორიული გეოგრაფია“, რომელშიც მოცემული იყო ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების ცვლილებები.

თავისი გრძელი გზა განვლო ამ დარგმა საქართველოშიც. მართალია „ქართლის ცხოვრების“ პირველ ავტორთა თხზულებებში უხვად ვხვდებით ისტორიული გეოგრაფიის მასალებს, მაგრამ ისტორიული გეოგრაფიის ფუძემდებლად ჩვენთან მაინც ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757 წწ) ითვლება. მისი „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“, სწორედ ამ თვალსაზრისით დაწერილი ნაშრომია. ვახუშტი ვახტანგ VI უკანონო შვილია, და მეფის შვილის შესაფერისი განათლებაც მიიღო. ფლობდა ლათინურ, ბერძნულ, თათრულ, რუსულ და სომხურ ენებს. მონაწილეობდა იმ დროის ქართლის რთულ პოლიტიკურ მოვლენებში, გვერდში ედგა მამას და მასთან ერთად 1724 წელს გაემგზავრა ხალხმრავალ დელეგაციასთან ერთად რუსეთში. სწორედ აქ დაიწყო მან სამეცნიერო საქმიანობა, აქ შექმნა საყოველთაოდ ცნობილი ნაშრომები საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში, რუკებით. მის 22 რუკაზე აღნიშნულია საქართველოს ქალაქები და სოფლები, ციხეები, მონასტრები და კოშკები, ხოლო თხზულებებში დახასიათებულია საქართველოს ცალკეული მხარეები მათი წარსულით, მოსახლეობა ზნე-ჩვეულებებით, ხასიათით. ვახუშტი 78 წლისა გარდაიცვალა, დასაფლავებულია დონის მონასტერში. მისი ნაშრომები ძვირფას წყაროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის.

საქართველოს ისტორიული ძნელბედობის გამო მხოლოდ XIX საუკუნეში გამოჩნდნენ ისტორიული გეოგრაფიის

დიდი ენთუზიასტები: მარი ბროსე, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. ნ. მარის დამსახურება. რუსულ ენაზე გამოქვეყნებული „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები“, რომელიც ხანძთელის ცხოვრების გამოცემას აქვს დართული და „ბათუმი-არდაგანი-ყარსი-კავკასიის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ისტორიული კვანძი“, ისტორიული გეოგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ.

ისტორიულ გეოგრაფიას დიდი ამაგი დასდო აკად. ი. ჯავახიშვილმა, მან სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას და ეს შრომა თავის „ქართველი ერის ისტორიას“ წარუმძღვარა. მანვე შეადგინა და 1923 წელს გამოსცა „საქართველოს ისტორიული რუკა“.

ასევე დიდი წვლილი დასდო ისტორიულ გეოგრაფიას აკად. ნ. ბერძენიშვილმა. მისი შრომების I ტომში „საქართველოს ისტორიის საკითხები“ ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის არაერთი საკითხია დასმული. მოცემულია მეთოდოლოგიური მითითებანი ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევაში.

ფრიად დიდი დამსახურება მიუძღვით აგრეთვე ამ მიმართულებით აკად. ს. ჯანაშიას და ს. ყაუხჩიშვილს. ს. ყაუხჩიშვილის შრომების სერიაში (რვატომეული) – „ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ“ – ისტორიული გეოგრაფიის არაერთი საკითხია გამოკვლეული.

თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის განვითარებაში გ. მელიქიშვილმა, პ. ინგოროყვამ, ი. სიხარულიძემ. ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევისადმია მიძღვნილი დ. მუსხელიშვილის ნაშრომი „სა-

ქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“, ტ. I, 1977 წ.; ტ. II, 1980 წ.

ისტორიული გეოგრაფიის ნაწილები

ისტორიული გეოგრაფიის კვლევის სფერო ფართოა და სხვადასხვა ნაწილებისაგან შედგება. მათგან განვიხილავთ:

ა) ფიზიკურ-გეოგრაფიულ აღწერილობას;

ბ) მოსახლეობის გეოგრაფიას;

გ) ეკონომიკურ გეოგრაფიას;

დ) პოლიტიკურ გეოგრაფიას.

ისტორიული ფიზიკური გეოგრაფია მნიშვნელოვანი ნაწილია ისტორიული გეოგრაფიისა. იგი სწავლობს მსოფლიოს ამა თუ იმ ნაწილის რელიეფს, ნიადაგს, წყლებს, ფლორას, ფაუნას, წიაღისეულს. ადამიანის ცხოვრებისთვისაც ხომ სწორედ ეს სიმდიდრეებია საჭირო. საერთოდ ანსხვავებენ ბუნებრივი სიმდიდრის ორ სახეს: 1) **საზოგადოებრივი ცხოვრების უშუალო წყაროები, ბუნებრივი სიმდიდრეები,** როგორიცაა: მიწის ნაყოფიერება, გარეული ცხოველები, მცენარეები, თევზი მდინარეებსა და ტბებში და სხვა. 2) **შრომის საშუალებათა ბუნებრივი სიმდიდრეები**: ლითონები, ნახშირი, ნავთობი, საამშენებლო მასალა, ქარისა და წყლის ძალა და სხვა.

ადამიანებმა უძველესი ხანიდანვე დაიწყეს **საზოგადოებრივი ცხოვრების უშუალო წყაროების** გამოყენება, ხოლო **შრომის საშუალებათა ბუნებრივი სიმდიდრეების** გამოყენება გაცილებით გვიან დაიწყეს.

ისტორიული ფიზიკური გეოგრაფია ადგენს რა წარსულის შესახებ ამ მონაცემებს, აადვილებს უძველეს დასახლებათა და მათი წარმოშობის ახსნას. იქ, სადაც ბუნებრივ სიმდიდრეთა ზემოთქმული პირველი სახე უხვად იყო, უძველესი

ადამიანიც იქ იკიდებდა ფეხს, იყენებდა ბუნებისაგან მზამზარეულად მიწოდებულ პროდუქტს. ამიტომაა, რომ ადამიანთა განვითარების ადრეულ ეტაპზე ბუნებრივმა ხელსაყრელმა პირობებმა არსებითი როლი ითამაშეს. არც ისაა შემთხვევითი, რომ პირველი ცივილიზაციები სწორედ ეგვიპტეში, შუამდინარეთში, ინდოეთში, ჩინეთში და იმ დროისათვის ხელსაყრელი კლიმატის მქონე ქვეყნებში წარმოიშვენ.

ისტორიული ფიზიკური გეოგრაფია გვეხმარება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დასახლებათა, კერძოდ პირველ მონათმფლობელურ სახელმწიფოთა წარმოშობის მიზეზთა ახსნაში.

ისტორიული ფიზიკური გეოგრაფია ახსნას იძლევა ადრე დაუსახლებელი, მაგრამ ამჟამად საკმაოდ დაწინაურებული რეგიონების შესახებაც. თუ გადამწყვეტი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში, ცივილიზაციის ადრეულ საფეხურზე, **საზოგადოების ცხოვრების უშუალო წყაროებს** ენიჭებოდა, საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო მეტი და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა **შრომის საშუალებათა ბუნებრივ სიმდიდრეებს**. ამიტომაა, რომ შედარებით გვიან, ამ სიმდიდრეებით მდიდარი რაიონები უფრო დასახლებულნი ხდებიან, საცხოვრებელი პირობების სიმკაცრის მიუხედავად. რაც უფრო ადამიანები განვითარების დაბალ დონეზე იმყოფებოდნენ, იმდენად ბუნება მათ ცხოვრებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობდა, ხოლო რაც უფრო დრო გადის ადამიანი მით უფრო უკეთ ერკვევა ბუნების კანონზომიერებებში. ბუნებასთან ურთიერთობაში ადამიანს მუდამ უნდა ახსოვდეს მისი დაცვის აუცილებლობა. მაგ. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პარალელურად უნდა გადაწყდეს ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ნიადაგის მორწყვასთან, საირიგაციო და სამელიორა-

ციო სამუშაოების შესრულებასთან და სხვა. ასე რომ საწარმოო ძალების განვითარების დონე და წარმოებითი ურთიერთობანი ხელსაყრელ პირობებს უნდა ქმნიდნენ გეოგრაფიული გარემოს საფუძვლიანი შესწავლისა და მისი ადამიანის სამსახურში ჩაყენებისათვის.

გეოგრაფიულ გარემოს ყოველთვის ჰქონდა განსაზღვრული მნიშვნელობა საზოგადოების განვითარების საქმეში. გეოგრაფიულ გარემოს საზოგადოების განვითარების დაჩქარება და შენელება შეუძლია, მაგრამ გადამწყვეტი არ შეიძლება იყოს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში.

თეორიები გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ საზოგადოების განვითარებაში

XVIII-XIX საუკუნეების ევროპაში, საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის შეფასების ორი უკიდურესი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა: **ერთი** (შარლ მონტესკიე, ჰენრი ბოკლი, ლევ მეჩნიკოვი და სხვა) ამტკიცებდა, რომ საზოგადოების განვითარებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობს გეოგრაფიული გარემო, ხოლო მეორენი სრულიად უგულებელყოფდნენ გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობას.

პირველი მიმდინარეობის წარმომადგენელი ფრანგი სოციოლოგი შარლი **მონტესკიე** (1689-1755) ამტკიცებდა, რომ საზოგადოების განვითარებაში წამყვან როლს კლიმატი თამაშობს. ცხელი კლიმატი ადამიანებს ასუსტებს, ისინი ზანტი ხდებიან, ხოლო ცივი ან ზომიერი ჰავა ააქტიურებს, მებრძოლს ხდის ადამიანებს, იზრდება მათი შრომის უნარიანობა. ამის დასამტკიცებლად მოჰქონდა აფრიკის ხალხთა ჩამორჩენილობისა და ევროპელთა დაწინაურების მაგალითი.

ჰენრი ბოკლი (1821-1862) კი თლიდა, რომ საზოგადოების განვითარებაზე მარტო ჰავა კი არ ახდენს გადამწყვეტ გავლენას, არამედ გეოგრაფიული გარემოს მთელი კომპლექსი: ნიადაგი, ლანდშაფტი, საზრდო და სხვა, ხოლო რუსი სოციოლოგი **ლევ მეჩნიკოვი** (1838-1888) შრომაში „დიდი ისტორიული მდინარეები და ცივილიზაცია“ ამტკიცებდა რა გეოგრაფიული გარემოს გადამწყვეტ როლს, კაცობრიობის განვითარების ისტორია სამ დიდ პერიოდად დაჰყო იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა ცხოვრებაში წყლის აუზებს.

1) **მდინარეების ცივილიზაციის** პერიოდი; 2) **ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის** პერიოდი, 3) **საოკეანო ცივილიზაციის** პერიოდი. მისი თქმით,პირველი პერიოდი შეესაბამება პირველყოფილ თემურ წყობილებას, მეორე – მონათმფლობელობას, მესამე – ფეოდალურ და კაპიტალისტურ წყობილობას.

მეჩნიკოვის ეს შეხედულება ვერ უძლებს კრიტიკას. წყალი – მდინარეები და ზღვები ადამიანთა განვითარების გარკვეულ ეტაპზე გახდა ხელისშემწყობი ფაქტორი ადამიანთა ურთიერთობისა, მაგრამ ადრეულ საფეხურზე, როცა ნაოსნობა არ იცოდა ადამიანმა, იგი დაბრკოლებად ითვლებოდა ადამიანთა დაახლოებაში.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა ე.წ. **გეოგრაფიული დეტერმინიზმის** მიმდინარეობა, რომელიც აცხდებდა სახელმწიფოთა პოლიტიკის გეოგრაფიული განპირობებულობის შესახებ. ამ მიმდინარეობის მთავარი თემა იყო **„სასიცოცხლო სივრცის“** საკითხი, რომელიც თითქოს აიძულებს ბევრ ქვეყანას აგრესიული პოლიტიკა ატაროს. ამ რეაქციული თეორიის ფუძემდებელი იყო **შვედი სოციოლოგი რუდოლფ ჩელენი,** მაგრამ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური

სკოლის მეთაური ფაშისტურ გერმანიაში **ჰაუსჰოფერი გახდა.** ისინი აღიარებდნენ „სასიცოცხლო სივრცის“ გადამწყვეტ მნიშვნელობას, ამართლებდნენ ფაშისტთა დამპყრობლურ მოქმედებას. ამავე თეორიას იყენებენ დღეს მოქმედი აგრესორებიც თანამედროვე სამყაროში. ამ დებულებას ეფუძნება და საშიში დასკვნების მომცემია ინგლისელი მღვდლის მალთუსის თეორიაც, რომლის მიხედვით, მოსახლეობის ზრდა საყოველთაო უბედურების მიზეზი ხდება.

დღეს საყოველთაოდაა მიღებული აზრი იმის შესახებ, რომ გეოგრაფიული გარემო მართალია, საზოგადოების განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობს, მაგრამ არა გადამწყვეტს.

მოსახლეობისა და ეკონომიური გეოგრაფია

ისტორიული გეოგრაფია ისტორიულ მეცნიერებას აწვდის აგრეთვე სარწმუნო ცნობებს მსოფლიოსა თუ მის ამა თუ იმ რეგიონში მოსახლეობის გაჩენაზე, განლაგებასა თუ განსახლებაზე. საზოგადოებას ოდითგანვე აინტერესებდა ის პირობები, რამაც გამოიწვია დედამიწის ზოგიერთი რაიონის ხშირი დასახლება, ზოგან კი სიმეჩხრე, ზოგ მხარეში მოსახლეობის სწრაფი ზრდა და ზოგანაც შედარებით ნელი. მიზეზები იმისა, თუ რა იწვევდა ხალხთა განსახლება-მიგრაციას და სხვა. ისტორიული გეოგრაფია სხვა მეცნიერებებთან კავშირში და მათი მონაცემების ანალიზით ყველაფერ ამაზე იძლევა პასუხს. როცა დმანისის უძველესი ადამიანის დათარიღება მოხდა (მილიონ 800 ათასი წელი) ამით ითქვა ისიც, რომ იმ დროს აქ აღმოჩნდა უძველესი ადამიანის ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები (საზოგადოებრივი ცხოვრების უშუალო პირობები). ხოლო ურალისპირეთში მოსახლეობის სიმჭიდროვე განსაზღვრა შრომის საშუალე-

ბათა ბუნებრივი სიმდიდრეების (ლითონის) სიუხვემ და მათი მოხმარებისთვის საჭირო ტექნიკური განვითარების დონემ.

ცნობილია, რომ XIII საუკუნის შუა ხანებში მონღოლთა მიერ საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობა 8-9 მილიონს აღწევდა, ხოლო XVIII საუკუნის ბოლოს მილიონამდე სულიც არ იყო. ისტორიულმა გეოგრაფიამ ეს მოვლენა უნდა ახსნას. ჯერ ერთი, საქართველოს ტერიტორიული მოცულობა, საზღვრები უნდა იქნას შესწავლილი და მეორე, ის პოლიტიკური მოვლენები უნდა იქნას განხილული, რომელთაც ჰქონდა ადგილი XIII-XVIII საუკუნეებს შორის.

მოსახლეობის განსახლების თვალსაზრისით გასათვალისწინებელია მიგრაციების პრობლემაც, რომელიც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდებოდა, მაგრამ არა იშვიათად სტიქიურადაც.

ისტორიული გეოგრაფია იძლევა მონაცემებს მოსახლეობის საქმიანობასა და კავშირურთიერთობის შესახებაც. ხშირად ადამიანთა შრომით საქმიანობასთანაა დაკავშირებული გეოგრაფიული გარემოს ცვლა, ამიტომ ისტორიული გეოგრაფია ამ მიმართებითაც იძლევა საინტერესო მასალას. მაგ. წიაღისეული სიმდიდრეების ათვისება, წყლის მარაგის გამოყენება ელექტროენერგიისათვის, თუ აუთვისებელი მიწების მორწყვის მიზნით, ახალი საწარმოების მშენებლობა, ტყის მასივების საამშენებლო მასალად გამოყენება და იმ ადგილების სათესად ათვისება გეოგრაფიული გარემოს ცვლას იწვევს და ამასთან მოსახლეობის მიზიდვასაც.

მოსახლეობის დასახლება-განლაგებასთანაა დაკავშირებული მიმოსვლის საშუალებათა, გზებისა და ხიდების განლაგების გეოგრაფიაც. გზების განლაგება მთელ რიგ ფაქტორებთანაა დაკავშირებული. კერძოდ: დასახლების ხარის-

ხი, მეურნეობის განვითარების დონე, ბუნებრივი პირობები და სიმდიდრეები, სამხედრო აუცილებლობა, ადმინისტრაციული მმართველობის ინტერესები. ამ პირობათა მიხედვით ისტორიული გეოგრაფია ადგენს მიმოსვლის საშუალებებს, გზებისა და ხიდების განლაგებას ცალკეული პერიოდების მიხედვით ამა თუ იმ ქვეყნისათვის. მაგალითად, ძველ საქართველოში, როცა ე.წ. „აბრეშუმის გზა“ საქართველოზე გადიოდა, მტკვარ-რიონის სამდინარო მაგისტრალზე ძველი ისტორიკოსები 120 ხიდის არსებობაზე მიუთითებენ, ხოლო ფაზისში 60 ხალხის ენაზე საუბარი ისმოდაო. ანდა, ახალ დროში, 1878 წლისთვის ბათუმში 5 ათასამდე სული თუ ცხოვრობდა. ოცი წლის შემდეგ აქ 30 ათასამდე მცხოვრები იყო. ბუნებრივია, ეს მოსახლეობის ბუნებრივი მატების შედეგი არ იყო. ბათუმის ბუნებრივად დაცული პორტის ზრდა-გაფართოებამ, ბათუმში რკინიგზის შემოსვლამ, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანამ ბათუმის სტრატეგიული მნიშვნელობა გაზარდა, რასაც სხვადასხვა მხარეებიდან მოსული ადამიანებით მისი მოსახლეობის ზრდა მოყვა.

პოლიტიკური გეოგრაფია

ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმედ ითვლება ცალკეული სახელმწიფოების, რაიონებისა თუ ოლქების საზღვრების დადგენა ისტორიული პერიოდების მიხედვით. სივრცეში განსაზღვრის გარეშე, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის, მისი საზღვრების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ ქვეყანაზე ლაპარაკი. საზღვრები კი ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ძალიან ცვლადია. უძველესი დოკუმენტების, რუკების თუ სხვა მასალების გამოყენებით ისტორიული გეოგრაფია ამ რთულ ამოცანას ართმევს თავს. ასევე რთულია ცალკეული ქვეყნე-

ბის რაიონებად თუ ოლქებად დაყოფის საფუძვლების, ზუსტი საზღვრების დადგენა. რომ არაფერი ვთქვათ ძველ დროზე, ფეოდალურ ხანაში ძალიან ხშირი იყო ქვეყნის და მის შიგნით ფეოდალურ ერთეულებს შორის საზღვრების გაფართოება შემცირების შემთხვევები. შედარებით იოლია ეთნიკურ ერთეულთა დასახლების განსაზღვრა. თუ XIII საუკუნის საქართველოს საზღვრები მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა, XV საუკუნის ბოლოს პატარა „საქართველოებად" იყო დაყოფილი, ხოლო XVI საუკუნის ბოლოსათვის ქვეყნის ერთი მესამედი – სამხრეთი საქართველო ირან-ოსმალთა ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული. ისტორიული გეოგრაფია სწორედ ამ ყველაფერს აფიქსირებს ისტორიული მახსოვრობისათვის.

არადა, ბოლო ერთი საუკუნის საქართველოს ისტორიული საზღვრების ცვლა, ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვა ჩრდილო–დასავლეთით, აღმოსავლეთით თუ სამხრეთით... ბოლო ათწლეულებში განვითარებული მოვლენები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გააზრებას და ახსნას მოითხოვს.

ყველა ეს მოვლენა ასახვას ჰპოვებს ისტორიულ გეოგრაფიაში, რომელიც საფუძველია ქვეყნის ობიექტური ისტორიის შექმნისა.

რეკომენდირებული ლიტერატურა

1. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII-XII სს., თხზ. ტ. I, თბ., 1979
2. ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფია, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964; ტ. VIII, თბ., 1969
3. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941
4. ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, თბ., 1969

5. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები I ნაწ., თბ., 1977, II ნაწ. თბ., 1980
6. გ. ყორანაშვილი, გეოგრაფიული ფაქტორის როლი საქართველოს ისტორიულ პროცესში, წგ. „საქართველოს ისტორიის საკითხები, ნაწ. I, თბ., 1994.

საკითხები განხილვისა და დისკუსიისათვის

1. გვესაუბრეთ ისტორიული გეოგრაფიის საგანსა და წარმოშობაზე
2. ჩამოთვალეთ ისტორიული გეოგრაფიის ნაწილები
3. რა განსხვავებას ხედავთ საზოგადოებრივი ცხოვრების უშუალო წყაროებსა და შრომის საშუალებათა ბუნებრივ სიმდიდრეებს შორის?
4. გვესაუბრეთ საზოგადოების განვითარებაში გარემოს როლის შესახებ არსებულ თეორიებზე
5. რამდენად აქტუალურად მიგაჩნიათ თანამედროვე პირობებში პოლიტიკური გეოგრაფიის როლი?

ტოპონიმიკა

ტოპონიმიკა, მისი ჩამოყალიბება და საგანი

„ტოპონიმიკა“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვებისაგან (**ტოპოს** – ადგილი, **ონიმა** – სახელი). ე.ი. ტოპონიმიკა სწავლობს გეოგრაფიულ ადგილთა სახელწოდებებს. იგი ონომასტიკის – სახელთა შემსწავლელი მეცნიერების ნაწილია. ონომასტიკაში შედის: ანთროპონიმიკა – ადამიანთა სახელების შემსწავლელი დარგი; ეთნონიმიკა – ტომთა, ხალხთა სახელების შემსწავლელი დარგი; ზოონიმიკა – ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა სახელების შემსწავლელი დარგი; ჰიდრონიმიკა – მდინარეების, ტბების, ზღვების სახელების შემსწავლელი დარგი; **ტოპონიმიკა** – მეცნიერება ამა თუ იმ ქვეყნის, მხარის, ქალაქის, სოფლის და ა.შ. გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების შესახებ და სხვ. ტოპონიმიკის ძირითადი ამოცანაა ტოპონიმების წარმოშობისა და მათი ისტორიული ცვლილების კანონზომიერებათა დადგენა. ამა თუ იმ ადგილის ტოპონიმთა ერთობლიობას **ტოპონიმია** ეწოდება.

საყოველთაოდ გაზიარებულია აზრი იმის თაობაზე, რომ საზოგადოების განვითარების გარიჟრაჟზე ტოპონიმების მარტივი ფორმები არსებობდა. ადგილთა აღსანიშნავად გამოყენებული იყო ჩვეულებრივი აპელატივები: წყალი, მდინარე, ხევი, მთა, გორაკი, ტბა, კუნძული, კლდე...

გეოგრაფიული სახელები მეტად მდგრადი, მყარი ერთეულებია. ამიტომ ტოპონიმებში, ჩვეულებრივ, ასახულია უძველესი ხალხების ენობრივი თავისებურებანი, მეზობელ ტომებთან (ხალხებთან) საურთიერთო კონტაქტები. ტოპონიმების მიხედვით მეცნიერები საკმაოდ ზუსტად ადგენენ ხალხთა მოძრაობის საზღვრებს, ამა თუ იმ ეთნიკური ერთეულების ოდინდელ ადგილსამყოფელს.

ტოპონიმიკის მეცნიერული კვლევის პიონერი იყო გამოჩენილი გერმანელი ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე ვილჰელმ ჰუმბოლდტი (1767-1835). იგი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც თავის შრომებში ტოპონიმთა ახსნა შედარებით-ისტორიული მეთოდებით სცადა. პირველი რუსი მკვლევარი, ვინც ტოპონიმიის საკითხებით დაინტერესდა და მის შესწავლას მეცნიერული მიმართულება მისცა, იყო აკადემიკოსი ალექსანდრე ქრისტოფორეს-ძე ვოსტოკოვი (1781-1864). ა. ვოსტოკოვმა 1812 წელს გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც გეოგრაფიულ სახელთა დიდ შემეცნებით ღირებულებასა და მათი შესწავლის მეთოდოლოგიურ საკითხებზეა საუბარი.

ქართულ მეცნიერებაში ამ თვალსაზრისით პირველობა ეკუთვნის სულხან-საბა ორბელიანს თავისი „სიტყვის კონით“ და ვახუშტი ბატონიშვილს მისი გეოგრაფიით. ეს საქმეც ახალ სიმაღლეზე აიყვანა ივ. ჯავახიშვილმა.

ტოპონიმთა სახეები

ამჟამად საყოველთაოდ გაზიარებულია დებულება იმის თაობაზე, რომ ტოპონიმები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს. ესენია: 1. მაკროტოპონიმია, 2. მიკროტოპონიმია, 3. საკუთრივ ტოპონიმია.

მაკროტოპონიმებია: ქვეყნის, მხარის, კუთხეების, ზღვების, ოკეანების და სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიული ვრცელი ობიექტების აღმნიშვნელი სახელები, ვთქვათ: აღმოსავლეთი საქართველო, არაგვის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, დარიალის ხეობა, ალაზნის ველი, ჯავახეთის ზეგანი, ქართლის ქედი, აჭარისწყლის ხეობა და ა.შ.

საკუთრივ ტოპონიმებია: თბილისი, ჭიათურა, გორი, დუშეთი, ციხისძირი, თელავი, ქუთაისი, თიანეთი, იორი, ქსა-

ნი, არაგვი, ბათუმი, ქობულეთი, შუაფხო, მეჯუდა, უშბა, მყინვარწვერი, თურდო, ჩხარი, რიონი, ხობი და სხვ.

მიკროტოპონიმებია: ყველა იმ უმცირესი ობიექტის კონკრეტული სახელწოდებანი, რომლებსაც თითოეული ზემოთ დასახელებული ობიექტი თავისთავში შეიცავს. მიკროტოპონიმთა ჯამი ქმნის საკუთრივ ტოპონიმს, საკუთრივ ტოპონიმები კი, თავის მხრივ, მაკროტოპონიმთა სისტემის შემადგენელ კომპონენტებად გვევლინებიან.

შეიძლება მაკრო, საკუთრივ და მიკრო ტოპონიმები ერთმანეთთან მიმართებაში იცვლიდნენ ადგილს; თუ საქართველო კავკასიასთან მიმართებაში საკუთრივ ტოპონიმია, აჭარასთან მიმართებაში მაკროტოპონიმია, ხოლო ქობულეთი აჭარასთან მიმართებაში მიკროტოპონიმია. ასეთივე მიმართება იქნება: აჭარა–ქედა–მერისი.

ტოპონიმთა უმრავლესობის წარმოშობას თავისი ახსნა აქვს. ტოპონიმთა ერთი ნაწილის წარმოშობა დაკავშირებულია ბუნებრივ ან სამეურნეო ნიშნებთან. მაგ. მყინვარწვერი, შქერნალი, თხილნარი, წყავროკა, საფუტკრია.

ტოპონიმთა ერთი ნაწილიც იმის მიხედვითაა გაჩენილი, თუ ვისი კუთვნილება იყო ესა თუ ის ადგილი ან ვინ ცხოვრობს იქ. მაგ. სახალვაშო, გეგელიძეები, გელაძეები, ჭინკაძეები, შარაბიძეები.

ტოპონიმთა ერთ ნაწილს შემოუნახავს ისტორიულ გმირთა სახელები: კახაბერი, გოდერძის უღელტეხილი, ყაზბეგი...

ტოპონიმთა ერთი ნაწილი ისტორიული მიგრაციების კვალზე გვაყენებს. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გვხვდება დასახლებული ადგილების ერთნაირი ტოპონიმები: შუახევი, აჭარა და სხვა.

ტოპონიმთა ერთი ნაწილი რელიგიასთანაა კავშირში: ნასაყდრევი, ელიაწმინდა, წმინდასერი, ჯვარი, ჯვარისუბანი, ჯვართა, ჯამიკარი...

ბევრ ძვირფას ცნობას გვაწვდის ტოპონიმი ენის ისტორიისათვის. ტოპონიმებში ცოცხალია ბევრი სიტყვა, ფორმა, რომელიც უკვე სამეტყველო ლექსიკამ დიდი ხანია დაკარგა.

ტოპონიმია – ენის ნაწილია, ენობრივი ერთეულია. ამიტომ ენის განვითარების კანონზომიერებას მკაცრად ექვემდებარება. ტოპონიმიკა – განსაკუთრებული განყოფილებაა ენათმეცნიერებისა. ენის ისტორიის რიგი საკითხები მასში შესანიშნავადაა წარმოსახული, განსაკუთრებით დიალექტოლოგიას უწევს იგი დიდ სამსახურს.

ტოპონიმიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიასთან, გეოგრაფიასთან, ეთნოლოგიასთან. მასში სრულყოფილადაა ასახული ხალხის მატერიალური და სულიერი ყოფის საკითხები.

ისტორიულ-ტოპონიმიური კვლევისათვის

ადგილთა სახელები გარდასულ დროთა მოწმეებია. ბევრი მოვლენა, გმირი თუ სიტყვა დავიწყებული იქნა, მაგრამ ტოპონიმებში ისინი ახალ სიცოცხლეს შეიძენენ, თუ მათ დროულად შევკრებთ. ამ მასალათა შეკრებას კი ცოდნა უნდა, თუ როგორ გავაკეთოთ ეს.

ამაზე საყურადღებო მითითებას იძლევა ცნობილი ტოპონიმისტი ს.ბ. ვესელოვსკი. იგი წერს „სასურველია ტოპონიმიკური მასალების უშუალო შეკრება მოხდეს ადგილების თანმიყოლებით და ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვის გზით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეკრებილ იქნას დიდი რაოდენობით სხვადასხვა პატარა მდინარეების, ხევებისა და სხვათა სახელწოდება, რომლებიც არ მოხვედრილან და შეიძლება არც მოხვდნენ არც ერთ რუკაზე, არც სოფლების სი-

ებში“. აქ კარგად ჩანს ტოპონიმთა შეკრების მნიშვნელობა, რადგან, მიუხედავად ტოპონიმთა საკმაოდ სიმყარისა, დრო და ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები საშიშროებას ქმნის ტოპონიმების ერთი ნაწილის შეცვლის, დავიწყებისა თუ გაქრობისა.

ამიტომ ტოპონიმთა ჩაწერა, შესწავლა საშური საქმეა, მასში სტუდენტი ახალგაზრდების ჩაბმა საჭიროა, მაგრამ ვიდრე ისინი გადაწყვეტდნენ გეოგრაფიულ სახელწოდებათა – ტოპონიმთა ჩაწერას, ისინი კარგად უნდა გაეცნონ ამ ადგილის ისტორიას, ამ სოფლისა თუ ქალაქის, მხარის შესახებ არსებულ ლიტერატურას. უშუალოდ უნდა მივიდნენ იმ ადგილებში, რომლის ჩაწერასაც აპირებენ. უმჯობესია გეოგრაფიულ სახელთა ჩაწერა უხუცესთაგან, რომ ამ სახელებს თავიანთი სახე (ძველი) შერჩეთ, თორემ ახალგაზრდები ხშირად თანამედროვე ენობრივი ნორმებით ასწორებენ. მთხრობელს რამდენჯერმე უნდა შევახსენოთ, რომ ჩვენთვის საინტერესოა (ერთი შეხედვით) უბრალო ადგილის სახელწოდებაც (ღელე, აბანო, სერი...). როცა მთხრობელი ჩამოთვლას (რამდენჯერმე) დაამთავრებს, საჭიროა ვკითხოთ ამ სახელწოდებათა შერქმევის შესახებაც ხომ არ სმენიათ რაიმე გადმოცემა, ლეგენდა. თუ არსებობს, უნდა ჩავიწეროთ. ასევე უნდა ჩავიწეროთ მთხრობელის გვარი, სახელი, ასაკი და საცხოვრებელი ადგილი, განათლება. ამის შემდეგ ამავე ადგილების შესახებ უნდა ვკითხოთ სხვა პირსაც, რადგან შესაძლებელია უკვე მოპოვებულ ინფორმაციას მან რაიმე დაამატოს, რაიმე მნიშვნელოვანი ცნობა მოგვაწოდოს. ასე თანდათან შედგება სოფლის, თემის, რაიონის, ოლქის და ა.შ. ტოპონიმიკა. მაგრამ ტოპონიმთა შეგროვებით საქმე არ მთავრდება. ამის შემდეგ იწყება ამ ტოპონიმთა დამუშავება, რაც მკვლევარისაგან მრავალმხრივ ცოდნას მოითხოვს. ეს კი სპეციალისტთა საქმეა.

რეკომენდირებული ლიტერატურა:

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964
2. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, II ნაწ., თბ., 1977, 1984 წწ.
3. ი. სიხარულიძე, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ტ. I, ბათუმი, 1958
4. მ. ქამადაძე, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, ზემო აჭარის ტოპონიმია, თბ., 1992.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისთვის

1. ჩამოთვალეთ ონომასტიკის შემსწავლელი დარგები
2. რას ნიშნავს ტოპონიმთა მდგრადობა, რა განაპირობებს მას?
3. ჩამოთვალეთ სათანადო მაგალითებით ტოპონიმთა სახეები
4. გაიხსენეთ ისტორიულ გმირთა სახელებთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარის, საქართველოს სხვა კუთხეების ტერიტორიაზე
5. გვესაუბრეთ რა სამუშაოებია ჩასატარებელი ტოპონიმთა ჩაწერამდე და ჩაწერის მსვლელობისას

არქეოლოგიური დაზვერვისა და გათხრების მეთოდიკა

არქეოლოგია ისტორიული მეცნიერების შემადგენელი ნაწილია. იგი სწავლობს ნივთიერ წყაროებს ადამიანთა საზოგადოების წარსული ცხოვრებისა და ამით აღადგენს საზოგადოების წარსულ, უძველეს ისტორიას. ისტორია და არქეოლოგია შეადგენს ერთიან ისტორიულ მეცნიერებას, მათ შორის განსხვავებაა წყაროებსა და კვლევის მეთოდებში. არქეოლოგიური მონაპოვრების ისტორიული ინტერპრეტაციით მეცნიერულ ღირებულებას იძენს მოპოვებული არქეოლოგიური მასალა (არტეფაქტები).

არქეოლოგიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უძველესი დროის – პირველყოფილი წყობილების შესწავლაში, რომელზეც წერილობითი წყაროები საერთოდ არ მოიპოვება, მაგრამ არქეოლოგიას, მის მონაპოვრებს, დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგი დროის – ძველ და შუა საუკუნეების შესწავლაშიც, რომლითაც ივსება წერილობითი წყაროების მონაცემები.

არქეოლოგიას ფართო კავშირი აქვს, როგორც ჰუმანიტარულ, ისე ბიოლოგიურ და ზუსტ მეცნიერებებთან, განსაკუთრებით კი გეოლოგიასთან, ანთროპოლოგიასთან, ეთნოლოგიასთან, პალეოზოოლოგიასთან, პალეობოტანიკასთან და ა.შ.

არქეოლოგია სწრაფად ვითარდება. მისი მონაცემები ერთიორად გაიზარდა, მაგრამ დედამიწის ყველა უბანზე წყაროთა ერთნაირი რაოდენობა როდი გვაქვს. არც პერიოდების მიხედვითაა წყაროთა თანაფარდობა. ძალიან ცოტაა მასალები ადრე ქვის ხანის შესასწავლად, ასევე მწირი მასა-

ლებია ჩვენი ქვეყნის დასახლებაზე ადრეფეოდალურ ხანაში და სხვა.

ნივთიერი წყაროების დიდი უმრავლესობა მოპოვებულია არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ გათხრებით, მაგრამ ზოგჯერ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის შემთხვევით აღმოჩენილი ნივთიერი მასალები. ეს ხდება ისტორიული ძეგლების შემთხვევით დანგრევის, ან მიწის სამუშაოების წარმოებისას (გზების გაყვანა, მშენებლობისათვის ადგილის მომზადება). ასეთ დროს ძეგლები ან საერთოდ იღუპება ან მეცნიერებამდე აღწევს მეცნიერული დოკუმენტაციის გარეშე. ამიტომ ახლა, როცა კიდევ უფრო გაიზარდა სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა და შესაბამისად გაიზარდა მონაპოვრებიც, ყველას ვალია ჯერ ერთი, საზოგადოებაში, იქ სადაც მშენებლობანი წარმოებს, ჩაატაროს სააგიტაციო და ახსნა-განმარტებითი საუბრები, გამოავლინოს არქეოლოგიური ობიექტები, მეორეც, საჭირო შემთხვევაში ჩაატაროს ძეგლის გადარჩენისათვის სამუშაოები და უზრუნველყოს ძეგლის დაცვა არქეოლოგიური ექსპედიციის ჩატარებამდე.

არქეოლოგიურ ძეგლთა სახეები

არქეოლოგიური დაზვერვისა და გათხრების წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა ვიცოდეთ არქეოლოგიურ ძეგლთა სახეები და ზოგიერთი საჭირო ცნება და ტერმინი. მაგ., **კულტურულ ფენას** არქეოლოგები უწოდებენ ნიადაგის იმ ფენას, რომელიც შეიცავს ადამიანის მოღვაწეობისა თუ ცხოვრების კვალს, ხოლო მის ზედას ფენას – **ჰუმუსს**. სისქე მისი სხვადასხვაა – რამდენიმე სანტიმეტრიდან რამდენიმე ათეულ მეტრამდე. იგი დამოკიდებულია მოცემულ ადგილზე ადამიანთა ცხოვრების ხანგრძლივობასა და ცხოვრების ხასიათზე, აგრეთვე შენახულობაზე (გადარეცხვა, და-

ზიანება...). განსხვავებულია ისინი არქეოლოგიური მასალის სიმდიდრითაც. გვხვდება მრავალფენიანი ძეგლებიც, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა პერიოდის ფენებს. ასეთ ძეგლებში კულტურულ ფენებს შორის უმეტესწილად გვხვდება ისეთი ფენა, რომელსაც არ ატყვია ადამიანის მოღვაწეობის კვალი. მას უწოდებენ **სტერილურ ფენას** და იგი გვიჩვენებს იმას, რომ ამ ადგილზე გარკვეულ პერიოდში ცხოვრება არ ყოფილა. კულტურული და სტერილიზებული ფენების თანმიმდევრობას ერთიდაიმავე ადგილზე უწოდებენ **ძეგლის სტრატიგრაფიას**. მიწის ფენას, რომელიც ყველაზე ადრინდელი კულტურული ფენის ქვემოთაა და არ შეიცავს ადამიანთა მოღვაწეობის კვალს ეწოდება **მატერიკი**.

მიწის ფენა – დაფარული კულტურული ფენით, იწოდება **ნამარხ ნიადაგად**.

არქეოლოგიურ ძეგლთა მრავალგვარობიდან ყველაზე გავრცელებულია: **დასახლების ადგილები, სამარხები და სალოცავი, წმინდა ადგილები.**

დასახლების ადგილებში შედის: ღია ტიპის სადგომები, კლდის გამოქვაბულები, მესაქონლეთა სადგომები, ნასოფლარები, ნაქალაქარები და სხვა. **ღია ტიპის სადგომები** ადამიანთა მცირე ჯგუფის, ძირითადად, მონადირეთა ცხოვრების კვალზე მიგვითითებს და განეკუთვნება ქვის ხანას. ასეთი ძეგლები გვხვდება განსაკუთრებით წყლების, მდინარეების ახლოს. ასეთი ძეგლების კულტურული ფენა თხელია და გადარეცხილი, შედარებით უკეთაა შენახული კოცონის ადგილები.

გამოქვაბულები და თავშესაფრები (სათაფლია) გამოიყენებოდა ძირითადად ძველი ქვის ხანიდან დაწყებული რკინის პერიოდამდე. ასეთი ძეგლების სტრატიგრაფია ძა-

ლიან რთულია, კულტურული ფენა სქელია და მდიდარი, განსაკუთრებით გამოქვაბულის შესასვლელში.

სოფლები უმეტესად იქმნებოდა ცხოვრებისათვის ხელმისაწვდომ მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე, ჩვეულებრივად მზიან მხარეს – ფერდობის სამხრეთის მიმართულებით. სოფლებს არ გააჩნდათ ხელოვნური გამაგრებები, მაგრამ ბუნებრივს ითვალისწინებდნენ თავდაცვისათვის. სოფლების სიდიდე სხვადასხვა იყო – ასეული კვმ-დან ათასობით კვმ-დე. ასეთი დასახლებები დამახასიათებელი იყო ახალი ქვის ხანიდან ადრე მეტალის ხანამდე. მსგავსი ძეგლების ფენა სქელია და მდიდარი.

ქალაქური დასახლებები სოფლურისაგან უმეტესად განსხვავდებოდა თავდაცვითი ნაგებობებით (არხები, კედლები, ციხე-სიმაგრე). მათი კულტურული ფენა კიდევ უფრო სქელია და მდიდარი, ვიდრე სოფლისა, რადგან მათ კედელი შემოსაზღვრავდა. ქალაქს ახასიათებდა დაგეგმარება, მაგრამ ადგილის სივიწროვის გამო შენობები ახლო-ახლო მდებარეობდა. ტოპოგრაფიულად ქალაქები კარგად იყო გამოსახული.

არქეოლოგიურ ძეგლთა შემდეგი სახე – სამარხები, თავიანთი სტრუქტურით იყოფა შემდეგ ჯგუფებად: **ყორღანები, ორმო-სამარხები, სარკოფაგები, აკლდამები, დოლმენები, ქვაყუთები, ამოშენებულკედლებიანი სამარხები** და სხვა.

არქეოლოგიისათვის სამარხების შესწავლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი იძლევა საშუალებას აღვადგინოთ ჩვენი წინაპრების ცხოვრების თავისებურებანი, მეორეს მხრივ, სამარხთა ტიპები მნიშვნელოვანია ეთნიკური ნიშანითაც ხალხთა განფენილობის რუკის დასადგენად; ასევე, სამარხები იძლევა ძვირფას ანთროპოლოგიურ

მასალებს. სამარხში მოპოვებული სხვადასხვა სახის ინვენტარი კი საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ დამარხულის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ყორღანები მიწაყრილებისაგან შემდგარი სხვადასხვა ზომის, შემაღლებულ ადგილებზე აღმართული სამარხებია. ისინი შეიძლება ერთად ან ცალ-ცალკე იყოს. ზოგიერთი ყორღანის სიმაღლე 15-20 მეტრს აღწევს, ამიტომ მათი შემჩნევა იოლია. ზოგჯერ მის ქვეშ შეიძლება ათეული სამარხი იყოს. ზოგიერთი ყორღანი იქმნებოდა საუკუნეების განმავლობაში, ამიტომ მათი სტრატიგრაფია რთულია. ყორღანები გაჩნდა ბრინჯაოს ხანაში და აგრძელებდა არსებობას საკმაოდ გვიან პერიოდამდე.

ორმო სამარხები გვხვდება შემაღლებულ ადგილებში. ადრე მათ გარეგნული შესამჩნევი ნიშნები ექნებოდათ, მაგრამ ახლა მათი შემჩნევა ძნელია. ეს კარგად ჩანს ფიჭვნარის მაგალითზე. სამარხები შეიძლება ათეულ და ასეულს წარმოადგენდეს, მაგრამ არ შეიცავს ისე დიდ პერიოდს, როგორც ყორღანები. **საკორფაგები** ქვის კუბოებია ქვისავე სახურავით, ხოლო **აკლდამა**– მიცვალებულის შესანახი ქვის შენობაა.

დოლმენები წარმოადგენს გიგანტური ქვის ფილებისაგან შექმნილ ყუთებს. ასეთები გვხვდება კავკასიაში, მრავლადაა დოლმენები აფხაზეთის ტერიტორიაზეც. ეს არის ბრინჯაოს ეპოქის სამარხები. დოლმენთა უმრავლესობამ ჩვენამდე მოაღწია დაზიანებული და გაძარცვული სახით.

რკინის ხანაში ჩნდება დამარხვის სხვა სახეებიც: გვამის დაწვა (**კრემაცია**) და ფერფლის შენახვა, დამარხვა ჭურჭლებში (ქვევრ-სამარხები, კრამიტ-სამარხი...). საერთოდ მიცვალებულის მთელი სხეულით დამარხვას **ინჰუმაციას** ეძახიან.

სამლოცველო ადგილები აერთიანებს ყველა ნაგებობას, რომელთაც რიტუალური დანიშნულება გააჩნიათ: **მონასტრები, ეკლესიები, შესაწირავი ადგილები, სამლოცველოები** და ზოგი გამოქვაბულის და კლდის რიტუალური წარწერები.

საველე და კაბინეტური კვლევის მეთოდები

არქეოლოგიის მუშაობა იყოფა ორ ნაწილად: საველე და კაბინეტური. არქეოლოგიურ დაზვერვასა თუ გათხრას ყოველთვის წინ უსწრებს იმ მხარის და ადგილის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა. თუ ადრე გათხრები წარმოებდა იქ, იმ მონაცემების გაცნობა და ყველა მოსამზადებელი სამუშაოს შესრულება, ველზე მუშაობის გეგმის შემუშავების ჩათვლით. შემდეგ იწყება საველე სამუშაოები და ბოლოს მონაპოვარ მასალათა კაბინეტური დამუშავება.

საველე სამუშაოები შედგება არქეოლოგიური დაზვერვისა და გათხრებისაგან. ყველა არქეოლოგიური ძეგლი სახელმწიფო საკუთრებად ითვლება და სახელმწიფოს დაცვის ქვეშაა.

არქეოლოგიურ ძეგლთა გათხრების დაწყება ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როცა გაცემულია შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულების მიერ ე.წ. **ღია ფურცელი.**

თანამედროვე პირობებში აქტიურად დაინერგა არქეოლოგიური დაზვერვისას აეროფოტოგადაღება, რაც უფრო ზუსტ ინფორმაციას იძლევა. ასევე სულ უფრო ვრცელდება წყალქვეშა არქეოლოგია წყლის ქვეშ მოქცეული ძეგლების შესასწავლად.

ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ უნდა შედგეს ანგარიში ძეგლის დოკუმენტაციით და გაიგზავნოს შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებაში. მხოლოდ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ შეიძლება ძეგლის შესწავლის დაწყება.

არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები

არქეოლოგიური დაზვერვა მიზნად ისახავს არქეოლოგიურ ძეგლთა აღმოჩენასა და წინასწარ შესწავლას. მისი საბოლოო მიზანია არქეოლოგიური რუკის შედგენა. არქეოლოგიური დაზვერვა სხვადასხვა საშუალებებით (ავია-დაზვერვა, გეოფიზიკური დაზვერვა და სხვა) ხდება, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია თვით არქეოლოგიის მიერ გათხრის ობიექტის უშუალო დათვალიერება. საერთოდ არქეოლოგიური დაზვერვის საშუალებები განისაზღვრება ადგილობრივი პირობებითა და არქეოლოგის ტექნიკური აღჭურვილობით, მაგრამ არის ზოგიერთი მითითება, რომლის გათვალისწინება ყველა შემთხვევაში საჭირო და აუცილებელია.

არქეოლოგიურ დაზვერვას წინ უსწრებს მოსამზადებელი მუშაობა: შესასწავლი ობიექტის არჩევა, გადასვლის საშუალებათა მომზადება, მარშრუტის შემუშავება რუკაზე, გეგმის შედგენა. არქეოლოგი უნდა გაეცნოს შესასწავლი ობიექტის არქეოლოგიურ და სამხრეთმცოდნეო ლიტერატურას, გეოგრაფიასა და კლიმატურ პირობებს. დიდი მნიშვნელობა აქვს დაზვერვისათვის წელიწადის დროს შერჩევას. ჩვენთან ყველაზე ხელსაყრელი დროა გვიანი შემოდგომა, რადგანაც ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია წყლის დაბალი დონე, ბალახის დაბალი საფარი. ამ სამუშაოსათვის ხელსაყრელია დღის დასაწყისი – მზიანი დილა ან საღამო, რადგანაც კარგად ჩანს გვერდიდან სხივების მინათების გამო რელიეფის ოდნავ შესამჩნევი დეტალებიც.

არქეოლოგს, დაზვერვისათვის თან უნდა ქონდეს საჭირო მოწყობილობანი (ბუსოლი, კომპასი, რულეტკა, ფოტოაპარატი, შრომის იარაღები: ბარი, დანა, ფუნჯი, ქაღალდი, ბამბა, პატარა კოლოფები მასალების ჩასაწყობად ან პატარა-პატარა ტომრები და სხვა.

დაზვერვის დროს მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში უძველესი ადამიანების მიერ საცხოვრებელი ადგილების განლაგების პრინციპი (მდინარის ან ტბის პირას, განსაკუთრებით ჩრდ. ნახევარსფეროში მარცხენა სანაპიროზე, რადგან მარჯვენა უმეტესწილად დამრეცია და ჩამორეცხილი დედამიწის მოძრაობის გამო.

დაზვერვის დროს უნდა დავათვალიეროთ ყველა ჩაღრმავებული ადგილი, ნაყარი მიწა, კარიერები, მიწურები, ადგილები ტელეფონის ბოძებს ირგვლივ, რადგანაც შეიძლება ამ ნაყარ მიწაში შევამჩნიოთ ძვლის ნაშთები, კერამიკის ნამსხვრევები და სხვა. კულტურული ფენის არსებობაზე შეიძლება მიგვითითოს მიწის სხვადასხვა ფერის მოხაზულობამ ან მიწის სირბილემ და სხვა.

დაზვერვისას ნახული ყველა ნივთი აღირიცხება და ფიქსირდება მათი აღმოჩენის ადგილი. ერთ ადგილზე ნახული ნივთები ერთად იკვრება პაკეტში და მას ეწერება შეგროვების დრო, ადგილი, შემგროვებლის გვარი და პაკეტის ნომერი. დღიურში აღინიშნება შეგროვებული ნივთები, ძეგლის ზომა, ადგილმდებარეობა და მისი მდგომარეობა (როგორაა შენახული). ძეგლის ფოტოგადაღება ხდება და აღინიშნება დიდმასშტაბიან რუკაზე.

დაზვერვის დროს აუცილებელია ადგილობრივ მოსახლეობასთან კავშირი. მათი გამოკითხვა, ხომ არ უნახავთ მსგავსი მასალები (უკეთესია ვაჩვენოთ რა მასალებზეც ველაპარაკებით), აუცილებლად უნდა დავათვალიეროთ არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი სკოლის კოლექცია, მუზეუმები, აქ არსებული მასალები.

არქეოლოგიური ძეგლის მიგნებისას არქეოლოგმა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით უნდა დაადგინოს ამ ადგილის ზუსტი სახელწოდება, შემდეგ შეადაროს რუკას და ზუსტად მონახოს ეს ადგილი მასზე. თუ დასახლებული პუნ-

ქტიდან შორსაა ეს ძეგლი, მაშინ ორიენტირად უნდა აიღოს რელიეფური ნიშნები (ქედი, ამაღლება, კლდე...) და არა დროებითი ორიენტირი (ხე, შენობა და ა.შ.) ჩატარებული დაზვერვითი მუშაობის შედეგად შედგება ამ რაიონის არქეოლოგიური რუკა, რომლითაც წარმოებს შემდეგ გათხრა. ამასთან, პირველად იმ ნაწილს თხრიან, რომელსაც დანგრევის საშიშროება ელის.

არქეოლოგიური გათხრებისას მხოლოდ საკუთარი მეცნიერული მიზნით არ უნდა შემოისაზღვროს არქეოლოგი. ყურადღების გარეშე არ უნდა დატოვოს სხვა მეცნიერებისათვის (გეოლოგია, პალეონტოლოგია) საინტერესო მასალებიც.

არქეოლოგიური გათხრები

არქეოლოგიური გათხრების წარმოება რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. არქეოლოგის საქმეს მენაღმისას ადარებენ. ერთი და იგივე ძეგლი ორჯერ არ გაითხრება, სრული ინფორმაცია პირველივე გათხრით უნდა მიიღოს არქეოლოგმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძეგლის შესწავლა გაძნელდება.

კულტურული ფენა გათხრებისას არა მარტო შეისწავლება, არამედ ნადგურდება კიდეც. არაერთხელ შეიძლება გაიმეორო წარუმატებელი ექსპერიმენტი, ათჯერ და ასჯერ შეგიძლია გადაიკითხო ძველი წერილობითი ძეგლი, მაგრამ არ შეიძლება ორჯერ გათხარო ერთიდაიგივე ძეგლი. ამიტომ არქეოლოგს მაშინ აქვს უფლება დაიწყოს გათხრა, როცა ამისათვის პირობები მომზადებულია, როცა გათხრისათვის ყველაფერი გათვალისწინებულია. დაწყებული გათხრა აუცილებლად ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი.

განვიხილოთ ყველაზე გავრცელებული ძეგლების – ძველი დასახლებებისა და სამარხების გათხრის სპეციფიკა.

დასახლების გათხრა

გათხრის დაწყებამდე დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით არქეოლოგი შეადგენს გათხრის შინაარს, აკეთებს გეგმას, სტრატიგრაფიას, შეარჩევს გათხრისათვის ყველაზე პერსპექტიულ უბნებს, კულტურული ფენის გათხრისათვის საჭირო ინსტრუმენტებს თუ ტექნიკურ საშუალებებს.

არის მიწის ფენების გათხრის ორი მეთოდი – **სანგრული** და **დიდი მოედნის** გათხრა.

სანგრული მეთოდი ფართოდ იყო გამოყენებული ძველ არქეოლოგიაში. ძეგლის გასწვრივ კეთდებოდა ვიწრო სანგარი, რომლის სიგანე კონკრეტულ ვითარებაზე იყო დამოკიდებული. ამ მეთოდის დადებითი ისაა. რომ შედარებით ნაკლები შრომის დახარჯვით არქეოლოგს წარმოდგენა ეძლევა მთელ ძეგლზე, მაგრამ არც ერთ მხარეზე საკმაო ცნობებს ვერ იღებს, ამასთან შეიძლება გაფუჭდეს სანგარში მოყოლილი ძეგლის ნაწილი, რომელთა რესტავრაცია ძალიან რთულია. ამიტომ ახლა ამ მეთოდს იშვიათად იყენებენ. თუ იყენებენ ისიც დაზვერვითი სამუშაოების დროს, თუ იგი ძირითადი გათხრის ნაწილი გახდება, ხოლო ისეთი ძეგლების გათხრისას, სადაც მოსალოდნელია არქიტექტურული ნარჩენები საერთოდ აკრძალულია ამ მეთოდის გამოყენება.

დიდი ფართობის გათხრისას არქეოლოგის წინაშე ახალი სიძნელეები ჩნდება (დაგეგმარება, აღებული გრუნტის გაზიდვა და ა.შ.), მაგრამ სამაგიეროდ იგი საიმედოა. და იძლევა მთელი ობიექტის სურათს, მისი სრული შესწავლის საშუალებას. გათხრამ მთელი ძეგლი უნდა მოიცვას, მაგრამ სტრატიგრაფიაზე დაკვირვება ძნელდება, ამიტომ რეკომენდირებულია 100-დან 400-მდე კვმ ფართობის ერთდროული გათხრა, რითაც შესაძლებლობა ექნება არქეოლოგს თვითონ აწარმოოს ყველაფერზე დაკვირვება.

გასათხრელი ფართობი წინასწარ თავისუფლდება მწვანე საფარისაგან. თვალით განისაზღვრება გასათხრელი ფართობის საზღვრები და ერთ-ერთ კუთხეში ჩაარჭობენ სარს, საიდანაც იწყება ადგილის აგეგმვა. უპირველესად გაირკვევა ამ ადგილის ჰორიზონტის მხარეები (აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი) კომპასის ან ბუსოლით. ამის შემდეგ ეს ადგილი დაიყოფა კვადრატებად, რომელთა სიდიდე დამოკიდებულია თვით ძეგლის სახეზე. პალეოლითური და ნეოლითის ძეგლების გათხრისას ჩვეულებრივად კვადრატები 50 სმ 50 სმ-ზეა, ან ერთი მეტრი ერთ მეტრზე; ადრე მეტალის პერიოდისას 2 მეტრიან კვადრატებად ყოფენ, ხოლო ანტიკური და შუა საუკუნეების ძეგლების გათხრისას 4-5 მეტრიან (ე.ი. 20, 25 კვმ) კვადრატებს. დანომვრა კვადრატებისა აუცილებელია, მოპოვებული მასალის ადგილის ზუსტი აღნუსხვისათვის.

არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნის არა მარტო ზუსტი ადგილის განსაზღვრაა საჭირო, არამედ ისიც თუ რა სიღრმეზე იქნა ნახული, რა სიღრმეზე იწყება საერთოდ კულტურული ფენა. სიღრმის გაზომვისათვის წინასწარ შეარჩევენ ძირითად საწყისს. უმთავრესად იყენებენ რელიეფის ძირითად დეტალს – ამაღლება ან... ისეთს, რომელიც იოლად არ შეიცვლება (ხე არ გამოდგება...) ან უახლოეს მონუმენტური შენობას და თუ ესაც არაა, თვითონ არჭობენ მიწაში ბეტონის ან რკინის ბოძს და აქედან აითვლიან. თუ ახლო–მახლო რამდენიმე გათხრა წარმოებს, მაშინ ყველა მათგანი ძირითადი ასათვლელი საგნიდან იღებს სიმაღლეს. ეს კეთდება ნიველირის, ვატერპასის ან ორმეტრიანი სახაზავის გამოყენებით.

გათხრისათვის საჭიროა იარაღების მომზადება: ბარი, თოხი, შეიძლება გამოყენებულ იქნას ტექნიკა (ბულდოზე-

რი...), თუ ძეგლს დაზიანების საშიშროება არ ემუქრება. როცა კულტურულ ფენას ვუახლოვდებით, საჭირო ხდება ფრთხილი მუშაობა დანით და ფუნჯით ან ცოცხით. არქეოლოგს აუცილებლად თან უნდა გვქონდეს 5 ან 10-მეტრიანი საზომი ლენტა, 2-მეტრიანი სახაზავი, ნანახი ნივთების ჩასაწყობი ჭურჭელი და სხვ. მონაპოვრის დროებით შესანახი ადგილიც წინასწარ უნდა იყოს გამოყოფილი.

ადგილის გათხრის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორია მისი სტრატიგრაფია, რამდენი კულტურული ფენაა მოსალოდნელი. არქეოლოგმა საჭიროა ყველაფერი ზუსტად აღრიცხოს და გათხრა მაშინ ჩათვალოს დამთავრებულად, როცა მოცემულ ფართობზე ყველა კულტურული ფენა იქნება შესწავლილი. თუ არქეოლოგმა შენობის ნაშთები ნახა შეიძლება დაშალოს და შეიძლება დატოვოს (მიზნის მიხედვით), ხოლო თუ შენობის ნაშთი არ ინახა, ან ძეგლის შესწავლის მიზნით მოხდა გათხრა, მაშინ ის მიწით უნდა ამოივსოს, რომ დროთა მსვლელობაში კედლები არ ჩაინგრეს.

სამარხთა გათხრა

რადგანაც სამარხთა სხვადასხვა სახე არსებობს, ამდენად მრავალგვარია მათი გათხრის მეთოდიკაც. კავკასიაში ძირითადად ვხვდებით სარკოფაგებს და ყველაზე მეტად კი ორმოს ტიპის სამარხებს. ყველა სახის სამარხის გათხრის წინ უნდა შედგეს სამარხთა გეგმა. თუ ყორღანებს ვთხრით წინასწარ საჭიროა ფოტოგრაფირება, ჰორიზონტის მხარეების გარკვევა და კვადრატებად დაყოფა. ამის შემდეგ 20 სმ სიღრმეზე აცილებენ ზედა გრუნტს, შემდეგ იწყება ძირითადი სამუშაო. ყორღანული სამარხის სიღრმე ზოგჯერ 10-20 მეტრს უდრის და აქ მუშაობა სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ორმო სამარხების გათხრისას, ჰუმუსის აღების შემდეგ შესაძლებელია გამოისახოს სამარხის კონტურები,

მაგრამ შესაძლებელია ეს კონტურები გაურკვეველი ფორმის იყოს, მაშინ უნდა დადგინდეს ამის მიზეზი (სამარხის გაძარცვა, ცხოველების მიერ სოროების გაკეთება, მოგვიანო ხანის სამარხით დაფარვა).

სამარხის გამოკვეთის შემდეგ იწყება გათხრა და როცა გამოჩნდება კულტურული ფენის სიახლოვე საჭირო ხდება ფრთხილი მუშაობა. სამარხში შეიძლება გათხრისას აღმოჩნდეს ადამიანის ძვლები (პირველ რიგში თავის ქალა) რითაც შეიძლება დავადგინოთ მიცვალებულის დამარხვის წესი (დამჯდარი, გვერდზე მყოფი, მოხრილი და სხვა). ასევე სამარხში შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო თუ რიტუალის, საქმიანობის მანიშნებელი საგნები. აუცილებელია არქეოლოგმა მიაქციოს ყურადღება სამუშაოს წარმოებას, რომ ნივთიერი მასალა არ დაზიანდეს და ამასთან, ხელი არ შეეხოს მის ადგილმდებარეობას, რადგანაც საჭიროა მისი ფოტოგრაფირება და აღწერა. ამის შემდეგ ამ ნივთებს იღებენ ლაბორატორიული შესწავლისათვის.

არქეოლოგიური გათხრების დროს არქეოლოგის მოვალეობაში შედის ჩანაწერების **(დღიურის) წარმოება**. ამისათვის საჭიროა სქელი რვეული, რომლის სატიტულო ფურცელზე აწერია ჩამწერის გვარი, სახელი, მისამართი და თხოვნა იმის შესახებ, რომ დაკარგვის შემთხვევაში თუ ნახავენ, გამოუგზავნონ მას ამ მისამართზე.

არქეოლოგმა ყოველდღიურად დეტალურად უნდა აღწეროს გათხრის პროცესი, მონაწილეები, მისი ვარაუდები და სხვა. დღიურში ზოგჯერ ისეთი სახელდახელო დასკვნებიც კეთდება, რომელიც შემდეგ ძვირფასია მკითხველისათვის.

არქეოლოგის მუშაობაში მნიშვნელოვანია ჩახაზვა და ფოტოგრაფირება. ეს სამუშაო იმდენად დიდ დროს მოითხოვს, რომ ცალკე მხატვარ-არქიტექტორები და ფოტოგრა-

ფები მუშაობენ. მათ მუშაობაზე კონტროლს თვითონ არქეოლოგი უნდა აწესებდეს.

ამის შემდეგ ხდება ნახული არქეოლოგიური მასალის კაბინეტური დამუშავება და მათი საცავებში თუ მუზეუმებში დაბინავება. დგინდება მისი შექმნის თუ არსებობის დრო, ადგილი და უკეთდება ტუშით წარწერა. ზოგიერთ ძეგლს სჭირდება რესტავრაცია და შემდეგ კონსერვაცია. არქეოლოგიური მასალა (არტეფაქტები) თავის მნიშვნელობას კარგავს, თუ ის სრულყოფილად არ „აალაპარაკეს", მისგან სრული ინფორმაცია არ მიიღეს. ეს კი ამ სფეროს სპეციალისტთა საქმეა, რომლთა განკარგულებაშია თანამედროვე ტექნიკა და არქეოლოგიური მასალის დათარიღების ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და მათემატიკური ანალიზიც.

რეკომენდირებული ლიტერატურა:

1. ო. ლორთქიფანიძე, არქეოლოგია და თანამედროვეობა, თბ., 1987
2. Д. А. Авдусин. Археологические разведки и раскошки, М., 1959
3. Н.И. Пронштеин, В.Я. Киашко. Вспомогательные исторические дисциплины, М., 1973
4. Введение в специальные исторические дисциплины, М., 1990

კითხვები განხილვისა და დისკუსიისთვის

1. რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ ისტორიასა და არქეოლოგიას შორის
2. რას გვეტყვით არქეოლოგიურ ძეგლთა სახეებზე, რა არის ძეგლის სტრატიგრაფია...

3. აღწერეთ არქეოლოგიური დაზვერვისათვის მზადების პროცესი
4. გვესაუბრეთ არქეოლოგიური ძეგლის გათხრისათვის საჭირო აგეგმვაზე
5. რას ნიშნავს არქეოლოგიურ მასალათა საველე და კაბინეტური დამუშავება?

დასკვნა

ისტორიულ დისციპლინებს მათი მიზანდასახულობითა და შესასწავლი სფეროს მიხედვით ჰყოფენ **საერთო, სპეციალურ** და **დამხმარე ისტორიულ დისციპლინებად**.

დამხმარე ისტორიული დისციპლინები შეიმუშავებენ ისტორიული კვლევა-ძიების კერძო და ზოგად პრინციპებს, ხერხებსა და მეთოდებს, სწავლობენ ისტორიული წყაროების როგორც გენეზისს, ისე მათ შინაარსობრივ მხარეს.

დღეისათვის ათობით დამხმარე ისტორიული დისციპლინაა. მაგრამ წიგნში წარმოდგენილია ჰუმანიტარულ დისციპლინათა სპეციალობების სტუდენტებისათვის უფრო მეტად საჭირო დისციპლინების მოკლე შინაარსი საჭირო ცნებებით, ტერმინებით და განსაზღვრებებით.

წყაროთმცოდნეობაში განხილულია წყაროთმცოდნეობის საგანი და ამოცანები, ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია ქვესახეებით და მათი შესწავლა-ანალიზის (კრიტიკის) ფორმები;

პალეოგრაფიაში გაანალიზებულია და ახსნილი აზროვნების, ენებისა და დამწერლობების წარმოშობის გენეზისი, დამწერლობის სახეები, ანბანური დამწერლობის გაჩენა, ქართული ანბანის წარმოშობის თეორიები, მისი გრაფიკის სახეები და რიცხვითი მნიშვნელობა, წერის მასალა და იარაღი, წიგნის ბეჭდვის დასაწყისი, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები.

ქრონოლოგიაში წარმოდგენილია დროის ათვლის ფორმები და სისტემები, ქრონოლოგიის სახეები, მისი წარმოშობა და განვითარება საქართველოში, დროის უძველესი ერთეულები და პირველი კალენდრები, კალენდრის რეფორმები, ერათა (წელთაღრიცხვათა) სახეები და მოცემული თარიღის წელთაღრიცხვის ერთი სისტემიდან მეორეში გადაყ-

ვანის ხერხები და მეთოდები, დროის ათვლის ფორმები და სისტემები ძველ საქართველოში, ახალი მსოფლიო კალენდრის პროექტი;

ნუმიზმატიკაში განმარტებულია ამ დარგის საგანი და ამოცანები, მისი ჩამოყალიბება საერთოდ და საქართველოში, ნაჩვენებია ფულის წარმოშობისა და განვითარების გზა, მონეტის გაჩენა და მისი სახეები, მონეტის აღწერილობა, ქართულ მონეტათა ტიპები;

მეტროლოგიაში წარმოდგენილია ზომა-წონის ერთეულთა წარმოშობისა და განვითარების გზა, ზომა-წონის უძველესი მიახლოებითი ერთეულები, ზომა-წონის ერთეულები ძველ და ფეოდალურ საქართველოში, ზომა-წონის ათობით (მეტრულ) სისტემაზე გადასვლა და მისი ერთეულები;

ისტორიულ გეოგრაფიაში განხილულია ამ სასწავლო დისციპლინის მიზანი და ამოცანები, მისი წარმოშობა და განვითარება ზოგადად და საქართველოში, ისტორიული გეოგრაფიის ნაწილები (ფიზიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა, მოსახლეობის გეოგრაფია, ეკონომიკური გეოგრაფია, პოლიტიკური გეოგრაფია), თეორიები გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ საზოგადოების განვითარებაში;

ტოპონიმიკაში წარმოდგენილია ამ დისციპლინის მიზანი და ამოცანები, მისი წარმოშობა-განვითარების გზა ზოგადად და საქართველოში, ნაჩვენებია ტოპონიმთა სახეები და მათი გაჩენის გზები, მოცემულია ტოპონიმთა შეგროვება-შესწავლის ხერხები და მეთოდები.

არქეოლოგიური დაზვერვისა და გათხრების მეთოდიკაში ნაჩვენებია არქეოლოგიური მასალის (არტეფაქტების) მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერებისათვის, განხილულია არქეოლოგიურ ძეგლთა სახეები (დასახლების ადგილები, სამარხები, წმინდა, სალოცავი ადგილები) და მათი ტი-

პები, წარმოდგენილია არქეოლოგიურ მასალათა საველე და კაბინეტური კვლევის მეთოდები (არქეოლოგიური დაზვერვა და გათხრა, კაბინეტური დამუშავება).

სტუდენტთა მიერ საგნის საფუძვლიანად დაუფლებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, ყოველ თემას დართული აქვს რეკომენდირებული ლიტერატურის სია და კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის.

SUPPORTING HISTORICAL DISCIPLINES

SUMMARY

The book reflects some supporting historical disciplines that are necessary for the humanitarian students. The data of these disciplines are actively used in the practical life. The short contents with essential references, terms and definitions of Source Study, Paleography, Chronology, Numismatics, Metrology, Historical Geography, Toponymy, Archeological Survey and Excavations are given. In order to understand the given material, deepen and improve the knowledge, the list of the recommended literature and questions are supplemented to observe and discuss.